

290
200



03. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ

PROCEEDINGS OF I. JAVAKHISHVILI TBILISI STATE
UNIVERSITY



ISSN 1512-1313

ეკონომიკა
ЭКОНОМИКА
ECONOMICS

1-2





ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
344

ეკონომიკა

1-2



ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ

PROCEEDINGS OF I. JAVAKHISHVILI TBILISI STATE
UNIVERSITY

344

ЭКОНОМИКА ECONOMICS

1-2

© 2002 საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

000001000

50-00000

ТБИЛИСИ 2002 TBILISI

სარედაქციო კოლეჯია

ავთანდილ სილაბაძე - სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ლარისა ყორღანაშვილი - რედაქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ნინო პაპანაშვილი - პასუხისმგებელი მდივანი, ეკონომიკურ
მეცნიერებათა კანდიდატი

- | | |
|---|--|
| <input type="checkbox"/> იური ანანიაშვილი (ემდ, პროფ.) | <input type="checkbox"/> ვაოზ ნადირაშვილი (ტმდ, პროფ.) |
| <input type="checkbox"/> როზეტა ასათიანი (ემდ, პროფ.) | <input type="checkbox"/> ნუზარ პაპიაძე (ემდ, პროფ.) |
| <input type="checkbox"/> კლიმენტ ანელაშვილი (ემდ, პროფ.) | <input type="checkbox"/> ოთარ საღარეიშვილი (ემდ, პროფ.) |
| <input type="checkbox"/> ნოდარ ბაჟიაშვილი (ემდ, პროფ.) | <input type="checkbox"/> როინ ქუტიძე (ემდ, პროფ.) |
| <input type="checkbox"/> ესტატე ბოლოკაძე (ემდ, პროფ.) | <input type="checkbox"/> თამაზ ჩაკვაიაძე (ემდ, პროფ.) |
| <input type="checkbox"/> ბაკნტი გაბიაშვილი (ემდ, პროფ.) | <input type="checkbox"/> მიხეილ ჯიბუტა (ემდ, პროფ.) |
| <input type="checkbox"/> გიგა გამახურდია (ემდ, პროფ.) | <input type="checkbox"/> თენგიზ ჭაბარაშვილი (ემდ, პროფ.) |
| <input type="checkbox"/> რევაზ გოგონია (ემდ, პროფ.) | <input type="checkbox"/> გიორგი ბაბუნაშვილი (ემდ, პროფ.) |
| <input type="checkbox"/> გრიგოლ თოდუა (ემდ, პროფ.) | <input type="checkbox"/> იზოლდა ადუაშვილი (ტმკ, დოც.) |
| <input type="checkbox"/> მურთაზ შადრაძე (ემდ, პროფ.) | <input type="checkbox"/> ჯემალ კახნიაშვილი (ემკ, დოც.) |
| <input type="checkbox"/> ელგუჯა შექვაბიშვილი (ემდ, პროფ.) | <input type="checkbox"/> ფიქრია წოწკოლაური (ემკ, დოც.) |
| <input type="checkbox"/> გიგა შიქვლაძე (ტმდ, პროფ.) | |

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები:

- პატრიკ გულონი - პარიზი 8 უნივერსიტეტის პროფესორი (საფრანგეთი)
- მელანი ონო - ბრუნელის უნივერსიტეტის ასოცირებული წევრი, დოქტორი (დიდი ბრიტანეთი)
- პარალ კონცი - ბრანდერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (გერმანია)
- ვლადიმერ შინაპი - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვეროპის (რუსეთი) ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
- იოჰან ციმერმანი - ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი (გერმანია)

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002

0601000000
608(06)-02

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Авთანდილ Силагадзе - председатель редакционной коллегии, член-корреспондент

Академии Наук Грузии, доктор экономических наук, профессор

Лариса Корганашвили - редактор, доктор экономических наук, профессор

Нино Папачашвили - ответственный секретарь, кандидат экономических наук

Юрий Ананишвили (дэн, проф.)

Розета Асатиани (дэн, проф.)

Клименти Ачелашвили (дэн, проф.)

Нодар Бичиашвили (дэн, проф.)

Эстатэ Болокадзе (дэн, проф.)

Бикенти Габидзашвили (дэн, проф.)

Гиви Гамсахурдия (дэн, проф.)

Реваз Гогохия (дэн, проф.)

Григол Тодуа (дэн, проф.)

Муртаз Маградзе (дэн, проф.)

Элгуджа Меквабишвили (дэн, проф.)

Гиви Микеладзе (дтн, проф.)

Ганоз Надирашвили (дтн, проф.)

Нугзар Панчадзе (дэн, проф.)

Отар Сагареишвили (дэн, проф.)

Роини Кутидзе (дэн, проф.)

Тамаз Чикваидзе (дэн, проф.)

Михаил Джизбути (дэн, проф.)

Тенгиз Чиабришвили (кэн, проф.)

Георгий Бабунашвили (кэн, проф.)

Изольда Аденишвили (ктн, доц.)

Джемал Кахнишвили (кэн, доц.)

Пикриа Цоцколаური (кэн, доц.)

Иностранные члены редакционной коллегии

Патрик Булон - профессор Университета "Париж 8" (Франция)

Мелани Рин - ассоциированный член Брунельского Университета, доктор (Великобритания)

Кунц Гаралд - декан экономического факультета Технологического института Брандербурга, профессор (Германия)

Владимир Шенаев - заместитель директора института Европы (Россия) Российской Академии Наук, член-корреспондент академии

Иоган Цимерман - профессор Бременского Университета (Германия)

EDITORIAL BOARD

AVTANDIL SILAGADZE - Editor-in-Chief, Corresponding Member of the Georgian Academy of Sciences, Doctor of Science (Economy), Professor

LARISA KORGANASHVILI - Editor, Doctor of Science (Economy), Professor

NINO PAPACHASHVILI - Executive Secretary, Candidate of Science (Economy)

Iuri Ananiashvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Rozeta Asatiani (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Klimenti Achelashvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Nodari Bichiashvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Estate Bolokadze (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Bikenti Gabidzashvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Givi Gamsakhurdia (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Revaz Gogokhia (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Grigol Todua (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Murtaz Magradze (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Elguja Mekvabishvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Givi Mikeladze (Dr. Sci.(Technol.), Prof.)

Gaioz Nadirashvili (Dr. Sci.(Technol.), Prof.)

Nugzar Paichadze (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Otar Tsagareishvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Roin Kutidze (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Tamaz Chikvaidze (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Mikhail Jibuti (Dr. Sci.(Econ.), Prof.)

Tengiz Chiabrishvili (Cand. Sci.(Econ.), Prof.)

George Babunashvili (Cand. Sci.(Econ.), Prof.)

Izolda Adeishvili (Cand. Sci.(Technol.), Assist. prof.)

Jemal Kakhniashvili (Cand. Sci.(Econ.), Assist. prof.)

Pikria Tsotskolauri (Cand. Sci.(Econ.), Assist. prof.)

Associate Editors (Foreign)

Patrick Boulon - Paris 8, University Professor (France)

Melanie Rain - Brunel University associated member, Dr. (UK)

Harald Kunz - Branderburg Technological institute, Dean of economics Dept, Prof. (Germany)

Vladimir Shenaev - Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Deputy Director of Institute of Europe (Russia)

Johan Zimmermann - Professor, Bremen University (Germany)

$$\frac{MU_a}{P_a} = \frac{MU_b}{P_b} = \dots = \frac{MU_i}{P_i} = \lambda,$$

სადაც MU_a, MU_b, \dots, MU_i დოვლათის ზღვრული სარგებლიანობაა, P_a, P_b, \dots, P_i მისი საბაზრო ფასი, λ – მომხმარებლის ფულადი შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობა. ორივე კანონი გოსუნმა გრაფიკზე ასახა, რომლის მრუდის მოძრაობა ნაშედილად ადასტურებს ყოველი სახის დოვლათის მოხმარებაში ზღვრული სარგებლიანობის შემცირებას და, მასთან ერთად, მომხმარებლის მიერ მაქსიმალურად მაღალი სარგებლის შექენას.

თუ გოსუნის აღნიშნული კანონების შინაარსს ცალ-ცალკე შედარებით კარგად ჩაუკვირდებით, შევაშინვეთ, რომ მათი დასაბუთება მომხმარებლის სუბიექტურ და ფსიქოლოგიურ საწყისებზეა დაფუძნებული, რომელიც ნიუთისადმი (მომსახურებისადმი) ინდივიდის (პიროვნების) განსაკუთრებით საკუთარი (შინაგანად მახასიათებელი) დამოკიდებულებითა და განწყობით იმოსება. მართალია ადამიანის ესა თუ ის მოთხოვნილება ინდივიდის, სუბიექტის პიროვნული მდგომარეობითა და საზოგადოებრივი განფენილობით ფორმირდება, მაგრამ, როგორც წესი, პიროვნება, პირველ რიგში, ბუნებრივი და საზოგადოებრივი მიმდინარეობის პროდუქტია და, ცხადია, ასეთ მდგომარეობაში იგი სუბიექტივისტურად უკვე ვერ ირჩევს მისთვის საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობებს, თუმცა იგი ამ მიმართულებით ყოველთვის განცდასა და მოძრაობაშია. ინდივიდი თავისთავად საკუთარი ნებისაგან დამოუკიდებლად ვერ მოძრაობს და ვერ მოქმედებს ისე, როგორც თავისუფლად არსებადი და დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ცოცხალი ორგანიზმი, ვინაიდან მისი მოძრაობისა და მოქმედების არე, თავისებურება და სპეციფიკა უკვე შემოფარგლულია იმ საზოგადოების წეს-წყობილების კანონებით, რომელშიც იგი ცხოვრობს და მოღვაწეობს. აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ მას საბაზრო ეკონომიკა მოძრაობის (ფუნქციონირების) შედარებით სპეციფიკურ ხასიათსაც კარნახობს: „იმოქმედე ისე, რომ კარტები არ აურიო!“ – ასეთია კერძოდ მისი საწესდებო მოთხოვნა.

თუ ამ მოვლენებს ლოგიკურად გავაანალიზებთ, შევაშინვეთ, რომ გოსუნის თუნდაც პირველი კანონის მოქმედება ბუნებრივი, კერძოდ კი – ბიოლოგიური კანონის მოთხოვნითა და ჩარჩოებითაა დადგინებული, რომლებიც გოსუნის მიერ ეკონომიკური კანონის რანგშია წარმოდგენილი. მართალია, ადამიანი ბუნების პროდუქტია და ამიტომ მისი ფუნქციონირება ბუნების კანონთა ჩარჩოებითაა შემოფარგლული, მაგრამ ამავე დროს არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თვით ადამიანი ბუნებაზე შემოქმედი სუბიექტია, რომლის ქმედებაც მრავალმხრივ გააზრებული, აპრობირებული და აწინილია. პრაქტიკა ყოველთვის ცხადყოფს, რომ ადამიანის ბუნებაზე მოუფიქრებელი და დაუსაბუთებელი შემოქმედება უკანასკნელის თვით ადამიანზე ამხედრების ერთ-ერთი მიზეზია და, პირიქით, როდესაც ადამიანი ბუნების კანონების მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად მოქმედებს, მაშინ იგი ყოველთვის გადაულახავ წინააღმდეგობებსა და ბარიერებს აწყდება. ამიტომ მისი მოქმედების არეალი

ბუნებისა და მასთან ერთად ეკონომიკური ცხოვრების კანონების მოთხოვნებია, რომლებიც როგორც ერთობლივად, ისე ცალ-ცალკე ინდივიდზე (სუბიექტზე) მოქმედებენ როგორც ობიექტურად განპირობებული ძალები, რომელთა წინააღმდეგაც ამხედრება არა მარტო თვით პიროვნებისათვის, არამედ საერთოდ ადამიანთა საზოგადოებისათვისაც მომაკვდინებელია.

ინდივიდისათვის (პიროვნებისათვის) მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში განსაზღვრული რაოდენობის დაწესება, არა თვით ინდივიდის სუბიექტური ნიშან-თვისება, არამედ მისთვის ბუნებისაგან მინიჭებული სპეციფიკაა, რომელსაც ადამიანი აღიქვამს, გაიზიარებს და სამოქმედოდ გაითავისებს. ინდივიდები ერთიმეორესაგან სწორედ იმით განსხვავდებიან, რომ მათი მოთხოვნილება და დაკმაყოფილების შესაძლებლობები სრულიად სხვადასხვა რაოდენობრივი სიდიდეებია. მიუხედავად ამისა, ყოველი ადამიანის ინდივიდუალური მოთხოვნილება დაკმაყოფილების აუცილებლობას ექვემდებარება. ბიოლოგიურმა მეცნიერებამ გააანალიზა და მის ნიადაგზე შეიმუშავა ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საზოგადოებრივად მისაღები ნორმები, რომლებიც ტრანსფორმირდება ინდივიდუალურობისა და, საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების წესწყობილების შესაბამისად.

თუ ამ მიმოხილვის შემდეგ გოსენის კანონებს დაეუბრუნდებით, შევამჩნევთ, რომ პიროვნების ყოფიერება საზოგადოებრივი პარამეტრებით კი არ განისაზღვრება, არამედ, პირიქით, საზოგადოებრივი ცხოვრების პარამეტრები (თუნდაც საბაზრო ფასის დონე) პიროვნების სუბიექტურ-ფსიქოლოგიური სურვილებით განისაზღვრება (ფასდება). არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა ქვეყანა თავისი არსებობის ერთ მონაკვეთზე (1947-1953) წარმატებით იყენებდა ფასებით მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური სულისკვეთების მართვას, რომელსაც იგი სამომხმარებლო ფასების ყოველწლიური შემცირებით აღწევდა. ცხადია, საბაზრო ეკონომიკისა და გეგმაზომიერად განვითარებადი მეურნეობის გაიგივება ყოველად შეუძლებელია, მაგრამ მათ შორის იმ პარალელის გავლება შეიძლება, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ ყოველთვის და ყველგან მოსახლეობის უმრავლესობა საკუთარ ყოფა-ცხოვრებაში ხსნასა და შეველას მხოლოდ სამომხმარებლო ფასებში ექებს, ვინაიდან, როგორც ფაქტები ადასტურებს, ამ უკანასკნელში შედარებით ნათლად და გამჭვირვალედ მორანს თვით საზოგადოების და მისი მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური და კულტურულ-ზნობრივი მხარე. თუ გოსენის კანონის მიხედვით ინდივიდი საკუთარი მოთხოვნილების მიზნით ბაზარს ფასების ფორმირების საკუთარ კანონებს კარნახობს, მაშინ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თვით პიროვნება (და არა პიროვნებათა ერთობლიობა) საზოგადოება სავალალოდ, საკითხისადმი მსგავსი მიდგომა შედეგია იმისა, რომ საბაზრო გარიგებათა რაოდენობა და რა თქმა უნდა, შესაბამისად ფასებიც იმდენია, რამდენიც ურთიერთგარიგებათა წვეილი (მხარე). ასეთ პირობებში, როგორც წესი, ცალ-ცალკე პიროვნებებს შეუძლიათ ფასების დონეზე იმოქმედონ დაახლოებით 5-10 პროცენტის ფარგლებში, ვინაიდან გამყიდველი საკუთარი ინდივიდუალური ხარჯებიდან გამოდის და ამიტომ მისი უშუალო მიზანი ნივთის (მომსახურების) მოგებით

გასაღებაში ვლინდება.

თუ მომხმარებლისათვის ერთოდროულად მეორე წვეილ ფეხსაცმელს, ან კოსტიუმს, ან მაგიდას, ან საწოლს და ა.შ. შედარებით ნაკლები სამომხმარებლო დანიშნულება აქვს და ამიტომ ისინი მას ასევე შედარებით დაბალ ფასებში შეუძლია შეიძინოს, მაშინ საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება საზოგადოებრივი მოვლენის (ყიდვა-გაყიდვის) მიმართ უბრალოდ აბუნად აღვება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში უკუღებელყოფილია ყოველი სახის კანონზომიერება, მათ შორის თვით ადამიანის მოთხოვნილების უწყვეტი და მუდამ მზარდი ნაკადი.

რასაკვირველია, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საკვები პროდუქტებით ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ბიოლოგიური ნორმებით განსაზღვრულ ჩარჩოებში მერყეობს, ცხადია, თვით პიროვნების (ინდივიდის) ბუნებრივად შექმნილი სპეციფიკურად განსაზღვრული შესაძლებლობების შესაბამისად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ადამიანი დღე-ღამის განმავლობაში 4-ჯერ უნდა იღებდეს საკვებ პროდუქტებს, ამასთან მის მიერ მიღებული კალორიები ბიოლოგიურად გათვალისწინებულ ნორმებში უნდა მერყეობდეს. ყოველად დაუშვებელია ვივარაუდოთ, რომ ადამიანის დღე-ღამეში მიღებულ კალორიათა რაოდენობა ნამდვილად კლებადაა. ბიოლოგიურად მართლაც ასე რომ ყოფილიყო, ადამიანი თავისი სიცოცხლის გარკვეული ასაკიდან უკვე უარს იტყოდა საერთოდ საკვებზე და, რა თქმა უნდა, სხვა სახის პროდუქტებზეც, ვინაიდან კლებაობის კანონის მოთხოვნათა მიხედვით მისი მოთხოვნილება სადღაც ნულთან დონეს მიუახლოვდებოდა.

კ. მარქსი მიგვანიშნებს, რომ პიროვნება (ინდივიდი) თავად არ ირჩევს საზოგადოებრივი ცხოვრების წესს, იგი ამ წესში ერთვება როგორც მისი პროდუქტი და უშუალო წევრი. როგორც უკვე აღინიშნა, ეს უკანასკნელი თავისი შემოქმედებით შემოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების წესზე, მაგრამ არა როგორც მკარნახებელი (მბრძანებელი), არამედ როგორც შემოქმედი. ეს უტყუარი დებულება ჩვენ შეგვიძლია ფასწარმოქმნის სფეროშიც მოვიყვანოთ, რომლის შედეგადაც შევამჩნევთ, რომ თუნდაც სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასები მოძრავია არა მარტო იმიტომ, რომ მომხმარებელს ასე სურს, არამედ იმიტომ, რომ მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის ხელშეკრულება მრავალი ფაქტორითაა დამპიძებული და ისინი სამომხმარებლო ფასებში აისახება.

გოსენის კანონი გამყიდველის პოზიციებიდან რომ შევაფასოთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ გამყიდველმა საკუთარი პროდუქტების ერთი ერთეულის გაყიდვის შემდეგ ყოველ მომდევნო ერთეულზე თანდათანობით უნდა დაუკლოს ფასი, თუმცა, პრაქტიკაში ამ მოვლენასაც აქვს ადგილი, მაგრამ არა მარტო იმიტომ, რომ მომხმარებლის მოთხოვნილების თანდათანობით დაკმაყოფილების გამო პროდუქტის ფასიც თანდათანობით ეცემა, არამედ იმიტომ, რომ გასაყიდი პროდუქტი მრავალი ფაქტორის შემოქმედებით დეფორმირდება. ასეთ ვითარებაში გამყიდველი ცდილობს პროდუქტი რაც შეიძლება სწრაფად მოიცილოს (გაასალოს). მაგალითად, ხორცი შედარებით მალე ფუჭდება, რკინა ჯანგვადია და ა.შ. რის გამოც პროდუქტების პირვანდელი სახე და დანიშნულება იკარგება

და ამიტომ იკარგება მათი სამომხმარებლო თვისებებიც.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინების შედეგად ერთი სავაჭრო დღის მანძილზე სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების დონე თითქმის სამჯერ მაინც იცვლება – დილის, შუადღის და საღამოს საათების შესაბამისად. აქ უფრო მეტად როგორც გამყიდველის, ისე მყიდველის მხრიდან სავაჭრო განწყობილების ფაქტორი მოქმედებს. პრაქტიკულად ცნობილია, რომ დღის საათებში გამყიდველს ჯერ არსად ეჩქარება და ამიტომ მყიდველს საკუთარ პროდუქტს შედარებით მაღალ ფასებში სთავაზობს. შუადღისას მისი განწყობა ფასების მიმართ მნიშვნელოვნად იცვლება, საღამოს საათებში კი – აღნიშნული განწყობა საერთოდ იმსხვრევა, რის გამოც ბაზარზე ფასები გაქცევითი მნიშვნელობით იმოსება. მაგრამ ეს არ (ან ნაკლებად) ითქმის გამყიდველისა და გადაამყიდველების მიმართ, რომლებიც მხოლოდ საბაზრო ყიდვა-გაყიდვით არიან დაკავებულნი. ასევე, იგივე არ შეიძლება ითქვას მეწარმესა და მომხმარებელს შორის დამაკავშირებელ რგოლზე, რომელიც ნედლეულითა და შხა პროდუქტების ყიდვა-გაყიდვით არის დასაქმებული. ცხადია, ყოველივე ეს დამახასიათებელია მიმოქცევაში შრომის დანაწილებისათვის, რომლის სიღრმე და სირთულე ვიწრო სპეციალიზირებით ხასიათდება. ამიტომ უნდა ყიციოდეთ, რომ გამყიდველისა და გადაამყიდველის შინაგანი (საკუთარი) განწყობა ფაქტორიდან (ყიდვა-გაყიდვიდან) გარკვეული ზომით სარგებლის მოპოვებაა. სწორედ ამ მოსაზრების გაშლა-გაფართოება გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ ბაზარზე უფრო მეტად გამყიდველი ბატონობს, რომელიც მყიდველის მოთხოვნილებას ითვალისწინებს მხოლოდ სიტუაციურად (მომხმარებლის შენარჩუნებისა და კონკურენტუნარიანობის მოპოვების მიზნით, სამომხმარებლო პროდუქტების აუკარგიანობის გათვალისწინებით და ა.შ.).

მაშასადამე, გოსენის კანონები შეიძლება გამოვიყენოთ არა ყოველი მოვლენის, არამედ ცალკეული შემთხვევების მიმართ, ვინაიდან კუჭის ეროჯერადი დაკმაყოფილების დროს ნორმაზე მეტი საკვების მიღება ნამდვილად შეიძლება მომაკვდინებელი აღმოჩნდეს, მაგრამ მანქანებითა და სხვა სახის სამრეწველო პროდუქტებით მოვაჭრისათვის ყოველდღიურად თუნდაც ერთი ერთეულით მეტი რაოდენობის პროდუქტის გაყიდვა (გასაღება) ყოველმხრივ (მათ შორის სუბიექტივისტურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც) სასურველი და თანაც პრაქტიკულად აუცილებელი მოვლენაა, ვინაიდან მისი ეკონომიკური კეთილდღეობა გაყიდვათა რაოდენობაზეა დამოკიდებული.

მიუხედავად ამისა, გოსენის კანონების უარყოფა ნამდვილად შეუძლებელია თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი (მეწარმე, მომხმარებელი ცალ-ცალკე), რომელიც ზღვრული სარგებლიანობის ტენდენციით ხელმძღვანელობს, ფიქსირებული შემოსავლებითა და მოქმედი საბაზრო ფასებით სხვადასხვა სახის დოვლათის (სიკეთის) ყიდვისას ერთობლივი სარგებლიანობის მაქსიმუმისკენ მოძრაობს (ილტვის). სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაციონალურად მოაზროვნე მომხმარებელი მის ხელთ არსებული ყოველი ლარით ცდილობს მაქსიმალურად მაღალი სარგებლიანობა შეიძინოს (იყიდოს). ჩვენი აზრით, ზღვრული სარგებლიანობის დანიშნულებაა ის, რომ ფიქსირებული

შემოსავლებისა და საბაზრო ფასების გათვალისწინებით მომხმარებელმა ყოველთვის ერთობლივი სარგებელიანობის მაქსიმუმი უნდა მიიღოს. ცხადია, ამ ვარაუდით რაციონალურად მოაზროვნე მომხმარებელი (და მასთან ერთად მეწარმე) გოსენის კანონების მოთხოვნისგან განსხვავებით ხელმძღვანელობს, რომლებიც მათ მოთხოვნისგან თავისუფლად ჯდება. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს აუცილებელი და სასიკეთოა პირველ რიგში მომხმარებლისათვის იმიტომ, რომ საბაზრო ფასები მაინც მეწარმის საშოკმედო „ღველებია“. სწორედ ბაზარზე მომხმარებლისა და მეწარმის პოზიციების (ინტერესების) ურთიერთშეჯახების ნიადაგზე ცალ-ცალკე ორივე მათგანის სურვილები გარდაიქმნება (ტრანსფორმირდება), რომლის ნიადაგზეც მათ ხელთ არსებული ღარიოთ შედარებით მაღალხარისხიანი (სარგებლიანი) ნედლეულისა და შუა პროდუქციის შესყიდვა შესაბამისად საეჭვო ნიშან-თვისებებით იმოსება, რომელიც იგივე მომხმარებლისა და მიმწოდებლის ურთიერთდაპირისპირების წინააღმდეგობაში ვლინდება.

III. Натенадзе. Социально-экономические аспекты законов Госсена

В статье проанализированы те вопросы, которые связаны с необходимостью и возможностью практического использования требований законов Госсена, основоположника школ предельной полезности и математики в экономике. В частности, в ней критически рассмотрена практика обоснования Госсеном механизма формирования рыночных цен посредством учета субъективных, психологических и биологических начал потребителей, хотя общеизвестно, что каждый из них действует и работает под непосредственным воздействием требований экономической жизни общества.

Исходя из содержания этих законов, в статье критически рассмотрено мнение и о том, что как будто у оставшихся за чертой спроса товаров имеются сравнительно низкие потребительские (полезные) свойства, что не подтверждается практикой их применения.

В статье развито мнение о том, что предприниматели (бизнесмены) обязаны экономно и эффективно использовать природно ограниченные сырьевые и трудовые ресурсы ради получения ими же максимума выгоды (блага) от каждого доллара (лара).

Sh. Natenadze. On Social and Economic Aspects of Gossen's Laws

The article analyzes the questions associated with the substantiation by Gossen of the market price forming mechanism taking into account the subjective, psychological and biological aspects of the consumer, notwithstanding the known fact that any entity (individual) works and acts under conditions of a direct influence of the requirements of social life.

From the content of the laws of Gossen it is not practically substantiated that the goods beyond the demand level (raw material resources, finished products, services) have lower consumer properties and their additional acquisition yields but losses to the buyer, although each subsequent commodity is characterized by its specific consumer properties which act as necessary price-forming features.

In spite of this, the article opines that under conditions of the scantiness of goods the laws of Gossen need to be given consideration in order that the acquisition of additional quantities of goods would not become the object of speculation.

ა. სილაბაძე

ნოქალასიკოსობიდან კინეზოლოგამდე: ა. ს. პიგუ (1877-1954)

ინგლისელი ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიკის კემბრიჯის სკოლის წარმომადგენელი არტურ სესილ პიგუ დაიბადა 1877 წელს რიდში; განათლება მან კემბრიჯის უნივერსიტეტში მიიღო. 1908 წელს მისმა მასწავლებელმა, ა.მარშალმა, პედაგოგიური მოღვაწეობა დაასრულა და იგი 30 წლის ასაკში მისი მემკვიდრე – ამავე უნივერსიტეტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1908-1943) გახდა.

პიგუ მთელი ცხოვრების მანძილზე ა. მარშალის თაყვანისმცემელი იყო და მის ტრადიციებს აგრძელებდა, მისი სიკვდილის შემდეგ კი ინგლისური „ნეოკლასიკის“ და მარშალის მიერ დაარსებული კემბრიჯის ეკონომიკური სკოლის წამყვანი ფიგურა გახდა.

„მარშალის შემდგომი“ თაობის (პ. სრაფა, რ. კანი, ჯ. რობინსონი და ჯ. პიკსი) გამოჩენამდე იგი თავისუფალი ვაჭრობის აქტიური მხარდამჭერი იყო. ჯონ მეინარდ კეინის „ზოგადი თეორიის“ გამოქვეყნებამდე (1936) ორთოდოქსულ პოზიციებზე იდგა. პიგუს გამოთქმა – „ყველაფერი მარშალშია“ – კემბრიჯის სტუდენტთა მრავალი თაობისათვის „ფრთიან“ გამოთქმად რჩებოდა.

როდესაც პიგუმ კათედრა დაიკავა, კეინმა სწორედ მაშინ დაამთავრა კინეზოლოგეში სწავლა. პიგუმ მას ლექტორობა შესთავაზა და 1909 წელს კეინი ლექტორობა კორპუსის წევრი გახდა. იმ დროს, როდესაც პიგუ სტუდენტებს ზუსტ თეორიულ აზროვნებას ასწავლიდა, კეინი მათში ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებსადმი აღვივებდა ინტერესს. კეინისაგან განსხვავებით, პიგუს თავის კოდეგებთან სუსტი კონტაქტები ჰქონდა. პირველ მსოფლიო ომში იგი მორალური რწმენის გამო მოხალისე სანიტრად მონაწილეობდა, რამაც მეგობრული, მხიარული და გულღია დოცენტიდან ექსცენტრიკულ მარტოხელად აქცია.

1919-1920 წწ. პიგუ იყო გადასახადების სამეფო კომისიის წევრი, 1924-1925 წწ. – მთავრობის კომისიის წევრი ფულადი მიმოქცევის საკითხებში. მისმა

რეკომენდაციებმა დიდ ბრიტანეთში მოკლე ხნით ოქროს სტანდარტი აღადგინა, რამაც ინგლისის მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. კეინზი ასეთ მიდგომებს მკაცრად აკრიტიკებდა. პიგუ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკას უჭერდა მხარს, თუმცა, ამ სახის პოლიტიკის კონიუნქტურულ ღონისძიებებს ადრე პროპაგანდას უწევდა ნაშრომში „ინდუსტრიის მერყეობები“ (1934) [1, 314]. მიუხედავად ამისა, ცნობილმა კემბრიჯელმა პოლიტეკონომის პროფესორმა უმუშევრებს ვერავითარი ქმედითი დახმარება ვერ აღმოუჩინა.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენით კეინზმა ნეოკლასიკოსებთან ურთიერთობა გაწყვიტა, რამაც პიგუს კვლევით მოღვაწეობაში გარდატეხა მოახდინა. კეინზმა „ზოგად თეორიაში“ ძლიერად შეუტია პიგუს და მარშალის პოზიციებს. პიგუ, როგორც „კლასიკური ეკონომიკის“ წამყვანი ფიგურა, „კეინზური რევოლუციის“ შედეგად, ჩრდილში მოექცა. თავის მხრივ, პიგუმ „ზოგადი თეორიისადმი“ მიძღვნილ რეცენზიაში [2] ამ „მცდარი ფაქტების კრებულის“ წინააღმდეგ გაილაშქრა და წიგნი განსაკუთრებული დამსახურებების მქონედ არ ჩათვალა. იგი კეინზის პოლემიკური და ამპარტავნული თხრობის სტილს გამოხდის: „ინსტაინმა ფაქტიურად ფიზიკისათვის გააკეთა ის, რაც ბატონ კეინზს, მისი აზრით, ეკონომიკური მეცნიერებისათვის გაუკეთებია“ [3, 115].

მოგვიანებით პიგუმ თავისი შეხედულებების რევიზია მოახდინა. მან მიუთითა, რომ „ზოგადი თეორიის“ მნიშვნელობა კარგად ვერ შეიცნო, რაც უდავოდ საინტერესოა, თუმცა რევოლუციასაც არ წარმოადგენს [3, 65] დრომ კრილობებს უმკურნალა. კეინზისა და პიგუს დიდმა ურთიერთყურადღებამ მათ შორის უფსკრული ამოავსო. ისინი უკვე არაჩვეულებრივად დიდი პატივისცემით ეპყრობოდნ ერთმანეთს. კეინზსაც კარგად ესმოდა, რომ პიგუსზე შეტევით იგი იღებდასაც უტყვედა, რომლებსაც, სულ რაღაც ორი წლის წინ, თვითონ უჭერდა მხარს.

პიგუმ თავისი მოღვაწეობის პერიოდში 30-მდე წიგნი და 100-მდე სამეცნიერო წერილი დაწერა. მისი ძირითადი ეკონომიკური შრომები ბრიტანეთის სოფლის მეურნეობის, დასაქმებისა და გადასახადების პრობლემების კვლევას მიძღვნიან. მრეწველობისა და უმუშევრობის პრობლემების შესახებ პიგუს ყველაზე განთქმული ნაშრომი („ეკთილდღეობის ეკონომიკა“) გამოვიდა 1921 წელს და იგი შემდგომში რამდენჯერმე გამოიცა.

„ეკთილდღეობის ეკონომიკა“ განამტკიცა მისი, როგორც ინგლისის წამყვანი პოლიტეკონომისტის პოზიციები. იგი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის თეორიის საფუძვლებს წარმოადგენს, რომელმაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში პოლიტეკონომიის განვითარებაზე არაჩვეულებრივი ზეგავლენა მოახდინა.

წიგნში – „სახალხო ფინანსების სწავლება“ (1928) – პიგუ საზოგადოებრივი ქველმოქმედების თეორიულ ანალიზს სახელმწიფო ბიუჯეტზე აერცვლებს. „სახალხო ფინანსები“ 50-იან წლებამდე ფინანსურ მეცნიერებაზე დიდ გავლენას ახდენდა. მეცნიერების შესახებ პიგუს უმნიშვნელოვანესი ნაშრომი

მიკროეკონომიკისაკენ ორიენტირებული „უმუშევრობის თეორია“ (1933).

პიგუმ მთელი თავისი ცხოვრება კემბრიჯში გაატარა. 1943 წელს პენსიანზე გადაიდა. სტუდენტთა შეშფოთში თაობებისათვის იგი ცოცხალ ლეგენდად იქცა. გარდაიცვალა 1954 წელს.

„კეთილდღეობის ეკონომიკაში“ პიგუმ სახელმწიფოს ჩარევის შესახებ კეთილდღეობის ადრეული თეორიული იდეები ერთიან თეორიად შეკრა. ახალი ზღვრული ინსტრუმენტების აღმოჩენის შემდეგ მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ნაწილის კვლევის ძირითადი ამოცანა იყო, თეორიულად დაესაბუთებინათ კლასიკოსების რწმენა იმის თაობაზე, რომ თავისუფალი საბაზრო მეურნეობა ავტომატურად უზრუნველყოფს წონასწორობას. ამ სფეროში ძალზე ცნობილი თეორიტიკოსები ლეონ ვალრასი (1834-1910) და კათედრაზე მისი მემკვიდრე ვილფრედო პარეტო (1848-1923) იყვნენ. პიგუმ კრიტიკულად შეაფასა ასეთი მიდგომა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამადღების გზად სახელმწიფო ღონისძიებების განხორციელება მიიჩნია. ამ საკითხებს ეძღვნება მისი ძირითადი ნაშრომი – „კეთილდღეობის ეკონომიკა“.

მარშალის მსგავსად, იგი ეკონომიკური თეორიის ამოცანას ადამიანთა, კერძოდ, „სოციალურად დაუცველთა“ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში ხედავდა. მართალია, ზოგიერთმა ინგლისელმა ეკონომისტმა პიგუს შეხედულებები არ გაიზიარა, მაგრამ იგი, კეინზის მსგავსად, იმდროინდელ საზოგადოებრივ დისკუსიებში ღვიძრობდა. „ეკონომიკა“ „კეთილდღეობისაკენ“ მიმართული სტანდარტული ნაშრომია, რომლისგანაც ინგლისურ-ამერიკული „კეთილდღეობის ეკონომიკა“ წარმოიშვა.

მისი „კეთილდღეობის თეორიის“ ამოსავალია: „კეთილდღეობის ახალი ცნება“, შემოსავალთა განაწილების როლის ხასჯაზმა და იმ ორთოდოქსალური წარმოდგენიდან გამიჯვნა, რომლის მიხედვითაც რაც კარგია ინდივიდისათვის, საზოგადოებისათვისაც აუცილებელად კარგია.

სოციალური პროდუქტი პიგუსათვის საკანძო საკითხია და შემთხვევითი როდია, რომ იგი მის თეორიულ და სტატისტიკურ განსაზღვრებებს ძალზე დეტალურად ეხებოდა [4]. პიგუს მიხედვით, ეკონომიკური კეთილდღეობა სოციალური პროდუქტის დონეზე, განაწილებასა და სტაბილურობაზეა დამოკიდებული.

ძლიერი მეთოდოლოგიური კრიტიკის საგნად იქცა კეთილდღეობის და შემოსავლების განაწილების შესახებ მისი მიდგომები. მისი აზრით, მდიდრებიდან ღარიბებზე შემოსავლების გადანაწილება საზოგადოებრივ კეთილდღეობას ამადღებს, ვინაიდან სოციალური პროდუქტი უცვლელი რჩება. პიგუ ინდივიდუალური სარგებლიანობის გაზომვის სირთულეს აღიარებს, მაგრამ ეთანხმება მარშალს იმაში, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ერთნაირ გარემო პირობებში მათი შედარება ანალოგიების, დაკვირვებებისა და აზრთა გაზიარების საფუძველზეა შესაძლებელი. მისი წარმოდგენით, ადამიანებს მთლიანობაში მეტნაკლებად ერთნაირი მოთხოვნილება აქვთ.

პიგუს მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტი და დაბეგვრა საზოგადოებრივ

კეთილდღეობას ემსახურება. გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების ოპტიმალური თანაფარდობის დადგენას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. სახელმწიფო ხარჯების ოპტიმალური სტრუქტურის დასადგენად ზღერული შემოსავლებიც განსაზღვრული უნდა იყოს.

„სახალხო ფინანსების“ ძირითადი ნაწილი დაბეგერის თეორიას ეთმობა. გადასახადებმა კეთილდღეობა მინიმალურად უნდა დააზარალოს [5, 43] ამასთან, პიგუს განსაკუთრებული დეაწლი იმაში მდგომარეობს, რომ მან სხვადასხვა გადასახადის განაწილებისა და ეფექტიანობის საკითხი სისტემატურად შეისწავლა. მისი აზრით, კონფისკატორული დაბეგერა არაეფექტიანია და სწორმა საგადასახადო პოლიტიკამ შუალედური გზა უნდა იპოვოს. იგი პროგრესული საგადასახადო სისტემის მომხრეა.

პიგუს დასაქმების თეორია კლასიკური პოლიტიკონომიისაგან განსხვავდება. იგი ყურადღებას ხელფასის ცვალებადობის მნიშვნელობაზე ამახვილებს. მისი აზრით, კონიუნქტურული რყევები ხანმოკლე უმუშევრობაში ვლინდება. ამ საკითხებზე თავისი ძირითადი მოსაზრებები მას გადმოცემული აქვს ადრინდელ შრომებში: „სიმდიდრე და კეთილდღეობა“ (1912) და „უმუშევრობა“ (1913), ხოლო „კეთილდღეობის ეკონომიკაში“ კი მან ეკონომიკური კეთილდღეობა ეროვნული უმუშევრობის სტაბილურობას დაუკავშირა. მისი შეხედულებით, ფიქსირებული ხელფასების შემთხვევაში, დასაქმება და სოციალური პროდუქტი (კარგ და ცუდ დროსაც) უფრო მცირეა, ვიდრე ცვალებადი ხელფასის შემთხვევაში.

კონიუნქტურული ასპექტების კვლევა პიგუს „ინდუსტრიის მერყეობაში“ (1927) გააღრმავა. აქ მან სცადა დაემტკიცებინა, რომ 1857-1908 წლებში ხანმოკლე რყევების დროს, ხელფასები დასაქმების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად საკმაოდ მობილური იყო. კერძოდ, კონიუნქტურული უმუშევრობის პერიოდში იგი ხელფასის ცვლილების მომხრეა, ამასთან, ექსპასიონისტურ ფინანსურ-პოლიტიკურ დონისძიებებს - სახელმწიფო შეკვეთებს და კერძო ინვესტორებისათვის სუბსიდების სისტემას უჭერს მხარს. მისი აზრით, რეალური ხელფასი ხანმოკლე პერიოდში შეიძლება არ იყოს დამოკიდებული ერთობლივ მოთხოვნაზე. ერთობლივი მოთხოვნის შემცირება სამუშაო ძალის გამოთავისუფლებას იწვევს. მისი ზრდის პოლიტიკა დეპრესიის დროს დასაქმების დონეს ზრდის. პიგუს ხასგასმით, მოთხოვნის ექსპასიონისტური პოლიტიკა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიზეზებთან ბრძოლის კარგი ხერხია. მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდგომი ბუმის მომდევნო ათწლეულში გამეფებული მძიმე უმუშევრობა, ვიწრო გაგებით ციკლურ დეპრესიასთან არ იყო დაკავშირებული, არსებობდა იმის საფუძვლები, რომ ხანმოკლე დაავადების განსაკურნავად რამდენიმე მძიმე წელი იქნებოდა საჭირო [6, 250].

ამის საწინააღმდეგოდ, ხანგძლივი პერიოდისათვის, რეალური ხელფასები საერთო ეკონომიკური მოთხოვნილების განვითარებაზე დამოკიდებული. რეალური ხელფასების ზრდა სამუშაო ძალაზე მოთხოვნას ამცირებს. აქედან გამომდინარე, გრძელვადიანი პოლიტიკური დონისძიებები, რომლებიც განზრახ ან შემთხვევით ხანგძლივი პერიოდით ზრდის ან ამცირებს შრომაზე მოთხოვნას, არა მხოლოდ უმუშევრობის მიზეზს, არამედ მის საწინააღმდეგო საშუალებასაც

2015

საქართველოს
პარლამენტი
ბიბლიოთეკა

წარმოადგენს და როდესაც სახელმწიფო გადაწყვეტს დასაქმებისთვის დამატებითი მილიონების გაცემას, მაშინ მისი დონე გარკვეული დროით ამალღდება [6, 249].

პიგუს სურდა ეჩვენებინა, რომ საბაზრო მექანიზმი ხანგრძლივ პერიოდში სრული დასაქმებისაკენ ტენდენციას ამჟღავნებს. მისი აზრით, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სამუშაო ძალის ბაზრის დანაწილების, ხელფასების პროფკავშირული პოლიტიკისა და უმუშევრობის ახალი საკანონმდებლო დახვეწის შედეგად ხელფასების უზრაომა შენარჩუნდა და უმუშევრობა გაიზარდა [7].

კონიუნქტურული უმუშევრობის შეფასებაში პიგუსა და კეინზის პოზიციები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება, თუმცა პიგუს დასრულებული, მწყობრი თეორია არ გააჩნდა. იგი მოკლევადიანი უმუშევრობის პრობლემას ნაკლებად ეხებოდა, მაშინ როდესაც კეინზის თეორიით „დაუსაქმებლობისას“ საერთო ეკონომიკური წონასწორობა დასაშვებია და უმუშევრობის მაღალი დონე შეიძლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებობდეს. კეინზმა შრომის შეთავაზება ფულად ანაზღაურებას დაუკავშირა. მისი აზრით, მაღალი, ხანგრძლივი უმუშევრობის შემთხვევაშიც კი ანაზღაურებები არ მცირდება და ხელფასის შემცირება დასაქმების დონეს არ ზრდის.

შემდგომ პუბლიკაციებში პიგუ აკრიტიკებდა კეინზის ხელფასის ცვალებადობის ახალ მიკროეკონომიკურ ანალიზს. ნიკოლას კაღდორთან დებატებში ის აღიარებს, რომ ხელფასის შემცირების ზემოქმედება ძირითადად მონეტარულ პირობებზე დამოკიდებული [8]. ფულადი ანაზღაურების შემცირება, როგორც წესი, სარგებლის შემცირებით დასაქმებას ამალღებს. პიგუ ფულზე მოთხოვნილების და ინვესტიციების სარგებლის ელასტიკურობის შესახებ თავისი წარმოდგენებით მონეტარიზმის ერთ-ერთი წინამორბედი გახდა.

სამეურნეო სუბიექტები ნაღდი ფულის სახით მიღებული შემოსავლების გარკვეული ნაწილის საღაროში ხანმოკლე ვადით შენარჩუნებას ამჯობნიებენ. პიგუმ ეს ურთიერთდამოკიდებულება საყოველთაოდ ცნობილი კემბრიჯის განტოლების სახით გამოხატა [9]

$$P = \frac{KY}{M}$$

სადაც P ფასების დონეა, Y – ნომინალური სოციალური პროდუქტი, M – ფულის რაოდენობა ფორმულა, K-ს მუდმივობის შემთხვევაში, მონეტარულ წონასწორობას აღწერს.

მონეტარული პირობების განსხვავებული შეფასებების ფონზე გასაკვირი არ არის, რომ პიგუ, კეინზთან შედარებით, ფისკალური პოლიტიკის ქმედითობას უფრო ნაკლებ როლს ანიჭებდა. კონიუნქტურული მერყეობის შემცირების მიზნით სახელმწიფო ხარჯების გაზრდას იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში „სახალხო ფინანსებში“ უჭერდა მხარს, რითაც გარკვეულწილად ეჭვის ქვეშ აყენებს კეინზის ანტიციკლური პოლიტიკის კონცეფციის ორიგინალობას. პრაქტიკული თვალსაზრისით იგი კეინზს იმას ედავება, რომ ფულის მოცემული

რაოდენობის დროს სახელმწიფო ხარჯების გაზრდა, ყველა შემთხვევაში, სარგებლის ზრდასა და კერძო ინვესტიციების გარკვეულ შეზღუდვას განაპირობებს.

პიგუ XX საუკუნის პირველ ნახევარში ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. მისი იდეები მრავალმხრივი აზრების ერთობლიობაა. მისი წარმოდგენები საბაზრო ეკონომიკაში გრძელვადიან სრულ დასაქმებაზე, ეკონომისტთა უმრავლესობისათვის სადავო არ იყო. მის მიერ საკითხის დასმა იმის შესახებ, თუ გადანაწილების რომელი ფორმაა მისაღები საბაზრო ეკონომიკისათვის – სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციაზე მიგვიბრუნებს, რომლის მიხედვითაც თავისუფალი ბაზრის განვითარება სოციალურ თანასწორობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ლიტერატურა

1. Industrial Fluctuations, London, 1939
2. J.M. Keynes, General Theory of Employment, Interest and Money, Economics, Bd.3, 1936
3. Pigou, A., Keynes, General Theory, A Retrospective View, L., N., 1950/51/52
4. The Economics of Welfare, V. 3-7, L., 1960
5. A Study in Public Finance, L., 1956
6. The Theory of Unemployment, L., 1933
7. Employment and Equilibrium, L., 1941; Lapses from Full Employment, L., 1945
8. Real and Money Wage Rates in Relation to Unemployment - "Ec. Journ.", Bd, 47, 1937; Money Wages in Relation to Unemployment - "Ec. J.", Bd.98, 1938; Kaldor N., Prof. Pigou on Money Wages in relation to Unemployment - "Ec.J.", 47, 1937
9. The Value of Money - Quarterly Journal of Economics, Bd. 32. L., 1917-1918

A. Силагадзе. От неоклассиков до кейнсианства: А.С. Пигу (1877-1954)

В статье проанализирована эволюция взглядов английского экономиста А. Пигу от "неоклассиков" до кейнсианства. В частности, дается обзор разных трудов автора, в том числе: "Экономики благосостояния", "Теории безработицы" и др.

A. Silagadze. From Neoclassicism to Keynesianism: A.C. Pigou (1877-1954)

The article analyzes the evolution of views of an English economist Arthur C. Pigou on Neoclassical to Keynesian economics. In particular, various works of the author, including *The Economics of Welfare* and *The Theory of Unemployment*, are reviewed.



ჟ. ხარიტონაშვილი

„შვედური სკოლის“ მიღწეობა ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებაში

XX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. თავისუფალი კონკურენციიდან მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე გადასვლამ, XIX ს. ეკონომიკური მოძღვრებების კრიზისი და ახალი თეორიების წარმოშობა განაპირობა.

შეცვლილ ვითარებაში შემცირდა ფრიტრედერული თეორიების პოპულარობა. ეკონომიკური ლიბერალიზმის ადგილი რეგულირებადი ეკონომიკის მოძღვრებამ დაიკავა.

კაპიტალისტური ეკონომიკის რეგულირების იდეის ჩანასახები XX საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება. მათი წარმოშობის ობიექტურ საფუძველს მონოპოლისტურამდელიდან მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე გადასვლა წარმოადგენს. ასეთ პირობებში, ეკონომისტთა ერთი ნაწილი უკვე აქტიურად მოითხოვდა სტიქიური საბაზრო მექანიზმის გააზრებული რეგულირების მეთოდებით შეცვლას [1, 103].

გერმანელი ეკონომისტი გ. შულცე-გევერნიცი შრომაში „გერმანიის საკრედიტო ბანკი“ (1915) წერდა: ჩვენი მსხვილი ბანკების ბატონობა ბირჟაზე სხვა არაფერია, თუ არა გერმანიის სამრეწველო სახელმწიფოს სრული ორგანიზებულიობის გამოხატულება; თუ ვიწროვდება ეკონომიკური კანონების ავტომატური ფუნქციონირების სფერო და ბანკის საშუალებით მნიშვნელოვნად ფართოვდება შეგნებული რეგულირების სფერო, მაშინ გიგანტურად იზრდება მმართველთა სახალხო-მეურნეობრივი პასუხისმგებლობა [2, 404]. ამით ავტორი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის სტიქიური ეკონომიკური კანონები შეგნებულად იცვლება სახალხო მეურნეობის გეგმიანი ორგანიზაციით. ასეთივე შეხედულებას იზიარებენ ი. რისერი, რ. ლიფმანი და ზოგიერთი სხვა ეკონომისტიც.

1906 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „გერმანიის მსხვილი ბანკები და მათი კონცენტრაცია მეურნეობის საერთო განვითარებასთან დაკავშირებით“

გერმანელი ბანკირის ი. რისერის მტკიცებით, მსხვილი ბანკები სულ უფრო მეტად ასრულებდნენ არა კერძო სამეურნეო, არამედ, სახალხო-სამეურნეო რეგულირების ფუნქციებს.

რეგულირებადი ეკონომიკის იდეა მისიხადები აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატებისთვისაც. გერმანელი სოციალ-დემოკრატი რ. პილფერდინგი 1910 წელს გამოცემულ წიგნში „ფინანსური კაპიტალი“, დასაშვებად თვლიდა ეკონომიკური კრიზისის დამანგრეველი მოქმედების შერბილებას. საწარმოთა გამსხვილების, კრედიტის სფეროს გაფართოების და სხვა მოვლენების შედეგად, კაპიტალის კონცენტრაციის ტენდენციის გაძლიერება ძირეულად ცვლის ეკონომიკის ანარქიულ ხასიათს და ამ უკანასკნელის ორგანიზებულ კაპიტალიზმად გარდაქმნას იწვევსო, – აღნიშნავდა იგი.

რ. პილფერდინგმა „ფინანსურ კაპიტალში“ გამოთქმული მოსაზრებები შემდგომ ორგანიზებული კაპიტალიზმის თეორიაში განავითარა. ამ თეორიის პრინციპები მან 1927 წელს ქალაქ კილში გამართულ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ჩამოაყალიბა. ამ ყრილობაზე იგი აღნიშნავდა: დღეს ჩვენ ვიმყოფებით კაპიტალიზმის განვითარების ისეთ პერიოდში, როდესაც თავისუფალი კონკურენციის ერა და ბაზრის ბრმა კანონების ბატონობა ძირითადად დაძლეულია, ახლა ჩვენ მივიღებთ ეკონომიკის კაპიტალისტურ ორგანიზაციამდე, სხვა სიტყვებით – ეკონომიკურ ძალთა თავისუფალი თამაშიდან ორგანიზებულ ეკონომიკაზე გადასვლამდე [3, 120]. ასეთი პროცესი, პილფერდინგის აზრით, განპირობებული იყო მონოპოლიების განვითარებით: მონოპოლიები თავდაპირველად აერთიანებენ ერთი დარგის ცალკეულ საწარმოებს, ხოლო შემდეგ კი აკონტროლებენ მთელ დარგებს, და პროცესი ერთიანი ორგანიზებული ეკონომიკის შექმნით მთავრდება.

ორგანიზებული კაპიტალიზმის თეორიის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალიზმის შედეგად იქმნება მონოპოლიები, რომლებიც თანდათან იპყრობენ კაპიტალისტურ ეკონომიკას, ავიწროებენ კონკურენციას და მეურნეობის განსახელმწიფოებრიობის პროცესებთან ერთად, კაპიტალისტურ ეკონომიკას ორგანიზებულ ჩარჩოში აქცევენ.

რეგულირებადი კაპიტალიზმის პროტექციონისტულ იდეაზე პოზიტიური მოსაზრებები ჰქონდათ „სტოკჰოლმის სკოლის“ წარმომადგენლებს: კ. ვიკსელს, გ. კასელს, ე. ლინდალს, გ. მიურდალს, ბ. ულინს და სხვ. მათი შეხედულებები XX საუკუნის 30-იან წლების დასაწყისში, ჯ. კეინზის მთავარი ნაშრომის „დასაქმების, სარგებლის და ფულის ზოგადი თეორიის“ გამოქვეყნებამდე ჩამოყალიბდა.

შვედური ანუ სტოკჰოლმის სკოლა ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში ყველაზე გავლენიან ეკონომიკურ მიმართულებებს შორის მოიხსენიებოდა. შვედური სკოლის იდეების აღორძინების პერიოდი XX საუკუნის 20-30-იანი წლები. ამ სკოლის თეორიულ იდეებს საფუძველი ჩაუყარა კნუტ ვიკსელმა (1851-1926 წწ.). კ. ვიკსელის ნაშრომებია: „ღირებულება, კაპიტალი და რენტა ეკონომიკურ თეორიებში“ (1893წ.); „პროცენტები კაპიტალზე და საქონელთა ფასები“ 1898წ.); „ლექციების კურსი პოლიტიკურ ეკონომიაში“. (ორტომეული,

1901-1906 წწ.) და სხვ. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კ. ვიკსელის მიერ გამოქვეყნებულ სხვა ნაშრომებს დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან. კ. ვიკსელის შეხედულებები აღიარებული იქნა მხოლოდ 30-იანი წლების შუა პერიოდში [4,340].

თავდაპირველად კ. ვიკსელი ტრადიციულ მარქინალისტურ შეხედულებებს იზიარებდა, მაგრამ მათ თანდათანობით გაემიჯნა. იგი მარქინალიზმს მწყობრ, მაგრამ არასაკმარისად რეალურად თვლიდა. ამ თეორიის საწინააღმდეგო მისი მთავარი არგუმენტია ის, რომ „თავისუფალი კონკურენციის ვარაუდი სრულად არ ეთანხმება რეალურ სინამდვილეს“ [5, 171]. მისი აზრით, ცდებიან ის ავტორები, რომლებიც თავისუფალ კონკურენციაში მოსახლების მოთხოვნილების ყველაზე სრულად დაკმაყოფილების უზრუნველყოფის პარამეტრებს ხედავენ [5, 141].

კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების ანალიზის საფუძველზე კ. ვიკსელი დაასკვნის, რომ გარდაუვალა მისი წონასწორობის დარღვევა. იგი ეჭვის ქვეშ აყენებდა კაპიტალისტურ ეკონომიკაში დარღვეული წონასწორობის ავტომატურად აღდგენის შესაძლებლობას.

შემდგომში კ. ვიკსელის რიგმა შეხედულებებმა ასახვა პოვა რეგულირებადი ეკონომიკის კეინზურ თეორიაში.

კ. ვიკსელის მოწაფეები: ე. ლინდალი, გ. მიურდალი, ე. ლუნდბერგი, ბ. ულინი და სხვა თავიანთ პრიორიტეტად ეკონომიკური პროცესების დინამიკურ ანალიზს მიიჩნევენ. ისინი შეეცადნენ ეკონომიკური ანალიზის სტატიკური მეთოდების შეზღუდულობის დაძლევას.

ე. ლინდალმა დინამიკური ამოცანები ვიკსელის ტრადიციებთან შესაბამისობაში დასვა. მან განიხილა სარგებლის განაკვეთის ცვლილებების გავლენა ფასებისა და დასაქმების დინამიკაზე. მან მიმდევრობითი ანალიზის მეთოდის გამოყენების საფუძველზე დაასკვნა: მნიშვნელოვანი უმუშევრობის მეთოდის გამოყენების საფუძველზე დაასკვნა: მნიშვნელოვანი უმუშევრობის არსებობის პირობებში სარგებლის განაკვეთის შემცირებას მასტიმულირებელი ზემოქმედება შეუძლია მოახდინოს წარმოებაზე, ხოლო მოთხოვნის შესაბამისმა გაფართოებამ უნდა უზრუნველყოს დასაქმების ზრდა არამარტო წარმოების საშუალებათა წარმოებაში, არამედ იმ დარგებშიც, რომლებიც მოხმარების საგნებს აწარმოებენ [6].

ე. ლინდალის მიხედვით, სარგებლის განაკვეთი სახელმწიფომ უნდა შეამციროს. აქედან გამომდინარე, იგი მხარს უჭერს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერებას.

კაპიტალისტური ეკონომიკის შინაგან არასტაბილურობაზე აქცენტი გაკეთებული ე. ლუნდბერგის წიგნში, რომელიც ჯ. კეინზის მთავარ ნაშრომამდე ერთი წლით ადრე გამოვიდა.

XX საუკუნის 30-იანი წლების შვედი ეკონომისტები ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების კვალობაზე, სულ უფრო მეტ ყურადღებას ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრობლემისადმი იჩენდნენ. 1937 წელს შვედეთში დაარსდა კონიუნქტურული პრობლემების კვლევის ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელად ე. ლუნდბერგი დაინიშნა. ეკონომიკური კონიუნქტურის

რეგულირების მთავარ იარაღად შევედ ეკონომისტებს საბაზრო განაკვეთზე სასესხო სარგებლის ზემოქმედება მიანდათ [7, 518]. 30-იან წლებში გუნარ მიურდალმა გამოსცა წიგნი „ფულადი წონასწორობა“ [2], რომელშიც დაწერილებითაა ეს საკითხები განხილული. 1927 წელს მიურდალს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ავსტრიელ ეკონომისტ ფრიდრიხ ჰაიკთან ერთად მიენიჭა ნობელის პრემია ეკონომიკაში ნაშრომებისათვის ფულის, კონიუნქტურული რყევის თეორიასა და ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციონალური პროცესების ურთიერთზეგავლენის ანალიზში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის.

აღსანიშნავია, რომ 1929-1933 წლებში ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, შევედი ეკონომისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შეიძლება რეგულირების არასაკმაო საშუალებო იარაღი აღმოჩნდეს. შევედი ეკონომისტების აზრით ფინანსურმა პოლიტიკამ შეიძლება მხოლოდ დამხმარე როლი ითამაშოს. 30-იან წლებში ე. ლინდალმა ჩამოაყალიბა სახელმწიფო ბიუჯეტის „ციკლური დაბალანსების“ კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად, ეკონომიკური კრიზისის პირობებში სახელმწიფომ უნდა შეამციროს გადასახადები, „დეფიციტურ დაფინანსებას“ მიმართოს და გაზარდოს ასიგნებები საზოგადოებრივ სამუშაოებზე. ამის შედეგად წარმოშობილი დაეალიანება უნდა დაიფაროს ციკლური აღმავლობის დროს, როდესაც საგადასახადო შემოსავლები იმატებს. შევედურმა სკოლამ თავისი კვლევის შედეგებით ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ეკონომიკური აზრის ისტორიაში.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე შევედური მოდელი, რომელიც ლიტერატურაში „შვედური სოციალიზმის“ სახელწოდებითაა ცნობილი, მკაფიოდ გამოკვეთილი სოციალური მიმართულებით გამოირჩევა. მისი ბირთვია მძლავრი სოციალური პოლიტიკა და აქედან გამომდინარე, სოციალურ გარდაქმნათა მაღალი დონე, რაც საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობით ხორციელდება. შევედურ მოდელს სოციალური ასპექტების წინა პლანზე წამოწევა დიდად განახლებებს საბაზრო ეკონომიკის სხვა ცნობილი მოდელისაგან. მაგალითად, თუ იაპონური მოდელის მთავარი ნიშანთვისება ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპებია, შევედური მოდელის ეფექტიანობის კრიტერიუმად მისი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი სოციალური შედეგებია მიჩნეული.

შვედურ მოდელში დინამიკური ბაზარი ორიგინალურადაა შერწყმული მნიშვნელოვანი სოციალური მიზნების მიღწევასთან. შევედეთი გამოირჩევა მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის სისტემით. იგი წარმოადგენილია მომსახურებისა და ფულადი დახმარებების მრავალფეროვანი ფორმებით, სადაც გაითვალისწინება შემოსავლების ინდექსირება ინფლაციასთან კავშირში. დასავლეთის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, შევედეთის ეკონომიკა უფრო მეტად უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალური დაცვის მაღალ დონეს, პირადი შემოსავლების გაცილებით ნაკლებ დიფერენციაციას, გამორიცხავს მასობრივ სიღარიბესა და მასობრივ უმუშევრობას.

იმ სოციალურ პრობლემებს შორის, რომელთა გადაწყვეტას ემსახურება



საზოგადოების შექვედრი მოდელი, გამოიყოფა: თანასწორობის პრინციპი, რაც საზოგადოების ყოველი წევრისათვის კეთილდღეობის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფას ნიშნავს; სოციალური გარანტიების საიმედო სისტემა; შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების მაღალი დონე.

შედეგთში მაღალი სოციალური დანახარჯების წყალობით უზრუნველყოფილია სოციალური დაზღვევის ქმედითი გარანტიები, სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურებისა და განათლების ხელმისაწვდომობა, საზოგადოების ყველა წევრისთვის უფლებამოსილება მიიღოს საკმაოდ მაღალი დონის სოციალური ფასეულობები და მომსახურება [9, 368].

შედეგთში მიიჩნევენ, რომ სოციალური მომსახურება საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებული სფეროა, სადაც განაწილებითი ურთიერთობანი მხოლოდ საბაზრო რეგულირების კანონზომიერებებს არ უნდა ექვემდებარებოდნენ.

სოციალურ მომსახურებაში დომინირებად როლს სახელმწიფო კომუნალური სექტორი ასრულებს, რაც იმას ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყვანილია საბაზრო ძალების მოქმედების სფეროდან (ე. ი. ნაწილდება არა შემოსავლების, არამედ მოთხოვნის მიხედვით), ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოება მნიშვნელოვნად აკონტროლებს იმ კაპიტალს, რომელიც სამუშაო ძალის კვლავწარმოებაზე წარმართება. აქ, საკუთრების პლურალიზმის პირობებში, გაბატონებულია საკუთრების აქციონერული ფორმა, ე. ი. სადაც მრავალი მესაკუთრეა წარმოდგენილი. ჯგუფური ინტერესების ბატონობას შეესაბამება ჯგუფური საკუთრება.

შედეგთში ეკონომიკის მართვა სამ ბერკეტს ეყრდნობა: ესაა ეკონომიკური წონასწორობის პროგნოზირება უახლოესი პერსპექტივისათვის – ოპტიმალურ ვადად ითვლება ერთი წელი, როგორც ყველაზე მეტად პროგნოზირებადი. ძირითად პარამეტრებში გამოიყოფა დასაქმების ტენდენცია, ინფლაციის ზრდის ტემპი და საშინაო და საგარეო საგადასახადო ბალანსის მდგომარეობა; მეორე, კონტროლი კაპიტალურ დაბანდებებზე; მათ მიზნებსა და მოცულობაზე, და ბოლოს, მესამე – რესურსების განაწილება მოსახლეობას შორის, ყველა ადამიანის შესაძლებლობების გამონათანაბრება [10, 30].

შედეგთი გამოირჩევა ცხოვრების მაღალი დონით. ამ მაჩვენებლის მიხედვით მას მე-6 ადგილი უკავია მსოფლიოში, ხოლო საზოგადოების შიგნით შემოსავლების განაწილების თანაბარზომიერებით – პირველი. სახელმწიფო კომუნების მეშვეობით ფარავს საბინაო გადასახადს, თუ ის საოჯახო ბიუჯეტს ზედმეტად ტვირთავს. თითოეულ ბავშვს თექვსმეტ წლამდე ასაკში ერიცხება ხუთი ათას კრონამდე წელიწადში, ხოლო ობლებს უფრო მეტიც. ატრემანქანის შექენა და გარკვეულ პერიოდში მათი შეცვლა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის პრობლემას არ წარმოადგენს. გარდა ამისა, ადგილობრივი მკვიდრის სამართლებრივი დაცულობა მაღალ დონეზეა.

სოციალიზმის „შედეგთ მოდელს“ მიღწევებთან ერთად ნაკლოვანებებიც გააჩნია, რაც უფრო მეტად აგრარულ სფეროშია შესამჩნევი. ფერმერთა კავშირი, მართალია, ჭარბად უზრუნველყოფს ქვეყანას ყველა აუცილებელი პროდუქტით,

მაგრამ არასრულყოფილი შიდა კონკურენციის გამო, მან მონოპოლური მდგომარეობა დაიკავა და შესაძლებლობა მიეცა თავისი ფასები უკარნახოს კვების მრეწველობის დარგებს [11].

მიუხედავად ამისა, მცირე ტერიტორიის მქონე შევდეთის ეკონომიკა უნიკალურია. მისთვის დამახასიათებელია განათლების მაღალი დონე და ნეიტრალიტეტი. იგი ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრია. შევდეთში მრავალი კომპანია ფუნქციონირებს, მათ შორის საერთაშორისო კომპანიები „ჟოდლო“, „საბ-სკანია“, „ატლას კოპკო“, „ელექტროლუქსი“ და სხვ.

შევდეთის ეკონომიკისათვის მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფო სექტორის დიდი ხვედრითი წონა, რომელშიც დასაქმებულია ქვეყნის სამუშაო ძალის 31% [12, 387]. სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს წარმოების და, კერძოდ, მრეწველობის რეგულირებაში. იგი აქტიურად ხელს უწყობს ზოგადად წარმოების განვითარებას და განსაკუთრებით ფუნქციონირებას, რომელთა დასაბეგრი განაკვეთები ჩვეულებრივზე 20-30-ით დაბალია. ამასთან, შევდეთის სახელმწიფო პოლიტიკა მთლად სრულყოფილად ვერ ჩაითვლება, რამდენადაც იგი უფრო მეტ ყურადღებას უთმობს მსხვილ კომპანიებს, ხოლო მცირე საწარმოთა პრობლემები მეორე პლანზეა გადაწეული. აქ ძირითადად სახელმწიფოს გამგებლობის სფეროშია განათლება და ჯანდაცვა, ასევე, სახელმწიფოს სრულ ან ნაწილობრივ მფლობელობაშია კომპანიათა 8% და ქვეყნის ექსპორტის 9% [12.387].

შევდეთში ძირითადი სოციალური ინფრასტრუქტურაც სახელმწიფოს ხელშია კონცენტრირებული და იგი დასავედეთის ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი სახელმწიფო-კომუნალური სექტორით გამოირჩევა. ერთობლივი ანუ „კონსოლიდირებული“ სახელმწიფო სექტორი შევდეთში მოიცავს სოციალურ დაზღვევასაც.

შევდების აზრით, კარგად გააზრებული და სოციალურად სამართლიანი განაწილებისა და გადაანაწილების პოლიტიკის განხორციელება, ფართო მასების მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ზრდა მხოლოდ ეფექტიანი, კონკურენტუნარიანი და დინამიკურად განვითარებული ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი.

შევდეთის ეკონომიკა ორიენტირებულია ინფლაციისა და უმუშევრობის არსებითად შემცირებისაკენ, რამდენადაც მსოფლიო დონესთან შედარებით მაღალი ინფლაციის პირობებში უფრო ძნელია დასაქმების მაღალი დონის მიღწევა. შევდური მოდელის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის „სრული დასაქმების“ მიღწევაა. ამ მხრივ, ქვეყანა გამოირჩევა, განვითარებულ ქვეყნებს შორის, შრომისუნარიანი მოსახლეობის ყველაზე მაღალი დასაქმების დონით – 83-84%-ის ფარგლებში [13, 194]. გარდა ამისა, აქ დამკვიდრებული „სოლიდარული ხელფასის“ სისტემის მიხედვით, ხელფასის დონეებში სხვადასხვა დარგებისა და პროფესიების მიხედვით მსოფლიოში ყველაზე მცირე სხვაობაა.

შევდური მოდელის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური

მაჩვენებელია სიღარიბის პრობლემის წარმატებით დაძლევა. მოსახლეობის ერთ სულზე პირადი მოხმარებით შეედეთი პირველ ადგილზეა ევროპაში და მესამეზე მსოფლიოში აშშ-ის და კანადის შემდეგ.

შედეგში საკუთრებისა და ძალაუფლების მძლავრი ინსტრუმენტია აქციები. აქ აქციების მფლობელობაში საოჯახო მემკვიდრეობის წილი უფრო მაღალია, ვიდრე დასავლეთის სხვა ქვეყნებში. ყოველი მეოთხე შეედი ფლობს აქციას, მაგრამ შედარებით მცირე რაოდენობით. მსხვილი საწარმოების აქციათა საკონტროლო პაკეტებს მცირე ჯგუფები ფლობენ: აქციების უმსხვილესი მფლობელებია სადაზღვეო, საინვესტიციო კომპანიები და სხვადასხვა ფონდები. შედეგები სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვაში სახელმწიფოს აქტიური, მაგრამ უპირატესად არაპირდაპირი ჩარევის მომხრეები არიან.

საბაზრო ეკონომიკის შედეგური ვარიანტის კრიტიკოსები აღნიშნავენ სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის არასაკმარის მოქნილობასა და ეფექტიანობას [13, 184]. მათი აზრით, სახელმწიფო ზედმეტად მეურვეობს შედეგთის საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა მხარეს და ზღუდავს კერძო ინიციატივას.

შედეგთი ასევე განთქმულია განათლების მაღალი დონით. ქვეყანაში არსებული ტიპური სასკოლო პროგრამები მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადების საშუალებას იძლევა. იგი ლიდერობს ჯანდაცვაშიც. განსაკუთრებული ყურადღების საგანია ქვეყნის უსაფრთხოება, გარე სამყაროს მდგომარეობა და საზოგადოების კეთილდღეობა.

შედეგთის გამოცდილება ცხადყოფს, რომ სოციალურად ყველაზე უფრო სამართლიანი განაწილება, მოკალაქეთა დაცულობის, სოციალური სტაბილურობის, ეკონომიკური რესურსების ეფექტიანი გამოყენება და ბუნების დაცვის მაღალი დონის მიღწევა, მემკვიდრეობის მართვის საბაზრო მეთოდებისა და სახელმწიფო რეგულირების ოპტიმალური შეთანაწყოების გზითაა შესაძლებელი. მართლაცდა შედეგური მოდელის პირობებში ისინი ერთმანეთს ავსებენ და მიზანმიმართულად ურთიერთზემოქმედებენ.

ლიტერატურა

1. Брегель Э. Я., Критика буржуазных течений об экономических системах капитализма, М., 1972
2. Брегель Э. Я., Империализм и кризис мирового капитализма, М., 1968
3. Гильфердинг, Р., Капитализм, социализм и социал-демократия, М., 1928
4. ა. სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001
5. K. Wicksell, Lectures on Political Economy, Vol I, 1934
6. E. Lindahl, Penningpolitikes medel, Malmö, 1930
სადაც A-ძირითადი წარმოებრივი ფონდების ამორტიზაციის წლიური თანხა; C- პროდუქციის მასის თვითღირებულება; Π- საწარმოს მოგება წელიწადში; Φ_ა - ძირითადი წარმოებრივი ფონდების საშუალო წლიური ღირებულება.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასული საწარმოებისათვის მთავარ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს მოგება. ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის გამოსახატავედ მრავალი ავტორი [2, 81; 3, 156 და სხვა] მიმართავენ ძირითადი ფონდების საშუალო წლიურ ღირებულებასთან საბაზანსო მოგების შეფარდებას და მას ძირითადი ფონდების რენტაბელობას უწოდებენ.

ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოყვანილი იქნეს ძირითადი წარმოებრივი ფონდების რენტაბელობის (Φ_რ) საანგარიშო ფორმულა. კერძოდ, პირველი ფორმულიდან გამომდინარე, გვექნება:

$$\Phi_{\text{რ}} = \frac{A}{C} \cdot \Pi \quad (2)$$

დაეუბრუნდეთ ისევ პირველ საანგარიშო ფორმულას. აქ მოტანილი

$A + \frac{A}{C} \cdot \Pi$ იგივე პროდუქციის მოცულობაა და სხვა არაფერი, ოღონდ პროდუქციის საერთო მოცულობიდან ძირითად წარმოებრივი ფონდებზე მოსული „წილობრივი პროდუქცია“ და, თავის მხრივ, შედგება ძირითადი წარმოებრივი ფონდების ამორტიზაციის წლიური თანხისა და „წილობრივი მოგებისაგან“ $\left[\frac{A}{C} \cdot \Pi \right]$. პროდუქციის ერთეულის საქარხნო გასაშვები ფასი ხომ ყველა შემთხვევაში შედგება თვითღირებულებისა და მოგების ჯამისაგან.

ამრიგად, პირველ საანგარიშო ფორმულაში დაცულია ფონდუკუების განსაზღვრის ტრადიციული და საყოველთაოდ მიღებული ფორმა. ამსთანავე, ფონდუკუების მაჩვენებელზე აღარ ზემოქმედებენ წარმოებრივი ფონდების გარდა სხვა რესურს-ფაქტორები.

ზემოაღნიშნულთან ერთად, პირველი საანგარიშო ფორმულის პრაქტიკულ გამოყენებას ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი:

1. წარმოებრივი პროცესში უნდა მონაწილეობდეს სამივე სახის წარმოებრივი რესურსი (მომუშავენი, ნედლეული და მასალები, ძირითადი წარმოებრივი ფონდები) და მათზე გაწეული დანახარჯები (მომუშავეთა წლიური ხელფასი, ძირითადი წარმოებრივი ფონდების ამორტიზაციის წლიური თანხა, პროდუქციის

საწარმოებლად გამოყენებული ნედლეულის და მასალების ღირებულება) პროდუქციის თვითღირებულებაში უნდა აისახებოდეს;

2. წარმოებრივ რესურსებზე გაწეული დანახარჯების პროპორციულად განსაზღვრულ „წილობრივ პროდუქციათა“ ჯამი უნდა შეადგენდეს საწარმოს (ფირმის) პროდუქციის გასაშვებ ფასს. აქედან გამომდინარე, ძირითადი წარმოებრივი ფონდების საამორტიზაციო დანახარჯების (ცვეთის ღირებულება), მომუშავეთა ხელფასის და გამოყენებული მასალების ღირებულების აბსოლუტური სიდიდეები პროდუქციის საქარხნო გასაშვები ფასითაა შემოფარგლული და ამ ფასის „წილობრივ პროდუქციებად“ დაყოფის ზემოაღნიშნული პრინციპით არის განპირობებული;

3. რესურსების გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრის შეთავაზებული მეთოდი (წესი) უნდა იყოს მარტივი. ამ მიზნით მოვახდინოთ პირველი საანგარიშო ფორმულის შემდგომი გარდაქმნა.

$$\Phi_{\text{შ}} = \frac{A \cdot C + A \cdot \Pi}{C \cdot \Phi_{\text{კ}}} = \frac{A \cdot (C + \Pi)}{C \cdot \Phi_{\text{კ}}} \quad (3)$$

გამოსახულება $C + \Pi$ თვითღირებულებისა და მოგების ჯამია; იგი საერთო პროდუქციის მასა (B), ანუ მისი ფასია. ამიტომ ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\Phi_{\text{შ}} = \frac{A \cdot B}{\Phi_{\text{კ}} \cdot C} = \frac{A}{\Phi_{\text{კ}}} \cdot \frac{B}{C} \quad (4)$$

ამ ფორმულაში $A_1 = \frac{A}{\Phi_{\text{კ}}}$ არის ძირითადი წარმოებრივი ფონდების

ამორტიზაციის კოეფიციენტი, იგი ნორმირებული უნდა იყოს ძირითადი წარმოებრივი ფონდების სახის შესაბამისად. მაშასადამე, იგი უნდა იყოს სტაბილური (მუდმივი) გარკვეულ წლებში და მოცემული ამორტიზაციის ნორმათა კრებულში. ზოგიერთი სპეციალისტი საეჭვოდ მიიჩნევს ასეთი ნორმების კრებულის გამოყენების მიზანშეწონილობას საბაზრო ეკონომიკის პირობებში (ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი ეკონომიკის პირობებში ასეთი კრებული გამოიყენებოდა). ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას თუნდაც იმ მოტივით, რომ დანახარჯების აღრიცხვის მოუწყესრიგებლობის და მოწყობილობის დატვირთვის დაბალი დონის მიუხედავად, ძირითადი ფონდები გარკვეულ ფიზიკურ და მორალურ ცვეთას ექვემდებარება.

$K = \frac{B}{C}$ სიდიდე არის საერთო პროდუქციის მოცულობისა (პროდუქციის წარმოებრივი ფასისა) და თვითღირებულების წლიურ სიდიდეთა შეფარდება, ანუ ე.წ. „მოგების კოეფიციენტი“, რომლის სიდიდე დამოკიდებულია გაწეულ წარმოებრივ დანახარჯებზე და პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობებზე, ანუ მისი საბაზრო შეწონასწორებული ფასის სიდიდეზე. ამდენად, K ცვლადი სიდიდეა და მასზე ზემოქმედებას ახდენს როგორც საწარმოს (ფირმის) საწარმო-

სამეურნეო საქმიანობის, ისე მისი მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობა და პროდუქციის საბაზრო რეალიზაციის პირობები.

უქმობის შედეგად გამოიძინარე, ერთი ნორმატიული და ერთი ცვლადი ხიდიდის მეშვეობით შეიძლება დაიწეროს ფონდუკუგების საკმაოდ ზუსტი მანქანების საანგარიშო უმარტივესი ფორმულა:

$$\Phi_{\text{სა}} = A_1 \cdot K \quad (5)$$

შეიძლება ჩამოყალიბდეს ფონდუკუგების მანქანების განსაზღვრის წესი: ფონდუკუგება განისაზღვრება ამორტიზაციისა და მოგების კოეფიციენტების ნამრავლით.

ანალოგიური მიდგომით დავადგინეთ შრომის მწარმოებლურობის და მასალაუკუგების ზუსტი მანქანების განსაზღვრის წესები და უმარტივესი საანგარიშო ფორმულები:

1) შრომის მწარმოებლურობა ($\Pi_{\text{შრ}}$) განისაზღვრება ერთი მომუშავეს წლიური ხელფასისა ($3_{\text{შრ}}$) და მოგების კოეფიციენტის (K) ნამრავლით:

$$\Pi_{\text{შრ}} = 3_{\text{შრ}} \cdot K \quad (6)$$

2) მასალაუკუგება ($M_{\text{სა}}$) განისაზღვრება მასალის ფიზიკურ ერთეულზე მოსული ფრანკო გამოყენების ადგილის (ყიდვა, ტრანსპორტირება, დასაწყობება) ხედრითი დანახარჯებისა ($M_{\text{სგ}}$) და მოგების კოეფიციენტის (K) ნამრავლით:

$$M_{\text{სა}} = M_{\text{სგ}} \cdot K \quad (7)$$

მე-5, მე-6 და მე-7 საანგარიშო ფორმულები გამოიჩვენებენ თავისი სიმარტივით და ანალოგიური დანიშნულების ტრადიციულ საანგარიშო ფორმულებთან შედარებით გაცილებით მაღალი სიზუსტით;

4. უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ისიც, რომ ძირითადი წარმოებრივი ფონდები შედგება აქტიური და პასიური ნაწილებისაგან, რომელთა გამოყენების შინაარსობრივი მხარე, ცვეთის ინტენსივობა და ექსპლუატაციის ხანგრძლივობა სხვადასხვაა და მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ფონდუკუგების მანქანებზე და აქვეითებს მისი რეალობის დონეს. ამიტომ, გაანგარიშებათა სიზუსტის ამაღლების მიზნით უმჯობესია ფონდუკუგების და ძირითადი ფონდების რენტაბელობის მანქანებზე განისაზღვროს ძირითადი წარმოებრივი ფონდების აქტიური ნაწილისათვის. მაშინ საანგარიშო ფორმულებს ექნება შემდეგი სახე:

$$\Phi_{\text{სა}} = \frac{A_{\text{აქტ}} + (A_{\text{პა}} / C) \cdot \Pi}{\Phi_{\text{აქტ}}} \quad (8)$$

$$\Phi_{\text{აქტ}} = \frac{(A_{\text{აქტ}} / C) \cdot \Pi \cdot 100}{\Phi_{\text{აქტ}}} \quad (9)$$

სადაც $\Phi_{\text{კაბტ}}$ - არის ძირითადი წარმოებრივი ფონდების აქტიური ნაწილის საშუალო წლიური ღირებულება; $A_{\text{კტ}}$ - ძირითადი წარმოებრივი ფონდების აქტიური ნაწილის ამორტიზაციის თანხა.

5. რესურსების გამოყენების ეფექტიანობის საანგარიშო ფორმულები უნდა ითვალისწინებდნენ დროის ფაქტორს.

საბაზრო ურთიერთობის პირობებში საამორტიზაციო ანარიცხების მართვა და ძირითადი წარმოებრივი ფონდების კვლავწარმოების პროცესი არარეგულირებადი ხდება; იგი დამოკიდებულია უკვე საბაზრო ფასების ცვალებადობაზე, ინფლაციის პროცესებზე, საწარმოსა და ინვესტორს შორის შეთანხმებაზე და სხვა. ამის მოუხედავად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითადი წარმოებრივი ფონდების ცვეთის პროცესი მაინც მიმდინარეობს და თხოვლობს ამორტიზაციას. ამიტომ, წარმოებრივი სისტემის შეფასების დროს უნდა გამოითვალოს ფონდუკუგების და ძირითადი ფონდების რენტაბელობის სიდიდეები ამ ძირითადი ფონდების ექსპლუატაციის ხანგრძლივობის (ამორტიზაციის პერიოდის) მიხედვით. მაშინ, საანგარიშო ფორმულები შემდეგ სახეს მიიღებენ:

$$\Phi_{\text{კაინტ}} = \sum_{i=1}^T \Phi_{\text{კ.ი}} \cdot a_i; \quad \Phi_{\text{რ.ინტ}} = \sum_{i=1}^T \Phi_{\text{რ.ი}} \cdot a_i;$$

$$\Phi_{\text{კ.საშვლ}} = \Phi_{\text{კაინტ}} / n; \quad \Phi_{\text{რ.საშვლ}} = \Phi_{\text{რ.ინტ}} / n;$$

$$\Phi_{\text{კ.დ.ი}} = \Phi_{\text{კ.ი}} \cdot a_i; \quad \Phi_{\text{რ.დ.ი}} = \Phi_{\text{რ.ი}} \cdot a_i$$

სადაც n - არის საანგარიშო წლების რაოდენობა, T - საანგარიშო წლის რიგითი ნომერი; a_i - დაყვანის კოეფიციენტი i -ურ წელს, $\Phi_{\text{კ.ი}}$ და $\Phi_{\text{რ.ი}}$ ძირითადი წარმოებრივი ფონდების აქტიური ნაწილის ფონდუკუგების და რენტაბელობის მაჩვენებლებია საანგარიშო i -ურ წელს, $\Phi_{\text{კაინტ}}$ და $\Phi_{\text{რ.ინტ}}$ - ფონდუკუგებისა და ძირითადი ფონდების რენტაბელობის ინტეგრალური სიდიდეებია საანგარიშო წლების n რაოდენობაზე გაანგარიშებით, $\Phi_{\text{კ.საშვლ}}$ და $\Phi_{\text{რ.საშვლ}}$ - ფონდუკუგებისა და ძირითადი ფონდების რენტაბელობის დაყვანილი სიდიდეებია საანგარიშო წელს.

6. ზემოთ წარმოდგენილი გამოკვლევით დაშვებულია დანახარჯების ელემენტების სტრუქტურის შესაბამისად წლიური საბალანსო მოგების დაყოფა „წილობრივ მოგებებად“ და, ამის გათვალისწინებით „წილობრივი პროდუქციების“ მიღება. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რესურსების გამოყენების

ეფექტიანობის მაჩვენებლები (შრომის მწარმოებლურობა Π_{36} , ფონდუკუგება - Φ_{36} მასალაუკუგება M_{36}) განისაზღვრება „წილობრივი პროდუქციების“ წლიურ მოცულობათა შეფარდებით შესაბამისი რესურსების სიდიდეებზე:

$$\Pi_{36} = \frac{B_{36}}{R}; \quad \Phi_{36} = \frac{B_{36}}{\Phi_j}; \quad M_{36} = \frac{B_j}{M}$$

სადაც R მომუშავეთა საშუალო სიობრივი რიცხვია, M - წლის განმავლობაში გამოყენებული მასალის მოცულობა (ღირებულება).

ხაზობრივი დამოკიდებულებების კანონის თანახმად მიგვანჩნია, რომ შემოადინიშნულ ყოველ „წილობრივ პროდუქციაზე“ (B_{36}, B_{36}, B_9) მოქმედებს ორი ფაქტორი და ისინი შეიძლება გამოისახოს თანამამრავლის სახით:

$$B_{36} = \Pi_{36} \cdot R; \quad B_{36} = \Phi_{36} \cdot \Phi_j; \quad B_j = M_{36} \cdot M \quad (12)$$

ამ ფაქტორების გავლენა „წილობრივი პროდუქციების“ მოცულობაზე შეიძლება გაანგარიშდეს ფართობებისა და მოცულობების განაწილების მეთოდით [4, 15]:

$$f_1 = \frac{X_{20}}{2X_{10}} (X_{11}^2 - X_{10}^2); \quad f_2 = \frac{X_{11}}{X_{10}} (X_{10} \cdot X_{22} - X_{20} X_{11}) + f_1, \quad (13)$$

სადაც X_{10}, X_{20} ფაქტორების საწყისი პარამეტრებია, ხოლო X_{11}, X_{22} - ფაქტორების საანგარიშო პარამეტრები.

იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია „წილობრივი პროდუქციის“ საწყისი მოცულობა, ფაქტორების საწყისი პარამეტრები და წილობრივ პროდუქციაზე ფაქტორთა გავლენის პერსპექტიული სიდიდეები, ფაქტორთა პერსპექტიული (საანგარიშო) პარამეტრები (X_{11}, X_{22}) შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფორმულებით [4, 20]:

$$X_{11} = \sqrt{\frac{2X_{10}f_1}{X_{20}} + X_{10}^2}; \quad X_{22} = \frac{f_2 - f_1}{X_{11}} + \frac{X_{20}X_{11}}{X_{10}} \quad (14)$$

7. ხეშთ წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ საერთო პროდუქციის მოცულობა, რესურსების ხაზით გაწეული დანახარჯები, წილობრივი პროდუქციის მოცულობები და მათზე მოქმედი ფაქტორები ერთმანეთთან გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან, ეს დამოკიდებულება ასახულია სქემით და ქმნის ერთიან სისტემას.

N. Bichiashvili, L. Bichiashvili. On the Question of Improving the Definition and Management of Efficiency of Productive Resources

Under conditions of market relations, the issues of productive resources efficiency are of great importance, which is greatly dependent on the proper definition of such efficiency. For this purpose the authors have introduced a new concept of *share products*; all production costs are divided into three groups; based on the groups and the share of profits, the quantitative indicators of the share products are determined by their division into the corresponding quantities of productive resources. With high accuracy are determined the productive resources efficiency indicators (yield on capital investments, labour productivity, returns on materials, etc).

The article provides a scheme and design formulas of interdependency between total products, share products, relevant resources, and their efficiency.



**მიკროეკონომიკა. შრომის
ეკონომიკა**

6. კაიზაძე

**შრომა და სოციალური პოლიტიკის საკითხები
ბარდამაშვალ კერიოლში**

საზოგადოების შრომითი ცხოვრების სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალურ პოლიტიკას. მასთანაა დაკავშირებული ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ეხება ადამიანთა მდგომარეობას საზოგადოებაში და მათთვის სოციალური გარანტიების უზრუნველყოფას, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისა და ფენების თავისებურებათა გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, სოციალური პოლიტიკის სფეროში უნდა მოქცეს როგორც შრომისუნარიანი, ისე არაშრომისუნარიანი მოსახლეობა.

სამწუხაროდ, საქართველოში სოციალური პოლიტიკის ფორმირების არსებული პრაქტიკა ცალმხრივი ხასიათისაა, რაც განპირობებულია ეკონომიკურ პოლიტიკასთან მისი სუსტი კავშირით. ცხადია, სოციალური პროგრამების განხორციელება მოითხოვს დიდ რესურსებს, რასაც უზრუნველყოფს მაღალგანვითარებული ეკონომიკა. ეს კი შეუძლებელია მაღალკვალიფიციური და მაღალმწარმოებლური შრომის გარეშე. აქედან გამომდინარე, სოციალური პოლიტიკა სრულყოფილი ვერ იქნება, თუ იგი მოიცავს მოსახლეობის მხოლოდ ე.წ. დაუცველ ნაწილს (ბავშვებს, მოზარდებს, მრავალშვილიან დედებს, ინვალიდებს, პენსიონერებს, უმუშევრებს და ა.შ.). სოციალური პოლიტიკა ეკონომიკურად შრომის სფეროზე დამოკიდებული. ამ უკანასკნელის მასშტაბები და ეფექტიანობა კი, თავის მხრივ, განპირობებულია მშრომელთა ინტერესების გამომხატველი სოციალური პოლიტიკით. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება სოციალურ-შრომითი პოლიტიკის სწორად განსაზღვრა.

რეალურად, შრომის ნებისმიერი პრობლემა ამა თუ იმ სახით სოციალურ-შრომითი პოლიტიკის საგანია. ცხადია, შრომის პრობლემების მრავალმხრივობა, სოციალურ-შრომითი პოლიტიკის მრავალმხრივობას განაპირობებს. ამასთან, იგი ვერ იქნება სრულყოფილი, თუ პირდაპირ არ იქნა დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროების პოლიტიკასთან, რომლებიც

უშუალოდ სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე ზემოქმედებენ.

სოციალურ-შრომითი პოლიტიკას აქვს შემდეგი სამი ასპექტი: ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული.

ეკონომიკური ასპექტიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა პროდუქტული დასაქმებისა და უმუშევრობიდან დაცვის ურთიერთზემოქმედება. მისი მიზანია შრომითი რესურსების (სამუშაო ძალის) გამოყენების გაუმჯობესება. მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დასაქმების ფონდის სახსრების განაწილებას უმუშევრობის შესამცირებლად და უმუშევრებისათვის შემწეობად. ცნობილია, რომ რაც მაღალია შემწეობის წილი, მით დაბალია შრომის სტიმულები. ამიტომ, ეკონომიკურად განვითარებულ სოციალურ ქვეყანაში მოქმედებენ დევიზით: „მუშაობა სოციალური დახმარების ნაცვლად“. საზოგადოებრივი პროგრესის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შრომის მოტივაციის აქტიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება იყოს ისეთი ეკონომიკური პირობების შექმნა, რომლის დროსაც შრომისუნარიანი მოქალაქე უპირატესობას არა სოციალურ დახმარებას, არამედ მუშაობას მიანიჭებს.

სოციალურ-შრომითი პოლიტიკის ეკონომიკური ასპექტიდან მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა პოლიტიკა შრომის ანაზღაურებისა და მშრომელთა ფორმირების სფეროში. როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელფასს აქვს სამი ფუნქცია: 1) კელავწარმოებითი; 2) მასტიმულირებელი; 3) მარეგულირებელი. კელავწარმოებითი ფუნქცია გულისხმობს შრომის ანაზღაურების აუცილებელი მინიმალური დონის დადგენას. იგი უნდა ემყარებოდეს რიგ ფიზიოლოგიურ და სოციალურ კრიტერიუმებს. მისი მიზანია, არსებული ინფლაციის გათვალისწინებით, შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის აყენა რეალურ საარსებო მინიმუმამდე. აღნიშნული ფუნქციის რეალიზაცია რეალურ ცხოვრებაში ასახევს პოულობს სახელმწიფოს მიერ მინიმალური ხელფასის დაწესებაში, რომელიც საკუთრების ყველა ფორმისა და ეკონომიკის ნებისმიერი დარგისათვის აუცილებელია.

ხელფასის მასტიმულირებელი ფუნქცია გულისხმობს შრომის ანაზღაურების დონის დიფერენციაციას შრომის რაოდენობის, ხარისხისა და ეფექტიანობის მიხედვით.

ხელფასის მარეგულირებელ ფუნქციაში კი სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებაზე ზემოქმედება იგულისხმება. მისი მიზანია შრომის ბაზარზე და შრომითი საქმიანობის ორგანიზაციაში რაციონალური დაბალანსების მიღწევა. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ნაკლებეფექტიანი შრომით დასაქმებულთა შემცირებას და, შესაბამისად, შრომის ანაზღაურების დონის ზრდას.

სამწუხაროდ, არსებული ეკონომიკური კრიზისის გამო, ამჟამად საქართველოში ხელფასი ზემოაღნიშნულ თავის ვერც ერთ ფუნქციას სრულად ვერ ასრულებს. მაგალითად სახელმწიფოს მიერ დაწესებული მინიმალური ხელფასი სანახევროდაც ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ძალის ფასს, ანუ საარსებო მინიმუმს. დასახვეწია შრომის ანაზღაურების დონის დიფერენციაციის მექანიზმი. გაუმართლებელია ქვეყანაში არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო აპატარაში მაღალ თანამდებობაზე მომუშავეთა

ხელფასის სიდიდე იმდენად დაბალია, რომ იგი კერ უზრუნველყოფს 3 სუღიანი ოჯახის შენახვას მინიმალურ დონეზე. ალბათ ესაა არსებული კორუფციის ერთ-ერთი მიზეზი. იგივე ითქმის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სფეროში დასაქმებულებზე და ა.შ. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჯგერჯერობით ხელფასის განაკვეთების დიფერენციაციაში მომუშავეთა კვალიფიკაციის დონესა და შრომის სირთულეს ნაკლები ყურადღება ექცევა. მშრომელთა შემოსავლების ფორმირების ორი ძირითადი სახე არსებობს. პირველის წყაროა მომუშავეთა შრომითი საქმიანობა, მეორესი – დაბანდებული მატერიალური და ფულადი სახსრები. პირველი რეალიზდება ხელფასის, მეორე კი დივიდენდების სახით. შემოსავლების ამ ორი სახის ერთმანეთში არევა არ შეიძლება, რამდენადაც მათი ბუნება განსხვავებულია.

სოციალურ-შრომითი პოლიტიკის ტექნოლოგიური ასპექტი გულისხმობს ტექნოლოგიური მეცნიერების გამოყენებას ადამიანთა საქმიანობის ყველა დარგსა და სფეროში. მისი მიზანია წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და შრომის პირობების გაჯანსაღება. ტექნოლოგიური პოლიტიკის რეალიზაცია სახელმწიფოს ან ცალკეული ფონდების მიერ გამოყოფილი ფინანსური გრანტების (ასიზნებათა) საშუალებით ხდება. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სპეციალური კვლევითი სამუშაოები, რომელთა მიზანია პროგრესული ტექნოლოგიური პროექტების დამუშავება და მათი წარმოებაში დანერგვა.

რაციონალური ტექნოლოგიური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი შედეგია შრომის პირობების უმჯობესობა. პროგრესული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, როგორც წესი, თან ახლავს ადამიანებისათვის მისაღები და მიმზიდველი შრომითი პროცესების ტექნოლოგიების დანერგვა. ეს კი, თავის მხრივ, შრომის შინაარსის სრულყოფას და სამუშაო ადგილებზე გარემოს გაჯანსაღებას განაპირობებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციალურ-შრომითი პოლიტიკის ორგანიზაციული ასპექტი. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია შრომითი საქმიანობის ორგანიზაციის პრობლემების გადაჭრაში სოციალურ-შრომითი პოლიტიკის როლის ამაღლებით. მას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ცალკეული მომუშავეის მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებისას. ორგანიზაციულ პოლიტიკაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კეთილსასურველი სოციალური გარემოს ჩამოყალიბება. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, განპირობებულია მომუშავეთა აღზრდის, განათლებისა და კულტურის საერთო დონით.

სოციალურ-შრომითი პოლიტიკის ორგანიზაციული ასპექტის მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა სოციალური სისტემის ორგანიზაციული დაპროექტება. მიკროდონეზე ასეთი სისტემის დაპროექტებისას გამოიყენება მოდელირების მეთოდები. ამისათვის წარმატებით იყენებენ თანამედროვე კომპიუტერულ ტექნიკას.

დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-შრომითი სფეროს ინსტიტუციონალურ რეგულირებას. ტერმინში „ინსტიტუცია“ გულისხმობენ სახელისუფლო

სტრუქტურებს, რომლის დახმარებითაც სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების (საქმიანობის) ასპექტები რეგულირდება. პრაქტიკაში ასეთი რეგულირება სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით ხორციელდება. მაგალითად, სოციალურ-შრომითი ურთიერთობების ფორმირებაზე ინსტიტუციონალური ზემოქმედება ხდება სათანადო სახელმწიფო პოლიტიკის გატარებით ისეთ სფეროებში, როგორცაა: სოციალური უზრუნველყოფა; მომუშავეთა სოციალური დაცვა; სოციალური პარტნიორობა; შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების დამუშავება და ა.შ. ქვეყნის მასშტაბით სოციალურ-შრომითი სფეროს სახელმწიფო რეგულირება ქვეყნის შრომითი კოდექსის საფუძველზე ხორციელდება.

უკანასკნელ წლებში განვითარებულ ქვეყნებში მეცნიერ ეკონომისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ინსტიტუციონალური ეკონომიკის პრობლემების კვლევას. ფაქტობრივად ყალიბდება ეკონომიკის ნეოინსტიტუციონალური თეორია. მის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება ამერიკელი ეკონომისტი ჯ.კომონსი. მან თავის ნაშრომში „კაპიტალიზმის სამართლებრივი საფუძვლები“ [1] ჩამოაყალიბა აზრი, რომლის მიხედვითაც ეკონომიკის შესახებ ანალიტიკური აზროვნებისა და დასკვნების გამოტანის საფუძველია გარემოება. ამრიგად, ადამიანსა და ბუნებას შორის ურთიერთობებთან შედარებით ადამიანსა და ადამიანებს შორის ურთიერთობები წამოიწვეა წინა პლანზე. გარიგებაზე ყურადღების აქცენტირება ელინდება იმაში, რომ ამა თუ იმ მოქმედ პირთა მიერ რესურსების ათვისება და, შესაბამისად, მოგების მიღება დამოკიდებულია არა იმდენად მათ ბუნებასთან ურთიერთობების ეფექტიანობაზე, რამდენადაც ადამიანებს შორის ურთიერთობების ეფექტიანობაზე. აქედან გამომდინარე, ჯ.კომონსმა ჩამოაყალიბა ქვეყნის „ნებაყოფლობითი“ თეორია. ამ თეორიის შესაბამისად, მოქმედი ინდივიდის თვალსაზრისით, ფასეულობა (ღირებულება) მომავლის მიზნებითა და გეგმებით განსაზღვრული საბოლოო შედეგია, რაც დროის მოცემულ პერიოდში აუცილებელ ქცევას განაპირობებს. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ოპტიმალური ქცევის განჭვრეტას. ზემოაღნიშნული თეორიის შესაბამისად, ფასეულობათა განვითარების (ზრდის) საფუძველია ეკონომიკური პროცესების შესატყვისი „სუბიექტივიზმი“.

სოციალური პოლიტიკის რეალიზაციაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალურ პარტნიორობას. მასში იგულისხმება დამკვირვებლისა და დაქირავებულებს (მეწარმეებს და მომუშავეებს) შორის ურთიერთობათა ისეთი ტიპი და სისტემები, რომლის დროსაც სოციალური მშვიდობის ფარგლებში მათი უმნიშვნელოვანესი მიზნების შეხამება მიიღწევა. პრაქტიკაში იგი გვევლინება რომელიმე კლასის ან პიროვნების დიქტატურის ალტერნატივად. სოციალურ პარტნიორობა საქმიანობის პრონციპების ფორმირება სამამულო პრაქტიკის ტრადიციების და ისტორიული გამოცდილების საფუძველზე ხდება. ცხადია, ამ დროს ეყრდნობიან, აგრეთვე, მსოფლიო გამოცდილებას და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ სოციალური პარტნიორობის ზოგად პრინციპებს. დიდი მნიშვნელობა აქვს პარტნიორობა ურთიერთობის

ისეთ მხარეებს, როგორიცაა: ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შემუშავება და დადება, ურთიერთკონსულტაციები და ურთიერთკონტროლი, კოლექტიური დავის გადაწყვეტის ცივილიზებული მეთოდების გამოყენება და ა.შ.

პარტნიორები მოლაპარაკებებზე და კონსულტაციებისას კომპეტენტურები უნდა იყვნენ. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური პარტნიორობის პროფესიულ-კომპეტენტური ორგანოებისა და ყველა სხვა ინსტიტუტის რაციონალურ ფორმირებას.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დამუშავებულია კოლექტიური შეთანხმების მოდელი. მასში გათვალისწინებულია სოციალური პარტნიორობის განვითარებაში მოწინავე ქვეყნების გამოცდილება.

სამწუხაროდ, საქართველოში სოციალური პარტნიორობის ურთიერთობანი უკიდურესად დაბალ დონეზეა. აქ არაეფექტიანად მოქმედებს პარტნიორობის ისეთი მექანიზმები, როგორიცაა: ტრიპარტიზმი, ორმხრივი კომისიები, შემარიგებელი ან შემათანხმებელი ორგანოები. სამწუხაროდ, ჯერჯერობით საქართველოში თითქმის არ არსებობს სოციალური პარტნიორობის განვითარების სამართლებრივი ბაზა, რაც უარყოფითად ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

ლიტერატურა

I.J. Commons, Legal Foundations of Capitalism, New York, 1957

Н. Паичадзе. Вопросы труда и социальной политики в переходном периоде

В сфере трудовой жизни общества значительное место занимает социальная политика. В Грузии существующая практика формирования социальной политики носит односторонний характер, что обусловлено ее слабой связью с экономической политикой.

Социально-экономическая политика имеет три аспекта: экономический, технологический и организационный. В экономическом аспекте значительны взаимодействие продуктивной занятости и защиты от безработицы и политика оплаты труда в сферах формирования трудящихся. Технологический аспект подразумевает использование достижений технологической науки во всех отраслях и сфере человеческой деятельности. От организационной политики значительно зависит формирование доброжелательной социальной сферы. Ее значительным направлением является организационное проектирование социальной системы.

Большое значение имеет институциональное регулирование социально-трудовой сферы. На сегодняшний день в передовых государствах мира формируется неинституциональная теория, одним из основателей которой является американский

экономист Дж. Коммонс. По его мнению, основанием для выводов и аналитического мышления об экономике служит сделка.

Огромное значение в реализации социальной политики имеет социальное партнерство. В Грузии, к сожалению, отношения социального партнерства находится на очень низком уровне.

N. Paichadze. Labour and Social Policy Issues in Transition Period

Social policy occupies a significant place in the working life of a society. The existing in Georgia practice of social policy formulation is of one-sided character, this being conditioned by its weak relations with economic policy.

Social and economic policy has three aspects: economic, technological, and organizational. The correlation of productive employment and protection against unemployment, as well as the remuneration of labour policy in the spheres of labourers' forming are important in terms of economy. The technological aspect implies the use of technological advances in all the branches and spheres of human activity. The formulation of a favourable social sphere is greatly dependent on the organizational policy. The organizational design of social system is its significant trend.

Of much significance is the institutional regulation of the social and labour sphere. Nowadays, a neo-institutional theory is being formed in the advanced countries of the world, one of its founders being an American scientist Commans. According to him, a deal is the basis for forming a conclusion and analytical thinking on economy.

Social partnership is of the greatest significance in realizing social policy. Regretfully, social partnership relations in Georgia are developed rather poorly.

მარკეტინგი

6. თოდუა, ე. ურატაძე

მარკეტინგი პროდუქციის ასორტიმენტის მართვაში

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმა საწარმოთა საქმიანობის საბაზრო ურთიერთობებზე ორიენტაციას მოითხოვს. ამიტომ იზრდება საწარმოთა მართვისადმი მიზნობრივი, ანუ სტრატეგიული მიდგომის მნიშვნელობა, რომლის ერთ-ერთი არსებითი მომენტიცაა სწორი საასორტიმენტო პოლიტიკის განხორციელება.

ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პირობებში საწარმოთა საასორტიმენტო პოლიტიკა უნდა დაეყრდნოს შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს: მოსახლეობის დიფერენცირებული ჯგუფების მოხმარების, მოთხოვნისა და მოთხოვნილების ხასიათისა და თავისებურებების შესწავლა; ასეთი ჯგუფების მიერ საქონლის ასორტიმენტისადმი მოთხოვნის სპეციფიკის გამოვლენა; იმ ფაქტორებისა და პირობების გამოვლენა, რომლებიც განსაზღვრავენ მოთხოვნილებისა და მოთხოვნის ფორმირებაში არსებით განსხვავებებს. აქვე უნდა გავეთვალისწინოთ ის გარემოება, რომ მომხმარებელს სურს მაღაზიის დახლებზე იხილოს სამამულო საქონლის ფართო და მრავალფეროვანი ასორტიმენტი, ხოლო წარმოების ინტერესებში კი იგი მაქსიმალურად უნდა იყოს ტიპიზებული, უნიფიცირებული და არსებულ საწარმოო ძალებთან შესაბამისობაში მოყვანილი. ასეთ პირობებში საწარმოებისათვის ასორტიმენტის ფორმირება, უწინარეს ყოვლისა, მიეკუთვნება მარკეტინგული კვლევის ამოცანებს. აღნიშნული ამოცანა სამამულო საწარმოებში რთულდება ხარისხიანი ნედლეულის და მასალების, შესაბამისად, კონკურენტუნარიანი მზა ნაწარმის მწვავე დეფიციტის გამო, მაგრამ მარკეტინგული კვლევის საფუძველზე საასორტიმენტო პოლიტიკის ფორმირების აუცილებლობა უკვე არსებობს. როგორც ბაზრის სეგმენტაციის სპეციალისტი ე. სმითი აღნიშნავს: „სეგმენტაცია საყრდენი წერტილის სახით უზრუნველყოფს ბაზრის განვითარებას მოთხოვნის თვალსაზრისით, რაც გულისხმობს პროდუქციისა და მარკეტინგული საქმიანობის რაციონალურ და უფრო ზუსტ შეთანაწყობას მომხმარებელთა მოთხოვნილებებ-

თან. . . ყოველივე ამის შედეგად შესაძლებელია მოთხოვნის უამრავი ფაქტორის გამოვლენა იქ, სადაც ადრე მხოლოდ ერთი იყო გამოვლენილი“ [1, 3-8].

განვითარების პერსპექტივების განსაზღვრის, აგრეთვე, საშინაო და საგარეო ბაზარზე ერთიანი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით საქართველოს საწარმოებში უნდა ჩატარდეს ღონისძიებათა კომპლექსი ბაზრის გამოკვლევაზე. შედეგები შეიძლება გამოვიყენოთ საასორტიმენტო პოლიტიკის ფორმირებისათვის. შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი პრინციპები:

- საწარმო ორიენტირებული უნდა იყოს ისეთი პროდუქციის გამოშვებაზე, რომელიც დააკმაყოფილებს მომხმარებელთა განსაზღვრული ჯგუფის მოთხოვნებს;

- პროდუქციის მოცულობა, სტრუქტურა და ხარისხობრივი პარამეტრები უნდა განისაზღვროს საბაზრო გამოკვლევების საფუძველზე;

- ასორტიმენტის ოპტიმიზაცია მიიღწევა ასორტიმენტის მაქსიმალური დიფერენციაციით, რომელშიც გაითვალისწინება მომხმარებელთა მოთხოვნილებები, მოდასთან ნაწარმის შესაბამისობა, სასაქონლო მიწოდების ჩამოყალიბებული სტრუქტურა და მისი ორგანიზაცია მიზნობრივი მყიდველების – ბაზრის ცალკეული სეგმენტების შერჩევის საფუძველზე, რომელთა მოთხოვნილებაც უნდა დააკმაყოფილოს მოცემული საწარმოს მიერ გამოშვებულმა პროდუქციამ;

- საბაზრო გამოკვლევების საფუძველზე უნდა შედგეს პროდუქციის ასორტიმენტული სტრუქტურა, აგრეთვე ცალკეული სახეობისა და მოდელის სამომხმარებლო დახასიათება. თითოეული ასორტიმენტული პოზიცია უნდა გაანალიზდეს ახალი ტექნოლოგიის გამოყენების, მომხმარებელთა განსაზღვრულ ჯგუფთან პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების მიახლოების, ასორტიმენტისა და მოდის განვითარებაში ცვლილებების საფუძველზე მისი შემდგომი სრულყოფის შესაძლებლობის თვალსაზრისით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოებში საასორტიმენტო პოლიტიკის ფორმირება აუცილებლად მოითხოვს პოტენციური მომხმარებლის მოთხოვნის შესწავლას მოსახლეობის ტიპოლოგიის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მოთხოვნის პროგნოზირებისათვის მათემატიკური მოდელის შექმნა, რომელიც აღწერს მომხმარებელთა ჯგუფების მოთხოვნას არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. ამასთან, ცხადია, რომ დღეისათვის გრძელვადიანი და საშუალოვადიანი პროგნოზების შემუშავებასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება მოკლევადიან პროგნოზებს.

ჩვენს მიერ შემუშავებულ მოდელში გამოყენებულია სოციოლოგიური (მომხმარებელთა ანკეტური გამოკითხვა) და სტატისტიკური ინფორმაცია. მოდელი შედგება ოთხი ეტაპისაგან და მის მიხედვით შესაძლებელია ერთდროულად დავიანგარიშოთ მოთხოვნის პროგნოზი რამდენიმე სახეობის საქონელზე, რომლებიც ერთ სასაქონლო ჯგუფში არიან გაერთიანებულნი, მაგალითად, მხოლოდ ავეჯისათვის ან მხოლოდ პირადი გარდერობის ნივთებისათვის და ა.შ.

პირველ ეტაპზე ხდება მომხმარებელთა ტიპების გამოვლენა და შედარებით ინფორმაციული ტიპწარმოქმნელი (სოციალურ-დემოგრაფიული) ნიშნების შერჩევა. შერჩეული ნიშნების რაოდენობა დიდი არ უნდა იყოს. ითვლება, რომ ყველაზე მეტ გავლენას მომხმარებელზე, მოთხოვნაზე და, შესაბამისად, სამომხმარებლო ქცევაზე ახდენს ისეთი მანქნებელი, როგორცაა ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების დონე, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში არსებული ასეთი მანქნებელი არარეალურია, ვინაიდან იგი ვერ ასახავს ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს. ჩვენს მიერ ჩატარებული ანკეტური გამოკითხვით გამოვლინდა ახალგაზრდა კონტინენტის მომხმარებელთა ხუთი ტიპი: ავანგარდული - 3,7%, მოდას მიმდევრები - 20,9%, კონფორმისტები - 45,5%, დამოუკიდებლები - 22%, გულგრილები - 7,9%. ზემოთ დასახელებული ტიპების მოთხოვნა ატარებს კონკრეტულ ხასიათს, ამ მოთხოვნის გათვალისწინება პროდუქციის მოდელირების, წარმოებისა და რეალიზაციის დროს ერთ-ერთი წინაპირობაა ახალგაზრდული კონტინენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაში.

მეორე ეტაპზე გაინგარიშება თითოეული ტიპის მომხმარებელთა ყიდვის (რეალიზაციის) კოეფიციენტი და დამატებითი ყიდვის ალბათობის კოეფიციენტი. თითოეული ტიპი განიხილება, როგორც რესპოდენტთა დამოუკიდებელი მთლიანობა. ეს მთლიანობა კონკრეტული საქონლის შექმნის განზრახვის მიხედვით შეიძლება დაეყოთ ოთხ ჯგუფად:

I ჯგუფი: სურდა ყვიდა საკვლევი საქონელი და იყიდა იგი (q_1 არის თითოეულ ტიპში რესპოდენტების ხვედრითი წონა);

II ჯგუფი: სურდა ყვიდა საკვლევი საქონელი, მაგრამ ვერ შეიძინა იგი ამა თუ იმ მიზეზით (q_2 არის თითოეულ ტიპში II ჯგუფის რესპოდენტების ხვედრითი წონა);

III ჯგუფი: არ პქონდა განზრახული საქონლის შექმნა, მაგრამ იყიდა იგი (q_3 არის თითოეულ ტიპში III ჯგუფის რესპოდენტების ხვედრითი წონა);

IV ჯგუფი: არ სურდა ყვიდა საქონელი და არც შეუძენია იგი (q_4 არის თითოეულ ტიპში IV ჯგუფის რესპოდენტების ხვედრითი წონა).

რეალიზაციის (ყიდვის) კოეფიციენტი (λ_σ) გაიანგარიშება I და II ჯგუფის განზრახვის მიხედვით:

$$\lambda_\sigma = \frac{q_1}{q_1 + q_2}; \quad 0 \leq \lambda_\sigma \leq 1 \quad (I)$$

დამატებითი ყიდვის ალბათობის კოეფიციენტი (λ_Δ), რომელმაც შეიძლება შემდგომში გავლენა მოახდინოს მოთხოვნაზე, გამოითვლება II და III ჯგუფის რესპოდენტების მიხედვით. პროგნოზის გაანგარიშებისათვის მხედველობაში მიიღება მიზეზი „გაყიდვაში საქონლის არარსებობა“ (აღენიშნოთ იგი Δ_1 -ით, აქ იგულისხმება, რომ ფული ამ საქონლის შესაქმნად მომხმარებელს დარჩა. თუ ეს ტიპი შეინარჩუნებს ყიდვის დასახულ გეგმას, მაშინ იგი თავის მოთხოვნას მთლიანად გადაიტანს მომავალი წლისათვის. მეორე ჯგუფის მიხედვით შერჩევა რესპოდენტები, რომლებმაც დაუგეგმავად შეიძინეს საქონელი გამოჩენილი

შესაძლებლობების წყალობით (აღენიშნეთ იგი Δ_2 -ით). ამრიგად, კოეფიციენტი λ_{Δ_1} არის დამატებითი ყიდვის ალბათობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს i-ური ტიპის ხვედრით წონა, რომელმაც მიუთითა Δ_1 მიზეზი. ამასთან, დაცული უნდა იყოს პირობა:

$$\sum_{i=1}^s \lambda_{\Delta_i} = 1 \quad (2)$$

მესამე ეტაპზე ხორციელდება საპროგნოზო წლისათვის კონკრეტულ საქონელზე i-ური ტიპის მომხმარებელზე მოთხოვნის პროგნოზირება (S_i) რეალიზაციის და ალბათობის კოეფიციენტების გათვალისწინებით:

$$S_i = P_i [q_i (\lambda_{\sigma} + \lambda_{\Delta_1}) + \lambda_{\Delta_2}] \cdot N \quad (3)$$

სადაც P_i i-ური ტიპის ხვედრითი წონაა; q_i - მომხმარებელთა ხვედრითი წონა, რომელმაც გამოთქვა სურვილი, შეიძინოს მოცემული საქონელი; N - საპროგნოზო წელს მოსახლეობის რაოდენობა.

მეოთხე ეტაპზე ტარდება მომხმარებელთა i-ური ტიპის მოთხოვნის გაანგარიშება საქონლის ცალკეული სახეობის მიხედვით ნატურალურ მანქვებლებში, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$S_{ij} = S_i \cdot T_j \cdot K_j \quad (4)$$

სადაც S_{ij} არის i-ური ტიპის მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის j-ური რაოდენობა; T_j - j-ური ასორტიმენტის ხვედრითი წონაა, რომელიც მომხმარებელმა ვერ შეიძინა; K_j - j-ური ასორტიმენტის კონკურენტუნარიანობის დონის კომპლექსური მაჩვენებელი [2].

ზემოთ განხილული მაჩვენებლების გათვალისწინებით კონკრეტული საქონლის ცალკეულ სახეობებზე მოსახლეობის მოთხოვნა (W) შეიძლება გამოეთვალათ:

$$W = N \cdot \sum_{i=1}^n S_i \cdot \prod_{j=1}^m K_j \cdot T_j \quad (5)$$

სადაც n - i-ური ტიპის რაოდენობაა; m - კონკრეტული საქონლის j-ური ასორტიმენტის რაოდენობა.

კონკრეტული საქონლის ცალკეული სახეობის პროგნოზი ფულად მანქვებლებში (W) გამოითვლება ფორმულით:

$$\bar{W} = W \cdot C \quad (6)$$

სადაც C - კონკრეტული საქონლის ცალკეული სახეობის საბაზრო ფასია.

ზემოთ აღწერილი მოდელირება გამოყენებულ იქნა აბრეშუმის ქსოვილების ასორტიმენტული სტრუქტურის გასაანგარიშებლად საქართველოს ახალგაზრდული კონტიგენტის მაგალითზე (იხ. ცხრილი 1).

აბრეშუმის ქსოვილები ასორტიმენტული სახეობის პროგნოზი მომხარებელთა ცალკეული ტიპების გათვალისწინებით (ათას მეტრებში)

ასორტიმენტი	აენგარ- დული	მოღის მიმდევრები	კონფორმის- ტები	დამოუკი- დებლუ- ბი	ბულგრი- ლები	$\sum T_i$
საკაბე	13,8	174,4	2031,1	647,2	37,6	2904
საკოსტუმე	24,8	345,3	3656,2	1164,9	67,7	5258
საპურანგე	11,0	139,5	1624,3	517,8	30,1	2322
სასარულე	15,2	191,8	2234,2	711,9	41,4	3194
სალაბადე	26,2	331,3	3859,2	1229,7	71,4	5517
ავეჯის და	26,2	331,3	3859,3	1229,7	71,4	5517
დეკორატიული	21,3	226,7	2640,1	841,4	48,9	3778
თავსამკაული						
$\sum S_j$	138,5	1740,3	19903,2	6342,6	368,5	28489

ამრიგად, მოცემული მოდელის გათვალისწინებით შესაძლებელია ისეთი ასორტიმენტული სტრუქტურის შემუშავება, რომელიც ადეკვატურად ასახავს მოსახლეობის მოთხოვნას და ითვალისწინებს ჩამოყალიბებულ სასაქონლო მიწოდებას. ეს შესაძლებლობას მისცემს საწარმოს, გამოიშვას მაღალხარისხოვანი საქონელი და გაუძლოს კონკურენციას ბაზარზე.

ლიტერატურა

1. Wendell R. Smith. Product Differentiation and Market Segmentation as Alternative Marketing Strategies, Journal of Marketing, July, 1986
2. კონკურენტუნარიანობის დონის კომპლექსური შეფასებისათვის იხ. ჩვენს მიერ აღრე გამოქვეყნებული სტატიები: ეურნ. „ეკონომიკა“ - 1992 წ., №3-4; 1994 წ., №4-5; 1995 წ., №7-9; ეურნ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა, 2000 წ., №11

Н. Тодуа, Е. Уротадзе. Маркетинг в управлении ассортиментом продукции

В статье рассмотрена проблема формирования ассортиментной политики в отечественных предприятиях на основе маркетинговых исследований и показан путь ее решений с использованием сегментации рынка. Для определения оптимальной ассортиментной структуры разработана математическая модель прогнозирования спроса потенциального потребителя с учётом типологии населения.

N. Todua, E. Urotadze. Marketing in the Improvement of Product's Range Management

The article examines the problem of assortment policy formulation at domestic enterprises on the basis of marketing research and demonstrates the way of its solution by using the niche-marketing. For determining the optimum assortment structure a mathematical demand forecast model has been developed with allowance for consumer types.



**წინანახა. ფულის მიმოძვრა.
 კრედიტი**

II. ბოლოკაპი

**ფასიანი ძალაღებები როგორც წინანსური ბაზრის
 მონაწილეობის ელემენტი**

ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ზრდა, ეროვნული ვალუტის კურსის განმტკიცება და ინფლაციური პროცესების შეჩერება სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, უშუალოდ არის დამოკიდებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის მდგომარეობაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმოქმნასა და განვითარებას სხვადასხვა ქვეყნებში წინ უსწრებდა ურთიერთგანსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები. თითოეულ მათგანში კი მის ერთ-ერთ ძირითად პირობად მიჩნეული იყო იმ ობიექტურად არსებული წინააღმდეგობის დაძლევა, რომელიც არსებობდა კაპიტალზე მზარდ მოთხოვნასა და მის არასაკმარისი მოცულობით მიწოდებას შორის. კაპიტალზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობის გაუმჯობესება ხორციელდებოდა კაპიტალის სხვადასხვა მესაკუთრეთა (უმეტესწილად წერილმესაკუთრეთა) კაპიტალის ნებაყოფლობითი გაერთიანებით ანუ აქციონირებით. თანამედროვე ეტაპზე აქცია ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მყარ და მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს. ფასიანი ქაღალდების ერთობლიობაში გარკვეული ადგილი უკავია აგრეთვე ობლიგაციებს, თამასუქებს, სხვადასხვა ფულად ჩეკებს, კონოსამენტებს ანუ სასაქონლო ზედდებულებს. ფასიანი ქაღალდები მის მესაკუთრეს აძლევს გარკვეული შემოსავლის (უმეტესწილად ფულადი შემოსავლის) მიღების უფლებას.

ფასიანი ქაღალდების ეკონომიკური ბუნების განხილვისას საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას, რომ იგი ყოველთვის მჭიდროდ არის დაკავშირებული ფულთან და ფულად წარმონაქმნს წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც, რომ ფასიანი ქაღალდის ესა თუ ის სახე თითქმის ყოველთვის ფულის ფუნქციებს უკავშირდება. მაგალითად, ობლიგაცია და აქცია უმეტესწილად ასოცირდებიან ფულის დაგროვების ფუნქციასთან, ხოლო თამასუქები, განსაკუთრებით კი მოკლევადიანი თამასუქები – გადახდის ფუნქციასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფასიანი ქაღალდები შეიძლება განვიხილოთ როგორც ფულის

სახეშეცვლილი, გარდაქმნილი ფორმა.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარს არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს. მას საფუძველი ჩაეყარა საციალისტურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში და იგი ახლაც ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესშია. ამ ეტაპზე მისი წარმოშობის ძირითად ფაქტორად პრივატიზაცია უნდა იქნეს მიჩნეული. ეს სახეებით ბუნებრივია, რადგან პრივატიზაცია განიხილება როგორც მატერიალურ ფასულობათა კერძო მფლობელთათვის გადაცემის პროცესი, რომლებიც შემდგომ ახდენენ ამ გზით მიღებული სახსრების გაერთიანებასა და სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბებას.

ჩვენ ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების პირველი ბაზარი შეიქმნა მე-20 საუკუნის 90-ანი წლების საწყის ეტაპზე, ცალკეულ საწარმოთა სააქციო საზოგადოებებზე გარდაქმნის შემდეგ. ეს იყო ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი გაცვლის სფეროს ნაწილი, სადაც უმნიშვნელო ოდენობით არსებული აქციების ყიდვა-გაყიდვა მიმდინარეობდა ძალზე შემცირებული ოდენობით. ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული საბაზრო ურთიერთობანი შესაძინევად გამოცოცხლდა ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესის დასრულების შესახებ 1994 წელს მიღებული ბრძანებულების მიღების შემდეგ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს იმ უარყოფით ღონისძიებათა შესახებ, რომელიც თან ახლდა პრივატიზაციის ნაუცბათვე დასრულებას. იგი უმეტესწილად მიმდინარეობდა ქაოსურად, საზოგადოებრივი ნება-სურვილების გაუთვალისწინებლად და ყოველგვარი წინასწარი შემსადების გარეშე, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო საკუთრების არასამართლიან გადაწვინვლებას მოსახლეობას შორის. ამ ხაზით მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ პრივატიზაცია უმეტესწილად ხორციელდებოდა ნახევრად გაუცხოებული საბჭოთა ფულის, აგრეთვე საქართველოში ახლად შემოღებული და გაუფასურების სინდრომით დაავადებული კუპონის მეშვეობით. იმ პერიოდისათვის დაშახასიათებელმა ამ და სხვა უარყოფითმა მოვლენებმა ქვეყანაში წარმოშვა მწვავე ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) კრიზისი, რამაც თავისი დადი დაასვა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას.

როგორც სტატიის დასათაურებაშია მინიშნებული, ფასიანი ქაღალდი ფინანსური ბაზრის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ფასიანი ქაღალდების თანხობრივი ზრდა ხელს უწყობს ფინანსური ბაზრის განვითარებას. თავის მხრივ, ფინანსურ ბაზარზე სიტუაციის გამოცოცხლება ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების მიმართ ინტერესების ზრდასა და შესაბამისად, მისი მოხმარების დასრულებას. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ფინანსურ ბაზარზე ძირითადად მიმოიქცევა დროებით თავისუფალი ის ფულადი საშუალებანი, რომელიც გააჩნია წარმოება-დაწესებულებებსა და მოსახლეობას. მაშასადამე, ფინანსური ბაზარი გვევლინება ქვეყნის მურნეობაში ფულადი საშუალებების მართვის ორგანიზატორად, რომელიც ნორმალურ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში თვითონ არეგულირებს თავის თავს, სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ-ეკონომიკური ბერკეტების ეფექტიანი გამოყენებითა და დახმარებით. ცხადია, პრივატიზაციის პროცესში მიმდინარე უარყოფითმა მოვლენებმა და სახელმწიფო ქონების არაეფექტიანმა მართვამ ფინანსური ბაზრის

გაუარესებასთან ერთად, გამოიწვია ფულის მიმოქცევაში ფასიანი ქაღალდების როლის დაქვეითება.

ფასიანი ქაღალდების როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით საგრძნობია სახელმწიფო ვალუტის მართვაში. ამ მიმართებით სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს წარმატებით იყენებს მსოფლიოს მრავალი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყანა. სამწუხაროდ საქართველოში ამგვარი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დანერგვის დონე და მისი ეფექტიანობა ეროვნული მურნეობის განვითარებაში ჯერ კიდევ უმნიშვნელოა. ჩვენ აქ ძირითადად მხედველობაში გვაქვს სახაზინო ვალდებულებები და მათთან დაკავშირებული საბაზრო ოპერაციები. სახაზინო ვალდებულებებს გრძელვადიან ინვესტიციებთან შედარებით გააჩნია გარკვეული უპირატესობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი მყარად არიან დაცული სახელმწიფოს მხრიდან და რისკის საფრთხე თითქმის უგულვებელყოფილია. გარდა ამისა, სახაზინო ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმატებით ნატარების შედეგად შეიძლება გარკვეულად შეივსოს სახელმწიფო ბიუჯეტი. იგი შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული, აგრეთვე, ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობის შესანარჩუნებლად და უცხოური ვალუტის ინტერვენციების შესამცირებლად.

საქართველოში სახაზინო ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციების გამოცოცხლებას ხელი შეუწყო 1997 წელს მთავრობის მიერ დამტკიცებულმა დებულებამ, სახელწოდებით – „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ“. სახაზინო ვალდებულება ვადიანია და მისი მიმოქცევის დრო მერყეობს 28 დღიდან ერთ წლამდე. როგორც სახაზინო ვალდებულებების აუქციონების შედეგებიდან ირკვევა, ამჟამად ჩვენში ყველაზე უფრო მეტად გავრცელებულია 28 და 91 დღიანი სახაზინო ვალდებულებები.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ გასული წლების განმავლობაში სახაზინო ვალდებულებების აუქციონების შედეგები არც თუ სახარბიელოა. კერძოდ, მისგან მიღებული შემოსავალი, რომელიც ბიუჯეტის შესავსებად იქნა გამოყენებული, გაცილებით ნაკლები იყო მის შედეგად მიღებულ შიდა ვალდებულებებთან შედარებით. აღნიშნული გარემოება გამოწვეული იყო იმით, რომ კომერციული ბანკები სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებებს ყიდულობდნენ ძალზე მაღალი საპროცენტო განაკვეთით. მაგალითად, 1997 წელს საპროცენტო განაკვეთების დონე სახაზინო ვალდებულებების 28 დღიან აუქციონზე მერყეობდა 25-52 პროცენტის ფარგლებში იგი კიდევ უფრო მაღალი იყო 91 დღიან აუქციონზე – 37-60 პროცენტი*. ეს მაშინ, როდესაც ბანკებში შეტანილი ანაბრების საპროცენტო განაკვეთი მნიშვნელოვნად დაბალი იყო აღნიშნულთან შედარებით. სახაზინო ვალდებულებების ასეთი მაღალი საპროცენტო განაკვეთი განპირობებული იყო თვით აუქციონების ჩატარებაში არსებულ ნაკლოვანებებითა და მისი მეთოდოლოგიური ბაზის

* საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი. 2002 წ., №3, გვ. 42.

გაუთვალისწინებლობით. აუქციონზე არ იყო დადგენილი დისკონტის ზღვრული ნორმა, რაც ხელს უწყობდა საპროცენტო განაკვეთების შეუზღუდავ ზრდას. მაღალი საპროცენტო განაკვეთების არსებობას მნიშვნელოვნად განაპირობებდა ისიც, რამ სახაზინო ვალდებულებების აუქციონებზე ძირითადად დომინირებდა მხოლოდ ორი-სამი ბანკი, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ და აღწევდნენ კიდევ დისკონტის საგრძნობ ზრდას.

მომდევნო წლებში სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე სიტუაცია გარკვეულად შეიცვალა, რამაც გამოიწვია სახაზინო ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვნად შემცირება. ამ მოვლენის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის შეიძლება დავასახელოთ: სახაზინო ვალდებულებების შექმნის მსურველთა რიცხოვნობის ზრდა; 1998 წლის მეორე ნახევარში რუსეთში წარმოქმნილი ფინანსური კრიზისი, რამაც გამოიწვია ქვეყნიდან უცხოელ ინვესტორთა გადინება; აუქციონების არაორგანიზებულად ჩატარება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სახაზინო ვალდებულებების აუქციონის ჩატარების ფინანსური შედეგები სახელმწიფოსათვის ხშირად არ იყო სასურველი, რის გამოც მან გარკვეულად შეამცირა სახაზინო ვალდებულებების ემისია, ამასთან ერთად, ემისიებზე ლარის სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკის შემცირების მიზნით, უპირატესობა მიენიჭა 28 დღიანი სახაზინო ვალდებულებების გამოშვებას, რაც, ჩვენი აზრით, დადებით შეფასებას იმსახურებს.

სახაზინო ვალდებულება წარმოადგენს ერთგვარ სახაზინო თამასუქს, რომლის ემისიისა და მისი საპროცენტო განაკვეთების გადახდას ჩვენ ქვეყანაში ახორციელებს ფინანსთა სამინისტრო. სახაზინო თამასუქების მფლობელებს შეუძლიათ მისი გასხვისება, მაგრამ იგი უნდა განხორციელდეს ემისიის დაფარვის პერიოდამდე. საერთოდ, სახაზინო ვალდებულებათა აღრიცხვას ახორციელებს ეროვნული ბანკი. მასში მინიშნულია როგორც მათი მფლობელი (გარდა არასაბანკო ინვესტორებისა), ისე დაფარვის ვადები.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის სწორი მიმართულებით განვითარებისათვის, განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე, საჭიროა მისი სახელმწიფოებრივი რეგულირება. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაში პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევა და წახალისება, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მთლიან მოცულობაში მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების წილის ამაღლება, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ნორმატიული დოკუმენტებითა და საკანონმდებლო აქტებით უზრუნველყოფა.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების სწორად გამოყენებაზე. თანამედროვე ეტაპზე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნდობის ეოტუმი საფინანსო და საბანკო დაწესებულებების მიმართ, ობიექტური მიზეზების გამო, ძალზე დაბალია. ალბათ ამ მიზეზითაც არის გამოწვეული ის, რომ მისი ფულადი აქტივების წილობრივი მონაწილეობა ფასიანი

ქაღალდების ერთობლიობაში ძალზე მცირეა, მაშინ როდესაც ეს მანიევრებელი განვითარებულ ქვეყნებში მათი მოსახლეობის ფულადი აქტივების მთლიანი მოცულობის ნახევარზე მეტია. მიგვაჩნია, რომ ამ მიმართებით ყურადღების გამახვილება და საფინანსო და საბანკო დაწესებულებების მხრიდან მოსახლეობის ფულადი დანაშოგების მიზიდვის სტიმულირება მნიშვნელოვნად განამტკიცებს ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას.

Е. Болокадзе. Ценные бумаги как важнейший элемент финансового рынка

Рынок ценных бумаг является важнейшей составной частью внутреннего рынка страны. Несмотря на это, в настоящее время в Грузии внедрение и использование ценных бумаг (особенно государственных) осуществляется не на должном уровне. Свидетельством этого являются отрицательные результаты аукционов казначейских обязательств. Для дальнейшего развития данного рынка, необходимо значительно повысить в нем удельный вес муниципальных ценных бумаг и полностью обеспечить его соответствующими нормативными документами и актами. С этой целью успешно могут быть использованы также денежные накопления населения, которые из-за отсутствия доверия к финансовым и банковским учреждениям страны безрезультативно находятся в руках их владельцев.

E. Bolokadze. Securities as Significant Component of Financial Market

The securities market is the most significant component of the domestic market of a country. Notwithstanding this, the introduction and application of securities in Georgia are currently at a rather low level. This is evidenced by negative results of treasury bonds auctions. For further development of the market it is necessary that the share of municipal securities on it be significantly increased and that it be completely provided with appropriate normative instruments and deeds. For this purpose the population savings may also be successfully used which, because of the lack of confidence to financial and banking institutions of the country, are on their owners' hand.

თ. გამსახურდია

საგადასახადო შემოსავლების ზრდა – მაკროეკონომიკური
რეზულტირების მთავარი პირობა

საქართველოში წარმოების ზრდის ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად ეკონომისტთა მნიშვნელოვან ნაწილს სახელმწიფოს მიერ ბოლო წლებში გატარებული არარაციონალური ფისკალური პოლიტიკა მიაჩნია. მრავალ სხვა საკითხთან ერთად მხედველობაში აქვთ სახელმწიფოს მიერ დაწესებული გადასახადების მეტად მაღალი განაკვეთები, რომლებიც მეწარმე სუბიექტებს ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას არ აძლევს. აღნიშნული კი იწვევს მთელ რიგ უარყოფით მოვლენებს, კერძოდ, მცირდება სამეწარმეო აქტიურობა, იზრდება ფარული ეკონომიკის მოცულობა, შესაბამისად მწვაედება საბიუჯეტო პრობლემები. ჩვენი აზრით, აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსასვლელად და საგადასახადო სისტემის ოპტიმიზაციისათვის აუცილებელია ქვეყნის ფისკალური რეგულირების სისტემის ეფექტიანობის შეფასება, მისი ოპტიმიზაციის გზების გამოხატვა. ამისათვის არსებობს რამდენიმე მიდგომა, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს: *პირველი* ქვეყნის ინტერესებისა და თავისებურებების გათვალისწინებით საგადასახადო კანონმდებლობის მოწესრიგება, გადასახადების დანახარჯებზე დარიცხვის პოლიტიკაზე უარის თქმა (მხედველობაში გვაქვს დღევანდელი პოლიტიკა) და პარალელურად ისეთ სექტაზე გადასვლა, რომელიც ითვალისწინებს მეწარმე სუბიექტების მიერ შემოსავლის მიღების შესაბამისად გადასახადების გადახდას; *მეორე*, მოქმედი ფისკალური მექანიზმების ფარგლებში რაციონალური საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრა. მართალია, დღევანდელ პირობებში ეს არ შეცვლის მოქმედ საგადასახადო სისტემას, მაგრამ მიკრო- და მაკრო ეკონომიკური მეთოდების გამოყენების საფუძველზე ფისკალური პრიორიტეტების კორექტირება მოხდება.

თანამედროვე პირობებში ქვეყანაში სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების დაუბალანსებლობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. იგი თანდათანობით ღრმავდება და ეკონომიკა სულ უფრო მძიმე კრიზისულ პირობებში ექცევა, ამ მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია არამტკიცე საგადასახადო დისციპლინა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მოითხოვს საზოგადოებრივი წარმოების მართვაში ეკონომიკური ბუჯეტების გამოყენების გაძლიერებას, რაც უნდა გამოიხატოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში გადასახადების წილის ზრდაში. ამიტომ ძირეულად უნდა შეიცვალოს საგადასახადო სისტემა. საქმე ისაა, რომ ამჟამად მოქმედი საგადასახადო სისტემა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მუხრუჭად გადაიქცა, იგი არსებით გარდაქმნას საჭიროებს. აუცილებელია, რომ შეიქმნას ისეთი საგადასახადო სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის, ბიუჯეტის დეფიციტისა და ინფლაციის დაძლევას, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ერთიანობას.

ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებით. საგადასახადო კოდექსის მრავალრიცხოვანი შესწორებები მოიცავს 22 პაკეტს, რომელიც, თავის მხრივ, ასობით კონკრეტულ ცვლილებებს ასახავს. აღნიშნულმა ფართომასშტაბიანმა ცვლილებებმა გაართულეს საგადასახადო პოლიტიკა. ზოგიერთი ცვლილება შეტანილი იყო მთავრობის მიერ საგადასახადო ადმინისტრაციისა და გადასახადების აკრეფის გაუმჯობესების მიზნით, ნაწილი კი დაკავშირებული იყო სსფ-ის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამების ფარგლებში პირობების ან ვალდებულებების შესრულებასთან. ამასთან განსაკუთრებით გვიანდა აღნიშნოთ ის საკანონმდებლო ცვლილებებიც, რომლებიც მიზნად ისახავდა ცალკეული კატეგორიის გადასახადებისათვის შეღავათების დაწესებას და რომლებმაც მნიშვნელოვნად შეამცირეს საგადასახადო ბაზა [1].

საგადასახადო შეღავათების სისტემამ უნდა შექმნას ეკონომიკური წანამძღვრები ქვეყნის პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის, სტიმული უნდა მისცეს საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მოგებას გამოიყენებენ ინვესტირებისათვის. ამასთან, შედარებით მაღალი განაკვეთით უნდა დაიბეგროს ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც შემოსავალს იღებენ სხვა მწარმოებლებთან შედარებით მაღალი ფასების დაწესებით, ხელს უწყობენ ინფლაციური პროცესების განვითარებას, მათ შორის სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ პროდუქციის რეალიზაციის გზით.

განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ნაწილში პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების სწორ შეხამებას, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც გადასახდელთა ქონებრივი მდგომარეობა, ისე მათ მიერ მიღებული შემოსავლის მოცულობა [2]. დღევანდელ პირობებში არაპირდაპირი გადასახადების ხედრითი წონის ზრდის საწინააღმდეგოდ, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში გადაწყვეტი ადგილი უნდა დაიკავოს პირდაპირმა გადასახადებმა.

გადასახადების განსაზღვრისადმი მეცნიერული მიდგომით უნდა გამოირიცხოს საგადასახადო განაკვეთების მხოლოდ ფისკალური მიდგომით განსაზღვრა და ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებლად სხვა ქვეყნების გამოცდილების მექანიკური გადმოტანა. გადასახადების კონკრეტული მოცულობის განსაზღვრა უნდა ემყარებოდეს მუერნეობრივი სუბიექტებისაგან შემოსავლის იმ ნაწილის ამოღებას, რომლის შემდეგაც

დარსენილი შემოსავლის ნაწილი საშუალებას მისცემს მათ შეძლონ ფინანსურად უზრუნველყოთ წარმოების შემდგომი განვითარება. კრიზისული სიტუაციების გამწვანების დროს უმჯობესია გვექონდეს გადასახადების შედარებით დაბალი განაკვეთები გადაამხდელთა დიდი რაოდენობის არსებობით, ვიდრე რამდენიმე სახე შემოსავლისა, მიღებული მაღალი განაკვეთების დაწესებით [3].

განვითარებულ ქვეყნებში საგადასახადო შემოსავლების საშუალოდ ორი მესამედი პირად საშემოსავლო გადასახადებზე მოდის, მაშინ როდესაც საქართველოში საწარმოთა დაბეჭერა გაცილებით დიდ როლს თამაშობს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შევსებაში. გარდა ამისა, პირადი საშემოსავლო გადასახადის მოკრება ძირითადად ხდება სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებში ხელფასიდან დაკავების გზით და ამიტომ იგი განიხილება როგორც მორიგი გადასახადი ხელფასების ფონდიდან.

ეკონომიკური რეფორმების თანმიმდევრული განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის მოუქნელობა გვესახება: *პირველი*, ქვეყანაში ჯერჯერობით არ არის შემუშავებული ერთიანი, ეკონომიკის ადეკვატური, სტაბილური საგადასახადო სისტემა; *მეორე*, გადასახადების მრავალი სახეობა და გაანგარიშების სირთულე ამუხრუჭებს მათ ეფექტიანობას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შევსებაში; *მესამე*, არაეფექტიანი საგადასახადო შეღავათები და მასთან ერთად მოუფიქრებელი კვალიპროტექციონისტული პოლიტიკის გატარება ქმნის გაურკვევლობის ატმოსფეროს, სხვადასხვა ეკონომიკური სამსახურების მიერ ბიუჯეტის შევსებაში ნაკლოვანებების ურთიერთგადაბრუნების და კორუფციის ხელშეწყობის პირობებს; *მეოთხე*, შემოსავლების, ხარჯებისა და ქონებრივი უფლებების გამიჯვნის, ტრანსფერების განსაზღვრის ზუსტი მოდელის შესაქმნელად დასახეწვია ბიუჯეტშორისი ურთიერთობები. ყოველივე ეს აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს საგადასახადო სისტემის სრულყოფის ახალი კანონმდებლობის დამუშავების პროცესში.

ფისკალური პოლიტიკის შეფასება უნდა მოხდეს როგორც ეკონომიკური სუბიექტების (გადასახადის გადაამხდელების), ისე სახელმწიფოს (გადასახადების მიმღების) პოზიციებიდან. ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება ფიზიკური და იურიდიული პირების პოზიციიდან მეცნიერული თვალსაზრისით ყურადღებას არ იმსახურებს, რამდენადაც ნათელია არსებული მიდგომა, ვინაიდან რაც უფრო დაბალია გადასახადები, მით უკეთესია გადაამხდელისათვის, მაგრამ ფისკალურ პოლიტიკას თუ სახელმწიფო მხრიდან შეაფასებთ, იგი ორმხრივად შეიძლება წარმოვადგინდეს: *პირველი*, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების ეკონომიკური სისტემის სამეწარმეო აქტიურობის მოქმედების თვალსაზრისით; *მეორე*, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შეფასების მდგომარეობის თვალსაზრისით. ეს ორი მიდგომა ურთიერთსაწინააღმდეგოა, ვინაიდან თუ ფისკალური პოლიტიკა მეორე მოდელის თვალსაზრისით ეფექტიანად ფუნქციონირებს, შესაძლებელია სრულიად არაეფექტიანი იყოს პირველი მოდელის მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ფისკალური სისტემის სტრუქტურულ რეფორმას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს: 1. მხარჯავი ერთეულების რაოდენობისა და სტრუქტურის ოპტიმალურად გათვლილი ვარიანტის საფუძველზე ჩამოყალიბებას; 2. არაუფექტიანად მომუშავე უწყებების გაუქმებას, მათი საქმიანობის ამოცანებისა და ფუნქციების პარალელისმის აღმოფხვრის მიზნით ორგანიზაციების გამსხვილებასა და შერწყმას, სახელისუფლებო აპარატის ეფექტიანობის ამაღლებას. მართო ამ დონისიხებების გატარებით შეუძლებელია ფისკალური სისტემების სტრუქტურული რეფორმის წარმატებით განხორციელება. ამ რთული პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა კომპლექსური მიდგომა. კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფელი სისტემის ჩამოყალიბება, შესყიდვების ახალი მექანიზმების ჩამოყალიბება და შესყიდვის მონიტორინგის რეალური ბერკეტების გამოყენების საფუძველზე მათი მოქმედების საზღვრების მაქსიმალური გაფართოება. ამასთან აუცილებელია შემუშავდეს და მოკლე დროში დაინერგოს ვალდებულებათა კონტროლის მექანიზმების შემუშავების საფუძველზე სახაზინო სამსახურის მაქსიმალური ცენტრალიზებული და სახელმწიფო ფინანსების მართვის ერთიანი ავტომატიზებული სისტემები, სრულყოფას მოითხოვს ბიუჯეტ შორის ურთიერთობების, კერძოდ, ტრანსფერების განსაზღვრის ზუსტი მოდელის ჩამოყალიბების საფუძველზე გამიჯვნა. საინვესტიციო რესურსების ფორმირებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად პრიორიტეტულ მიმართულებად გამოდის ფინანსური ბაზრის განვითარება სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების გამოშვების გაფართოების საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ჭარბი ლიკვიდურობის განვითარებასა და საინვესტიციო აქტიურობის ზრდას. ასევე საჭიროა ხელშეწყობი პირობების შექმნა დანაზოგთა აკუმულირების ალტერნატიული საფინანსო ინსტიტუტების შექმნისა და გამოყენების თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, საბანკო სისტემისადმი არასათანადო ნდობის პირობებში, ხელს შეუწყობს საინვესტიციო რესურსების წყაროების მობილიზებასა და დაგროვებას, ინვესტიციებს შორის ეფექტიანი თანაფარდობის ჩამოყალიბებას. ამასთან აღსანიშნავია ის მოსაზრებაც, რომ დღეისათვის საქართველოში საგადასახადო შემოსავლებების ზრდის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია ეკონომიკაში ელემენტარული წესრიგის დამყარება, იგულისხმება კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარება, ფარული ეკონომიკის და კლანური ურთიერთობების მოშლა და კონტროლოს ადეკვატური მექანიზმების დანერგვა [4].

როგორც ცნობილია, გადასახადების უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა სახელმწიფო ხარჯების ფინანსური უზრუნველყოფა, ფისკალური და მარეგულირებელი როლის შესრულება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ, ერთი მხრივ, საგადასახადო განაკვეთების შემცირებამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, რეალური სექტორის განვითარებას და, მეორე მხრივ, პარალელურად უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტი საგადასახადო შემოსავლებით. გადასახადების

ოპტიმალური განაკვეთების დაწესება მოხსნის ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების შესრულების პროცესში წარმოქმნილ წინააღმდეგობებს. მეწარმეთა უმეტესი ნაწილი თვლის, რომ გადასახადების შემცირების პარალელურად საბიუჯეტო შემოსავლების შენარჩუნებისათვის ან გაზრდისათვის საჭიროა წარმოებული პროდუქციის და მომსახურების მოცულობის ზრდა, საგადასახადო ბაზის გაფართოება. აღნიშნულის დასადასტურებლად აუცილებელია გამოკვლევული იქნეს რეალური დამოკიდებულება საქართველოში არსებული გადასახადების შემცირებასა და შშპ-ის მოცულობის ზრდას შორის. ცნობილია, რომ თანაფარდობა გადასახადების განაკვეთების სიდიდესა და ბიუჯეტის შემოსავლებს შორის აღინიშნება ლაფერის მრუდით. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ რიგ ქვეყნებში მაღალი გადასახადების შემცირებამ გაზარდა ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მოცულობა და აქედან გამომდინარე, ცალკეული ქვეყნების მიმართ ამ პრობლემის განხილვა სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს.

საქართველოში გადასახადების შემცირებასა და ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ზრდას შორის თანაფარდობითი ანალიზი აძნელებს სრულყოფილი მეცნიერული დასკვნების გაკეთების საშუალებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ შევეცდებით ამ მიმართულებით რეალობასთან უფრო მიახლოებული გზების გამოიხედავს. საქართველოში საგადასახადო აღმინისტრირებასა და საგადასახადო კოეფიციენტის სიდიდეს შორის შესაბამისობის უპირველესი მიზეზია ფარული კონომიკის ფართო მასშტაბები [5]. ამ საკითხზე ვიზიარებთ რა პროფესორ ი. მესხიას აზრს, ვგაქვს ჩვენი მოსაზრებაც. ჩვენ მიზნად ვისახავთ ლაფერის წერტილების (ფისკალური მრუდის გადაღუნვის წერტილების) ოდენობის პრაქტიკული გაანგარიშების გზით მოვახდინოთ საქართველოს სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის ანალიზი. ამასთანავე სხვებისაგან განსხვავებით ლაფერის წერტილების დადგენას ვახორციელებთ არა გადასახადების ცალკეული სახეობისთვის (დამატებული ღირებულების, მოგების, საშემოსავლო, ქონების და ა.შ. გადასახადების), არამედ გადასახადების ერთობლივი დონისათვის. ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ ქვეყნის კონსოლიდირებული ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების წილს შშპ-ის მოცულობაში (საგადასახადო კოტა). ჩვენი გამოკვლევა ეფუძნება იმ დასკვნას, რომ წარმოების მოცულობა (მეწარმეთა შემოსავალი), რომელიც განისაზღვრება შშპ-ის მოცულობით, დამოკიდებულია გადასახადების დონეზე (**t**).

საგადასახადო შემოსავლების გაზრდის მიზნით სახელმწიფოს შეუძლია საგადასახადო განაკვეთის შეცვლა, მაგრამ არ შეუძლია საბოლოო საგადასახადო შემოსავლების ოდენობის კონტროლი. ვინაიდან გადასახადები ზეგაყენას ახდენენ მეწარმე სუბიექტის არჩევანზე, ამიტომ თუ მეწარმეთა საერთო შემოსავალი (**Y**) არის გადასახადის განაკვეთის (**t**) ფუნქცია, ხოლო დაბეგვის ბაზა იცვლება გადასახადის განაკვეთთან ერთად. ამასთან, თუ ჩავთვლით, რომ გადასახადების განაკვეთი **t** ნულის ტოლია, მაშინ საგადასახადო შემოსავლებიც (**T=t*Y**) ნულის ტოლი იქნება. თუ საგადასახადო განაკვეთი

ტოლია 100%-ის, ე.ი. მეწარმეთა საერთო შემოსავალი (**Y**) სრულად მიემართება გადასახადების გადახდაზე, მაშინ არავის ექნება შემოსავლის მიღების სურვილი, გაუტოლდება ნულს და შესაბამისად, ნულის ტოლი იქნება საგადასახადო შემოსავლებიც (**T**). ამიტომ, იმ შემთხვევაში, თუ მაღალი გადასახადები ქმნიან სამეწარმეო საქმიანობისთვის უარყოფით სტიმულს, სახელმწიფომ, მაღალი საგადასახადო განაკვეთების არსებობისას, შესაძლებელია უფრო ნაკლები საგადასახადო შემოსავლები მიიღოს, ვიდრე დაბალი განაკვეთების შემთხვევაში.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეწარმეთა შემოსავალი არის საგადასახადო განაკვეთის ფუნქცია $Y=Y(t)$ და ეს დამოკიდებულება არაწრფივია: **t**-ს ზრდით **Y** შეიძლება როგორც გაიზარდოს, ასევე შემცირდეს კიდევ. სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავლები შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც $T=t*Y(t)$ და ამიტომ გადასახადის განაკვეთის გაზრდისას, მისი საგადასახადო შემოსავლების დონეზე გაველენა გაურკვეველი ხდება: გადასახადის უფრო მაღალი განაკვეთი განაპირობებს უფრო დიდ საგადასახადო შემოსავლებს (**Y**-ს ყოველი მოცემული დონისთვის), მაგრამ ვინაიდან **Y** შეიძლება შემცირდეს **t**-ს ზრდისას, ამიტომ საერთო ზეგავლენა საგადასახადო შემოსავლებზე შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. გარდა ამისა, მაღალი საგადასახადო განაკვეთების არსებობისას საგადასახადო შემოსავლები შეიძლება შემცირდეს იმის გამოც, რომ მეწარმეებს ეძლევათ დამატებითი სტიმული, რათა გადასახადების გადახდას არაკანონიერად აარიდონ თავი, ან გადავიდნენ მეწარმეობის ისეთ სფეროებში, სადაც გადასახადების განაკვეთები უფრო დაბალია.

წარმოების მოცულობის და გადასახადების დონესთან დამოკიდებულება შეიძლება გამოვხატოთ ფორმულით:

$$t = T / Y,$$

სადაც **T** ქვეყნის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლებია. როგორც აღვნიშნეთ, (**t**) დამოკიდებულება აღიწერება არაწრფივი ფუნქციით, რომლის პარამეტრებიც რაოდენობრივად უნდა დადგინდეს და რომელთა იდენტიფიკაცია ლაფერის წერტილების განსაზღვრის საშუალებას იძლევა ამასთან, განასხვავებენ ლაფერის წერტილების ორ სახეობას. პირველი სახეობის ლაფერის წერტილი ეწოდება ისეთ **t*** წერტილს, რომლის დროსაც საწარმოო მრუდი $Y = Y(t)$ მიაღწევს მაქსიმუმს, ე.ი. როდესაც შესრულდება პირობები: $dY(t^*)/dt=0$ და $d^2X(t^*)/dt<0$. მეორე სახეობის ლაფერის წერტილი ეწოდება ისეთ წერტილს **t****, რომლის დროსაც ფისკალური მრუდი $T=T(t)$ აღწევს მაქსიმუმს, ე.ი. სრულდება პირობები: $dT(t^{**})/dt=0$ და $d^2X(t^{**})/dt^2<0$. პირველი სახეობის ლაფერის წერტილის ეკონომიკური შინაარსია გადასახადების ისეთი დონე, როდესაც წარმოების მოცულობა არ გადადის რეცესიის (კლების) რეჟიმში. მეორე სახეობის

ლაფერის წერტილი გეინვენებს გადასახადების ისეთ დონეს, რომლის ზემოთაც საგადასახადო შემოსავლების მოცულობის გაზრდა შეუძლებელია.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი გამოთვლები გვაძლევს შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალებას: 1. გადასახადების გარკვეულ ზღვრამდე შემცირებას, ხშირ შემთხვევაში მართლაც შეუძლია გამოიწვიოს სახელმწიფო შემოსავლების ზრდა. თუმცა არსებობს გამონაკლისიც, როდესაც სიტუაციის გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ პროდუქციის რენტაბელობის დან თვითღირებულებაში მუდმივი ხარჯების წილის გადიდებით; 2. საბიუჯეტო შემოსავლების გადიდების შემთხვევაშიც კი ფუქტი მაშინვე არ მიიღება. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ გადასახადების მკვეთრი შემცირება, გარდამავალი ეკონომიკისთვის დამახასიათებელი არამდგრადი საბიუჯეტო სიტუაციის პირობებში, დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული; 3. გადასახადების მკვეთრ შემცირებას შეუძლია მხოლოდ გააშწავოს ისედაც დაძაბული საბიუჯეტო ვითარება, ამიტომ საჭიროა შემსუბუქდეს საგადასახადო ტვირთის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის შეფერხებით ხასიათდება.

რასაკვირველია, საგადასახადო დაბეგერის ტექნიკის სრულყოფა არაა იოლი საქმე, თუმცა გამოცდილების არმქონე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უამისოდ ფონს გასვლა კიდევ უფრო რთულია.

ლაფერის წერტილების რეტროსპექტიულ შეფასებას მნიშვნელოვანი საინფორმაციო ფუნქციაც აქვს. კერძოდ, თუ აღმოჩნდება, რომ საგადასახადო კოტა გადაიხარა ლაფერის ორივე წერტილის მარჯვნივ, მაშინ ეს სახელმწიფოსა და მეწარმეებს შორის სერიოზული წინააღმდეგობის წარმოქმნის მაუწყებელი იქნება. ასეთი საინფორმაციო ფუნქციის ფუქტიანობის ასამაღლებლად კი აუცილებელია შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ოპერატიულობისა და სანდოობის ამაღლება. დღესდღეობით კი მთელი საბიუჯეტო სტატისტიკა საქმიოდ იგვიანებს, რაც მიმდინარე სიტუაციის დროული მონიტორინგის საშუალებას არ იძლევა.

აღსანიშნავია, რომ ლაფერის წერტილების განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის შედეგების პროგნოზირების თვალსაზრისითაც, რაც საერთაშორისო პრაქტიკითაც დასტურდება. მაგალითად, შედეგითში, სადაც 90-იანი წლების დასაწყისში გადასახადების ზღვრული დონე დაახლოებით 80%-ს შეადგენდა, შესაბამისი განგარიშების ჩატარებით დადგინდა, რომ ლაფერის წერტილი მხოლოდ 70%-ს აღწევდა, რის საფუძველზეც წარმატებით განხორციელდა გადასახადების განაკვეთების შემცირება. ანალოგიურად აშშ-ში 80-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა საშემოსავლო გადასახადების მკვეთრი შემცირება, რასაც უნდა მოჰყოლოდა წარმოების მოცულობისა და, შესაბამისად, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა [6]. თუმცა ეს პროგნოზი არ გამართლდა: საერთო საგადასახადო შემოსავლები შემცირდა და საბიუჯეტო დეფიციტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნულის მიზეზი კი იყო ვარაუდი, რომ ამერიკის ეკონომიკა ლაფერის წერტილის მარჯვნივ მდებარეობდა, მაშინ როდესაც გადასახადების ზღვრული განაკვეთი სულ 32%-ს შეადგენდა. აღნიშნულიდან გამომდინარე ამგვარი პროგნოზირება, მით

უმეტეს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი საწარმოო-ფისკალური პროცესების არამდგრადობის პირობებში, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ამიტომ ამ ეტაპზე შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად მტკიცება იმისა, რომ გადასახადების შემცირება (მატება) ავტომატურად გამოიწვევს სამეწარმეო აქტიურობის გაზრდას (კლებას). თუმცა თუ მომდევნო კიდევ რამდენიმე წელი ქვეყნის ეკონომიკისთვის სერიოზული რყევების გარეშე ჩაივლის (რაც შესაბამისად მოგვეცხს ლაფერის წერტილების სტაბილურ მნიშვნელობებს), ასეთი პროგნოზი საკმაოდ მაღალი ალბათობით იქნება შესაძლებელი.

ლიტერატურა

1. მოხსენება საგადასახადო შეღავათების შეზღუდვის შესახებ. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. 2001, გვ. 3-9. ვ. პაპავა. საქართველოში კორუფციის შეზღუდვის ეკონომიკური მიდგომა. „საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები“. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. კვარტალური მიმოხილვა 2000. №3-4. გვ., 64. რ. გოცირიძე. ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება. თბ., 1999, გვ. 467. მოხსენება საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თბ., 2000, გვ. 40. ი. მესხია, საგადასახადო სისტემის პრინციპები და გადასახადების ფუნქციები. „გადასახადები“. 2000. №3. გვ. 7.
2. Финансы. Под ред. М. В. Романовского, О. В. Врублевской, Б. М. Сабанти. М., „Перспектива“; „Юрайт“, 2001, стр. 347.
3. გ. გამსახურდია. ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. თბ. გამომცემლობა „მერიდიანი“. 1997, გვ. 101.
4. პ. ლეიაშვილი. ქართული „სექლადერების“ საგადასახადო პოლიტიკა. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“. 2001, №6 (43)
5. ი. მესხია, საგადასახადო სისტემის პრინციპები და გადასახადების ფუნქციები. „გადასახადები“. 2000, №3, გვ. 10.
6. К. Л. Астапов. О реформе налоговой политики. // ФИНАНСЫ. 2000. №10. стр. 29.

Т. Гамсахурдиа. Рост налоговых поступлений - главное условие макроэкономического регулирования

Одной из самых острых тем экономической науки является проблема воздействия налогового бремени на экономическую активность предпринимателей и на мобилизацию налоговых доходов в государственный бюджет. Для решения вопроса

совершенствования налогового законодательства предлагаются разные взаимоисключающие подходы. По нашему мнению, все варианты проектов налогового законодательства имеют общие недостатки, в частности, во-первых, внимание обостряется не на улучшение методологических основ определения и изъятия налогов, а на ставку налогов; во-вторых, ни один проект налогового законодательства не основан на анализе финансово-экономического состояния Грузии, не учтены причины, которые привели страну к кризисному состоянию. Следовательно, в этих проектах не представлены пути выхода из кризисной ситуации, что обязательно должно найти своё отражение в налоговом законодательстве. Экономический рост должен способствовать балансированию бюджета, а не бюджет должен искусственно балансировать экономику, что можно осуществить с помощью оптимальной налоговой политики на основе учёта государственных интересов.

T. Gamsakhurdia. Increase in Tax Revenues - Overriding Term of Macroeconomic Regulation

One of the most topical subjects of economic science is the problem of tax burden impact on the economic activity of entrepreneurs and on the mobilization of tax receipts in the state budget. Various mutually exclusive approaches are proposed to solve the issue of improving tax legislation. In the author's opinion, all versions of the draft tax legislation have common shortcomings, in particular, first and foremost, the attention is focused on tax rates rather than on the improvement of methods of tax assessment and exemption; second, no draft tax legislation is based on the analysis of financial and economic position of Georgia and is devoid of the reasons that have brought the country into crisis.

Consequently, such drafts lack the ways of recovery from the crisis, which shall be necessarily reflected in tax legislation. The economical growth shall promote the balancing of the budget rather than the budget shall artificially balance the economy. This can be accomplished by means of an optimal tax policy based on and taking into account the national interests.



თ. მაღლაკელიძე

საგადასახადო ფედერალიზმი შინანსური
 უსაფრთხოების სისტემაში

მეცნიერულად დასაბუთებული საგადასახადო სისტემა, რომელიც ასახავს იმ სფეროში ჩამოყალიბებულ როგორც ზოგად კანონზომიერებებს, ისე მოცემული ქვეყნის თავისებურებებს, მნიშვნელოვან პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს მთელ ეკონომიკაზე, აფართოებს საქმიანი აქტიურობის არეს, უმთავრეს როლს ასრულებს მაკროეკონომიკურ რეგულირებაში და ამკვიდრებს სამართლებრივ ურთიერთობებს საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, იგი პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ამიტომ მის სწორ ორგანიზაციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ნგრევისა და ახალ, საბაზრო სისტემაზე გადასვლის პირობებში.

საგადასახადო სისტემის შემადგენელი ნაწილია ცენტრალურ და ტერიტორიულ სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის საგადასახადო უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის განაწილება, რაც საგადასახადო ფედერალიზმში აისახება. ეს უკანასკნელი ფისკალური ფედერალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა. მის სწორ ორგანიზაციაზე ბევრად არის დამოკიდებული ცენტრსა და რეგიონებს შორის საგადასახადო შემოსავლების რეგულირება და ყველა დონის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირება.

საგადასახადო უფლებამოსილების ტერიტორიული გამოყენება ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. რაც უფრო ნაკლებ დემოკრატიულია სახელმწიფო, მით უფრო მწვევედ დგას ეს პრობლემა და საგადასახადო ფედერალიზმის პრინციპების განხორციელება რიგ წინააღმდეგობებს აწყდება.

საგადასახადო ფედერალიზმის რესურსული საფუძველია ტერიტორიული ბიუჯეტების შემოსავლები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ძირითადად საგადასახადო შენატანებით იქმნება.

საგადასახადო შემოსავლების განაწილება სხვადასხვა იერარქიული დონის

ბიუჯეტებს შორის ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა. იგი ემსახურება ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების უზრუნველყოფას ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი შემოსავლებით. საგადასახადო ფედერალიზმის მიზანია ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა. მაგრამ, თუ ქვეყანაში არსებული რესურსები ფექტიანად არ გამოიყენება, მაშინ, როგორც წესი, გადასახადები მაღალია, ხოლო ეკონომიკური ეფექტიანობა - დაბალი. ამასთან, რაც უფრო მაღალია დაბეგვრა, მით უფრო დაბალია შენატანები ბიუჯეტში, მწვავედება ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები და საგადასახადო შემოსავლების ტერიტორიული განაწილება მეტი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე, ეკონომიკური ზრდის ტემპებზე და შესაბამისად, ამცირებს სოციალური მიზნებისთვის აუცილებელ ხარჯებს. ასეთი სისტემით აკებულნი საგადასახადო ფედერალიზმი ეკონომიკის განვითარების ანტიცემულად იქცევა, უარყოფით გავლენას ახდენს ფინანსურ უსაფრთხოებაზე, რაც ფინანსური დესტაბილიზაციის სახით ელინდება.

ცნობილია, რომ ბიუჯეტში საგადასახადო შენატანების ზღვრული განაკვეთი არ უნდა ასცილდეს შემოსავლების 30%-ს, რომლის ფარგლებში ბიუჯეტის შემოსავლები იზრდება. გადასახადების 40-50%-ით გადიდებისას, როდესაც საგადასახადო განაკვეთი მოქმედების „აკრძალულ ზონაში“ მოხვდება, მოსახლეობის დანაშოვი მცირდება, რაც ახშობს ინვესტირებისადმი მიდრეკილებას და ამცირებს საგადასახადო შენატანებს (ლაფერის მრუდი). ასეთი საგადასახადო განაკვეთი სამეწარმეო საქმიანობის ანტიცემულად იქცევა. იგი ასუსტებს სამეწარმეო ინიციატივას, წარმოების გაფართოების სტიმულებს, საგადასახადო შემოსავლებს, რის შედეგადაც გადასახადის გადამხდელთა ნაწილი ეკონომიკის ლეგალური სექტორიდან გადადის არალეგალურში.

გადასახადების ოდენობასა და ბიუჯეტის დეფიციტს შორის კორელაციური კავშირი არსებობს. მართალია, გადასახადების გაზრდა, ერთი მხრივ, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების ან ლიკვიდაციის ყველაზე მარტივი გზაა, მაგრამ, მეორე მხრივ, მზარდი გადასახადები მხოლოდ აღრმავენს დეფიციტს. გადასახადების მაღალი პროცენტი ასოცირდება დიდ დეფიციტთან, უმუშევრობისა და ინფლაციის ზრდასთან. ამიტომ საგადასახადო პოლიტიკა კარგად მოფიქრებული, აწონილ-დაწონილი უნდა იყოს და თანამედროვე ეკონომიკურ ანალიზს ეფუძნებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადასახადები ვერ შეასრულებს არა მხოლოდ მარეგულირებელ და მასტიმულირებელ ფუნქციებს, არამედ ფისკალურსაც კი (ამის ნათელი მაგალითია საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა).

სხვადასხვა ქვეყნის საგადასახადო ფედერალიზმი არაერთგვაროვანია და დიდად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ არჩეულ ეკონომიკურ კურსზე, არსებულ საგადასახადო სისტემაზე. მასზე გავლენას ახდენს გადასახადების კლასიფიცირება მმართველობის იერარქიული დონის, გადახდისუნარიანობის ხარისხის, გადახდისათვის აუცილებელი სახსრების წყაროს, აკრეფის პრინციპებისა და მეთოდების, განაკვეთის სიდიდისა და აკრეფილი

გადასახადების გამოყენების მიმართულების მიხედვით. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნის საგადასახადო უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის ტერიტორიული გამოიჯენა ერთმანეთისაგან განსხვავდება საგადასახადო ბაზის მასშტაბის, გადასახადების სტრუქტურისა და სიდიდის, აკრეფის წესის, საგადასახადო კონტროლის ორგანიზების, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების, საგადასახადო შეღავათებისა და ა.შ. მიხედვით.

საგადასახადო ფედერალიზმის მოდელის არჩევა დამოკიდებულია ცენტრსა და რეგიონებს შორის ფუნქციების გამოიჯენაზე, ანუ იმაზე, თუ რა ფუნქციების შესრულებას აპირებს ცენტრალური ხელისუფლება და რა ფუნქციების დელეგირება ხდება რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებებისათვის. „ამ პრობლემის გადასაწყვეტად ამოსავალია ცენტრალური ხელისუფლების ე.წ. „მინიმალურ ფუნქციათა“ განსაზღვრა, რომლის გარეშეც ერთიანი სახელმწიფო, როგორც ასეთი, ვერ იარსებებს. ამ „მინიმალურ ფუნქციათა“ რიცხვს განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვა, ერთიანი სამართლებრივი სივრცის შექმნა, საგარეო ურთიერთობები, საგარეო ვაჭრობის ერთიანი რეჟიმის დამყარება, ერთიანი ვალუტის ემისია და მის ბრუნვაზე კონტროლის განხორციელება, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. რეგიონთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოსაძარბების უზრუნველყოფი ღონისძიებების განხორციელება. როგორც საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, ნებისმიერი სხვა ფუნქცია სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება განახორციელონ ფედერაციის სუბიექტებმა“ [1, 5].

საგადასახადო ფედერალიზმი, როგორც ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე, ცივილიზაციის ხანგრძლივი განვითარების შედეგია. იგი მკიდროდ არის დაკავშირებული როგორც მთელი ეკონომიკის, ისე თვით სახელმწიფოს განვითარებასთან. ამიტომაცაა, რომ საგადასახადო ფედერალიზმს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში და მის ოპტიმალურ ორგანიზაციაზე დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკის დაბალანსება და მაკროეკონომიკური პროპორციების აღდგენა-შენარჩუნება. ამ თვალსაზრისით, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, სახელმწიფოს მარვეულირებელი როლი განუსაზღვრელია იმ ქვეყნებში, სადაც ოფიციალურად აღიარებულია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის პრინციპი (მაგალითად აშშ), სინამდვილეში სახელმწიფო აქტიურად შემოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე. სახელმწიფო საკუთრების მაღალი ხედიერთი წონა, რომელიც დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში 30-50%-ს შეადგენს, უკვე არ განიხილება თავისუფალი მეწარმეობისა და ბაზრის ფუნქციონირების შემაფერხებელ ფაქტორად. პირიქით, ამ ქვეყნებში გაბატონებულია შეხედულება, რომ ეკონომიკის სტაბილიზაციის ეს მეთოდი ასუსტებს საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ ობიექტურ წინამძღვრებს, ამცირებს მათ უარყოფით გარე ეფექტებს. ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას მინიმუმამდე დაქაჩეს ბაზრის ფუნქციონირების თანმდევი ხარვეზები. რაც უფრო ეფექტიანად

ხორციელდება იგი, მით უფრო ფართოა თვით საბაზრო მექანიზმის მოქმედების შესაძლებლობები. ყოველივე ეს პოზიტიურ გავლენას ახდენს ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებზე, ეკონომიკის დაბადანსებაზე, ხელს უწყობს საგადასახადო ფედერალიზმის პრინციპების რეალიზაციას, რაც, საბოლოო ანგარიშით, აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

აღიარებულია, რომ ეკონომიკურ სისტემაში გადასახადებმა უნდა შეასრულოს „ავტომატური სტაბილიზატორის“ როლი. როგორც გერმანელი ეკონომისტი ფ. ნომარკი აღნიშნავს, ავტომატური სტაბილიზატორის, ანუ „ჩაშენებული მოქნილობის“ ცნება უკავშირდება სახელმწიფო ბიუჯეტის ისეთ მოქნილობას, რომელიც ფლობს ანტიციკლური ხემოქმედების უნარს და გამომდინარეობს მისი შემოსავლებისა და ხარჯების ბუნებიდან [2, 244]. იმისათვის, რომ გადასახადები გამოვიდეს ავტომატური სტაბილიზატორის როლში, აუცილებელია მაღალი იყოს საბაზრო კონიუნქტურაზე მათი რეაქციის ხარისხი. სხვადასხვა გადასახადი კონიუნქტურული ელასტიკურობის სხვადასხვა დონით ხასიათდება. არსებობს საგადასახადო შემოსავლების ელასტიკურობის მაჩვენებელი (E_H), რომელიც გამოითვლება საგადასახადო შემოსავლების აბსოლუტურ ცვლილებებთან, გამოსახული პროცენტობით, ანუ

$$E_H = \frac{\text{საგადასახადო შემოსავლების აბსოლუტური ცვლილებები (\%)}}{\text{ეროვნული შემოსავლის აბსოლუტური ცვლილებები (\%)}}$$

საგადასახადო სისტემა კონიუნქტურული ეფექტიანობით ხასიათდება მაშინ, როცა მისი ელასტიკურობის დონე 1-ის ტოლია. ეს ძირითადად ხდება იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო სისტემაში იზრდება საშემოსავლო გადასახდის შეფარდებითი მნიშვნელობა. სწორედ, საშემოსავლო გადასახადი, თავისი პროგრესული სკალის წყალობით, გამოირჩევა დიდი უნარით, ინფლაციის ტემპებთან თანაბარზომიერად, უზრუნველყოს ბიუჯეტში შენატანების ზრდა. ქონებაზე გადასახადის ელასტიკურობის ხარისხი დაბალია, ვინაიდან მისი ბაზა არ არის დაკავშირებული კონიუნქტურულ რყევებთან, სკალა პროპორციულია, ხოლო დაბეგრის დონე შედარებით დაბალი. საერთოდ, მთელი სადასახადო სისტემის რეაქციის ხარისხი კონიუნქტურაზე დამოკიდებულია გადასახადის ცალკეული სახეების ხვედრით წონაზე.

საგადასახადო სისტემის კონიუნქტურულ-მასტაბილიზებელი ელასტიკურობის დონე გავლენას ახდენს კონკრეტული ქვეყნის საგადასახადო ფედერალიზმზე და მას სპეციფიკურ თავისებურებებს ანიჭებს. ამ და სხვა ფაქტორების გავლენით საგადასახადო ფედერალიზმის ერთიანი მოდელი არ არსებობს, თუმცა დასავლეთის უნიტარულ სახელმწიფოებში ხელისუფლების იერარქიულ დონეებს შორის საგადასახადო უფლებამოსილების განაწილების შესაძლო მიდგომების გაცილებით ნაკლები ნაირსახეობაა, ვიდრე ფედერაციულ სახელმწიფოებში.

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად წყდება საკითხი იმის შესახებ, თუ ვის დაევალოს ადგილობრივი გადასახადების აკრეფა – ხელისუფლების ცენტრალურ თუ ადგილობრივ საგადასახადო უწყებებს, თუმცა თითქმის ყველა სახელმწიფოში ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს მინიჭებული აქვთ

უფლება განსაზღვრონ საგადასახადო ბაზა, საგადასახადო განაკვეთები და დააწესონ ადგილობრივი გადასახადები. მაგრამ ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილის ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ გადასახადებს, მაგალითად, ძალიან დაბალია ადგილობრივი გადასახადის ხვედრითი წონა ესპანეთის (0,1%), ბულგარეთის (1%), საბერძნეთის (2%), უნგრეთის (4%), პოლანდიის (5%), სლოვენის (5%), ლატვიის (6%), თურქეთის (7%) და ა.შ. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დაფინანსების წყაროების სტრუქტურაში, მაგრამ სამაგიეროდ დიდია სუბსიდიების ხვედრითი წონა ამ ქვეყნებში – ესტონეთში (91%), ბულგარეთში (78%), საბერძნეთში (58%), უნგრეთში (66%), პოლანდიაში (60%), სლოვენიაში (67%), ლატვიაში (68%), თურქეთში (56%) და ა.შ. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დაფინანსების სხვა წყაროებია მოსაკრებლები, სესხები, მუნიციპალური საწარმოების შემოსავლები, საურავები, ჯარიმები, მუნიციპალური ქონების ან საქონლის გაყიდვიდან შემოსავლები და ა.შ.

ერთ-ერთი მთავარი საკითხია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის ერთი და იმავე გადასახადის გარკვეული პროპორციით განაწილების პრაქტიკა (ე. წ. „წილობრივი გადასახადი“), აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების წილის გადანაწილება ადგილობრივი ხელისუფლების სუბიექტებს შორის. მაგალითად, გურ-ში საშემოსავლო გადასახადი ცენტრალურ, მიწებისა და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ნაწილდება შემდეგი პროპორციით: 42,5%, 42,5% და 15%; კორპორაციების გადასახადს ცენტრი და მიწები იყოფენ თანაბრად, დღგ-დან ცენტრს უწევს 50,5%, ხოლო მიწებს – 49,5%. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს არც კორპორაციულ გადასახადში და არც დღგ-ში წილი არ აქვთ. ავსტრიაში საშემოსავლო გადასახადს ცენტრი, რეგიონი და ადგილობრივი ხელისუფლება იყოფენ შემდეგი პროპორციით – 60%, 22% და 18%, ნათობპროდუქტებსე გადასახადს – შესაბამისად 88,5%, 8,5% და 3%, დამატებულ ღირებულებაზე გადასახადს – 69%, 19% და 12% [3, 712].

ხელისუფლების საშუალო (შტატები, პროვინციები, რეგიონები, გუბერნიები და ა.შ.) და ქვედა (ადგილობრივი) ორგანოების ფინანსურ ავტონომიასა და დამოუკიდებლობას განსაზღვრავს დაფინანსების ის ოდენობა, რომელიც მათ განკარგავსა.

ევროპის ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილში ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაშია მიწისა და ქონების გადასახადები. რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადს, იგი მთლიანად, ე. ი. 100% რჩება ისეთი უნიტარული სახელმწიფოების ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებაში, როგორცაა: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდი, ისრაელი, კენია, ტაილანდი, ჩილე და სხვ. ასევე, ისეთი ფედერაციული სახელმწიფოების ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებაში, როგორცაა: ავსტრალია, ბრაზილია, ინდოეთი და სხვ. აღსანიშნავია, რომ საშემოსავლო გადასახადი შეედეთში ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ნაწილდება შემდეგი თანაფარდობით: 24,75 და 75,3%, ნორვეგიაში შესაბამისად – 47,6% და 52,4%, უნგრეთში – 71,9%

და 28,1%, პოლონეთში – 75,9% და 24,1% და ა.შ. საკუთრებაზე გადასახადი მთლიანად, 100% რჩება ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებაში უნიტარულ საფრანგეთში, შვედეთში, ბელგიაში, უნგრეთში. კენიაში კი ეს გადასახადი მთლიანად ადგილობრივი ხელისუფლების ხელშია. მისი მაღალი ხვედრითი წონით გამოირჩევა მექსიკა (98,85%), ისრაელი (87,7%), კანადა (3,8%), ჩილე (80,3%), სამხრეთ აფრიკა (74,5%) და ა.შ.

ამრიგად, როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, ქვეყნების განვითარების დონისა და თავისებურებების, სახელმწიფოებრივი მოწყობის, ეკონომიკურ პოლიტიკაში სხვადასხვა გზის არჩევისა და სხვა ფაქტორების გავლენის გამო, არ არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე შეიძლება შეირჩეს საგადასახადო ფედერალიზმის უნივერსალური მოდელი.

ლოგიკურად ისმება კითხვა: როგორ ნაწილდება საქართველოში საგადასახადო უფლებამოსილება ხელისუფლების იერარქიულ დონეებს შორის და როგორ უნდა განვითარდეს საგადასახადო ფედერალიზმი? ეს პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესში. მით უმეტეს, რომ დღეს საქართველოში, შეიძლება ითქვას, არ არის დასრულებული სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის პროცესი, რაც კიდევ უფრო ართულებს ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებს და წინააღმდეგობრივ ხასიათს ანიჭებს მას.

საქართველოსათვის საგადასახადო ფედერალიზმის მისაღები ოპტიმალური მოდელის შესამუშავებლად აუცილებელია ერთ ზრიდში განვიხილოთ არა მხოლოდ შემოსავლების, არამედ ხარჯების სისტემაც. ამიტომ ეს პრობლემა საბიუჯეტო-საგადასახადო ფედერალიზმის ერთიანი მოდელის ჩამოყალიბებით უნდა გადაწყდეს. ამისათვის კი, პირველ ყოვლისა, აუცილებელია შეიქმნას ძლიერი ფინანსთა სამინისტრო, რომელიც თავის დაქვემდებარებაში მოახდენს არა მხოლოდ ხარჯების, არამედ შემოსავლის ყველა არხის კონცენტრაციას, ე.ი. თავის უფლებამოსილებაში გააერთიანებს შემოსავლების სამინისტროს, საგადასახადოს, საბაჟო და სახაზინო დეპარტამენტებს. ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერიტორიებთან ურთიერთობის დეპარტამენტის შექმნა, რისი პრაქტიკაც მსოფლიოში არსებობს. მისი საქმიანობა უშუალოდ მიმართული იქნება ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის იერარქიულ დონეებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებისაკენ. ეს სტრუქტურული ცვლილებები გარდა იმისა, რომ დიდად შეუწყობს ხელს საბიუჯეტო-საგადასახადო ფედერალიზმის ეროვნული მოდელის შექმნასა და მის სრულყოფას, ასევე, მნიშვნელოვნად შეამცირებს სახელმწიფო მოხელეების რაოდენობას, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აპარატის შენახვის ხარჯებს და ხელს შეუწყობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას.

მართალია, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში დაიწყო ახალი ტიპის ბიუჯეტისა და მასთან დაკავშირებული ურთიერთობების ფორმირება, წარსულს ჩაბარდა ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის ჩვეული ბერკეტები, საგადასახადო სისტემას განსაკუთრებული როლი დაეკისრა ქვეყნის

სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და.შ. მგრამ ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების ეს მნიშვნელოვანი სფერო, ჯერ კიდევ ვერ აღწევს თავს მწვავე კრიზისულ მდგომარეობას და, შეიძლება ითქვას, ეკონომიკური რეფორმის ყველაზე სუსტი რგოლია. ეკონომიკაში საგადასახადო სისტემის მარტივ შედეგების კოეფიციენტის დაცემის ტენდენცია კანონზომიერებად იქცა. მნიშვნელოვნად დაქვეითდა საგადასახადო კულტურა, რაც აისახება ფისკალური ეფექტის კატასტროფულ დაცემაში და ა.შ. ამ გარემოებამ დიდი დალი დაასვა საგადასახადო უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობის განაწილებას მმართველობის იერარქიულ დონეს შორის.

როგორია დღეს საქართველოში „სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების კრიტერიუმი“? საქართველოს კანონმდებლობა ეყრდნობა თუ არა საერთაშორისო სტანდარტებს (ევროგაერთიანებაში, ევროკავშირსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მიღებულ სტანდარტებს), საგადასახადო უფლებამოსილების ტერიტორიულ განაწილებას ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოებისათვის ავტონომიათა მინიჭებასთან დაკავშირებით?

როგორც ცნობილია, ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ბიუჯეტებს შორის გადასახადების განაწილების წესი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის (1997) „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ (1993), „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ (1996) და „საქართველოს ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“ (1997) კანონების საფუძველზე. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „დაბევერაში ზოგიერთი ცვლილებებისა და სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ურთიერთობების შესახებ“ შემდგომი საფეხური გახდა საგადასახადო სისტემის განვითარებაში. მან მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მოქმედ საგადასახადო მექანიზმში და ითვალისწინებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტების გამოჯენას საგადასახადო ფუნქციების განაწილებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, საქართველოს საგადასახადო სისტემა და, აქედან გამომდინარე, საგადასახადო ფედერალიზმი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, იგი არსებით როლს ვერ ასრულებს შემოსავლების განაწილებაში და სათანადო ზეგავლენას ვერ ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. საგადასახადო ფედერალიზმს ახასიათებს რიგი ნაკლოვანებისა, რომელთა აღმოფხვრა მოითხოვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათის სიძნელებების გადალახვას. ეს სიძნელებები ორგანულად უკავშირდება ფინანსურ კრიზისს (და არა მხოლოდ ფინანსურს), რომელიც ასე გამწვავებულია დღეს საქართველოში. ის გარემოება, რომ დაბალია მოქმედ საწარმოთა სიმძლავრეები და შრომითი რესურსების გამოყენების დონე, ხოლო საწარმოთა დიდი ნაწილი არ მუშაობს, ქვეყანაში არსებობს გამოუყენებელი შრომითი პოტენციალი, რომელიც მძიმე ტერითად აწეება ეკონომიკას, მნიშვნელოვნად აფერხებს ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებს. აქ დიდ როლს ასრულებს არა მხოლოდ გადასახადების აკრეფის არაჯანსაღი მექანიზმი,

* ამ უკანასკნელს ანგარიშობენ საკუთარი შემოსავლებისა და სუბსიდირებული სახსრების თანაფარდობით.

რომელიც სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებაში მუდმივ დაძაბულობას იწვევს, არამედ – მთელი საგადასახადო სისტემის მოუქნელობა და, უპირველეს ყოვლისა, არასრულყოფილი საგადასახადო კოდექსი.

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსში მოკლე დროის განმავლობაში ბევრი ცვლილება იქნა შეტანილი, იგი, ჯერ კიდევ, მნიშვნელოვანწილად ვერ ასრულებს, როგორც მარეგულირებელ და მასტიმულირებელ, ისე ფისკალურ ფუნქციებს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში არ სრულდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების გეგმა. ამჟამად არსებული გადასახადების რაოდენობა დიდია. ყურადღასაც იმის გარემოება, რომ მსოფლიოს მრავალ მოწინავე ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარების ადრეულ ეტაპზე გადასახადების ასეთი სიმრავლე არ იყო და ყურადღება ექცეოდა არა გადასახადების რაოდენობის ზრდას, არამედ – წარმოების გაფართოებას, საგადასახადო ბაზის გადიდებას. სწორედ ამ უკანასკნელს უნდა მიეცეს საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება, რომლის გარეშე საგადასახადო ფედერალიზმის განვითარება შეუძლებელია.

მმართველობის იერარქიული დონის მიხედვით საქართველოში გადასახადები იყოფა ორ ჯგუფად – საერთო – სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებად. ასეთივე პრაქტიკაა იაპონიაში, აგრეთვე ინგლისში, ავსტრიაში და ა.შ. ტერიტორიული ერთეულების (ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონების, ქალაქების) ბიუჯეტებში მთლიანად ჩაირიცხება ადგილობრივი გადასახადები, მოსაკრებლები და არასაგადასახადო შემოსავალი, რაც, ცხადია, არ არის საკმარისი მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

სეგნი აზრით, გადასახადების ასეთი განაწილება იერარქიული დონის მიხედვით არ შეესაბამება „სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების კრიტერიუმის“ მოთხოვნებს. ისეთი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები, როგორცაა: მიწის გადასახადი, ქონების გადასახადი, გადასახადი ქონების გადაცემისათვის, გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის (აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესაკუთრეთა გადასახადი) თავისი ბუნებით ადგილობრივია და როგორც „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონშია მითითებული, ისინი მთლიანად უნდა ჩაირიცხოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში, ამიტომაც უნდა გადავიდეს ადგილობრივი გადასახადების შემადგენლობაში. ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაუქმდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადასახადი და შეერწყას ქონების გადასახადს*.

ყურადღებია საფრანგეთში დამკვიდრებული პრაქტიკა მიწის გადასახადთან დაკავშირებით. დღეს საქართველოში მიწის ფონდის მაქსიმალურად ათვისების ამოცანის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიწის გადასახადი

* საქართველოს საგადასახადო სისტემის მრავალპლანიანი პრობლემა და მის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები განხილული გვაქვს მონოგრაფიაში „გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება“. თბ., 1999, გვ. 104-130

გაიყოს 2 ნაწილად: 1. მიწის გადასახადი გაშენებულ ნაკვეთებზე; 2. მიწის გადასახადი გაუშენებელ ნაკვეთებზე. (პირველთან შედარებით გაზრდილი საგადასახადო განაკვეთით). ამით შეიქმნება ერთგვარი მექანიზმი მიწის ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილის ათვისებისათვის.

როგორც მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკა მოწმობს, აუცილებელია ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს მიეცეთ უფლება თავად განსაზღვრონ საგადასახადო ბაზა, საგადასახადო განაკვეთები და გადახდის პირობები. ამას დღემდე შემორჩენილი ტოტალიტარული სახელმწიფოს ტრადიციებიდან თავის დაღწევის აუცილებლობაც განაპირობებს. ეს ღონისძიებები ხელს შეუწყობს რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ავტონომიურობის ამაღლებას მათი კომპეტენციის ფარგლებში.

ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსი არ იძლევა ადგილობრივი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების სწორი განსაზღვრის შესაძლებლობას. არ არის დაზუსტებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების რა წილი უნდა შევიდეს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ გავიზიაროთ ზოგიერთი ქვეყნის საგადასახადო პრაქტიკა და აბსოლუტურად გავმიჯნოთ საერთო-სახელმწიფოებრივი საგადასახადო ინტერესები ტერიტორიული ერთეულების საგადასახადო ინტერესებისაგან, მაგრამ აუცილებელია ფედერაციის ყოველ სუბიექტს შეუქმნათ სასტატო პირობები სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. უნდა შეიქმნას ისეთი ეკონომიკური ბერკეტები, რომლებიც ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლებს მარეგულირებელ როლს მინიჭებს. „საქმე ის არის, რომ ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა, მარეგულირებელ შემოსავლებს არ მიეკუთვნება ისეთი მნიშვნელოვანი წყაროები, როგორცაა დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი და აქციზი, მაშინ, როცა ეს გადასახადები სხვა ქვეყნებში (მაგალითად, რუსეთის ფედერაცია და სხვ.), მოგების გადასახადთან და ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადთან ერთად, მნიშვნელოვან მარეგულირებელ შემოსავლად ითვლება“ [4, 282] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გრძელვადიანი ნორმატივები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ტერიტორიული ერთეულების ნორმატივებისაგან. ეს გარემოება ხელს უშლის რეგიონული თანხმობის მიღწევას და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის პირობების შექმნას. ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ვინაიდან აჭარას აქვს კონსტიტუციურად განსაზღვრული ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, ამიტომ მას უნდა დარჩეს გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის შედარებით დიდი ნაწილი, ვიდრე საქართველოს სამხარეო მოწყობის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს (კახეთის, იმერეთის, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, გურიის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-თიანეთის, რაჭა-ლეჩხუმის მხარეები). სხვადასხვა დონის ბიუჯეტების დაბალანსება საბიუჯეტო პოლიტიკის მთავარი პირობაა. ამიტომ აუცილებელია ისეთი ერთიანი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის შემუშავება, რომელიც შექმნის თანაბარ პირობებს

ყველა ტერიტორიული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. იგი ხელს შეუწყობს აგრეთვე მარვეულებელი საგადასახადო შემოსავლებიდან ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების განსახლერას.

ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის საგადასახადო შენატანების განაწილებაში წილობრივი მონაწილეობის პრინციპი საკმაოდ ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ხოლო გერმანიაში, ავსტრიაში და შეიციარიაში ასეთი ერთობლივი (წილობრივი) გადასახადების წილი მთელი საგადასახადო შემოსავლების 75%-ია. ეს აპრობირებული პრაქტიკა გასათვალისწინებელია საქართველოსთვისაც. ამასთან, აუცილებელია არსებობდეს ამ წილის განკარგვაშიც ჩაურველობის კონსტიტუციური გარანტიები. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს ტერიტორიული ბიუჯეტების ავტონომიურობა. საქმე ისაა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას მიეცემა საშუალება შემოსავლის ის წილი, რომელსაც ერთობლივი გადასახადის სახით უწილადებს ტერიტორიულ ერთეულების შესაბამის ორგანოებს, ჩათვალის მათ დახმარებად და იგი ისევე გააკონტროლოს, როგორც სუბსიდიებს აკონტროლებს.

საგადასახადო ფედერალიზმის ფორმირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების ადგილისა და როლის განსახლერას ქვეყნის ეკონომიკაში, განსაკუთრებით მცირე ბიზნისის განვითარებაში. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია განვითარებული ქვეყნების გამოცდილება მცირე საწარმოების მიმართ ფიქსირებული გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით. ამასთან, დაბეგვრის ერთიანი სისტემის შემოღებისას საგადასახადო განაკვეთის ზღვრული სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შემოსავლის მოცულობის 20%-ს. მცირე ბიზნისის განვითარებისათვის აუცილებელია ერთიანი გადასახადის 70% დარჩეს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს, ხოლო 30% - სახელმწიფო ბიუჯეტს, რაც ერთიანი გადასახადის ერთობლივი ზღვრული განაკვეთის 14%-სა და 6%-ს შუადგენს.

სერიოზულ დახვეწას მოითხოვს ტრანსფერების გაცემის პრაქტიკაც. ტრანსფერებს არ უნდა ქონდეთ საყოველთაო ხასიათი. კანონის შესაბამისად ისინი უნდა გამოეყოს იმ ტერიტორიულ ერთეულებს, რომლებიც საბიუჯეტო უზრუნველყოფის დეფიციტს განიცდიან. ასევე, გასათვალისწინებელია მსოფლიოში გაერცლებული პრაქტიკა - ამ გზით მიღებული ტრანსფერების განკარგვაში ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის მეტი ავტონომიურობის მინიჭება.

ამრიგად, საკუთარი შემოსავლის წყაროებით განმტკიცებული სხვადასხვა დონის ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, საგადასახადო უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის მკვეთრი გამოჯენა საგადასახადო ფედერალიზმის ამოსავალი პრინციპია. თანამედროვე პირობებში აუცილებლობით არის ნაკარნახევი საგადასახადო ფედერალიზმის ჩამოყალიბება საბაზრო მექანიზმის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ქვეყნის ეკონომიკისა და ტერიტორიული მოწყობის ადეკვატური საგადასახადო ფედერალიზმი მნიშვნელოვანი სტიმული გახდება

საქმიანი აქტიურობისა და საგადასახადო ბაზის გაფართოებისათვის. იგი მოგვცემს მაღალ მულტიპლიკატორულ ეფექტს, ხელს შეუწყობს ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური პროპორციების აღდგენას, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში აისახება.

ლიტერატურა

1. ვ. პაპავა. საგადასახადო ფედერალიზმი: თანხმობა თუ სეპარატიზმი?, თბ., 2001
2. Мир денег. Краткий путеводитель по денежной, кредитной и налоговой системам Запада., М., 1992
3. ვ. ლორთქიფანიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსების საზღვარგარეთული გამოცდილება და ძირითადი პრინციპები. იხ. „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“. ტ. IV, მთავარი რედაქტორი ნ. ჭითანავა, თბ., 1999
4. ვ. ზურაბიშვილი. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირების სრულყოფისათვის. იხ. „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“, შრომების კრებული, IV ტომი. მთავარი რედაქტორი ნ. ჭითანავა, თბ., 1999

Т. Маглакелидзе. Налоговый федерализм в системе финансовой безопасности

Налоговый федерализм как распределение налоговых полномочий и ответственности между центральными и территориальными структурами выполняет важную роль в макроэкономическом регулировании и обеспечении экономической безопасности страны прямым или косвенным путем.

Чем выше налогообложение, тем меньше налоговые доходы и, исходя из этого, поступления в бюджет, обостряются межбюджетные отношения, значительная часть налогоплательщиков переходит из легального сектора экономики в нелегальный, вследствие чего территориальное распределение налоговых доходов становится перед сложными проблемами. Налоговый федерализм, построенный по такой системе, становится антистимулом развития экономики, оказывает отрицательное влияние на финансовую безопасность, что проявляется в виде финансовой дестабилизации.

Территориальное разделение налоговых полномочий в Грузии является одной из важных проблем в процессе формирования новой экономической системы. Для разработки приемлемой для Грузии модели налогового федерализма необходимо в одном разрезе рассмотреть не только систему доходов, но и систему расходов. Поэтому

эта проблема должна быть разрешена созданием единой модели бюджетно-налогового федерализма.

Существующая в Грузии практика распределения налогов по иерархическому уровню управления не соответствует требованиям “Критерия демократического развития государства”. Такие государственные налоги, как налог на землю, налог на имущество, налог на передачу имущества, налог за загрязнение окружающей среды вредными веществами, налог за использование природных ресурсов, по своей природе являются местными, и они полностью должны зачисляться в бюджет территориальных единиц, поэтому должны перейти в состав местных налогов.

Необходимо дать местным органам власти право самим определять налоговую базу, налоговые ставки и условия уплаты. Налоговым кодексом, действующим в настоящее время, не уточнено, какая часть государственных налогов должна войти в бюджеты территориальных единиц.

Целесообразно, чтобы был разработан единый нормативно-правовой акт, который создаст равные условия для социально-экономического развития всех территориальных единиц.

В распределение налоговых поступлений среди разных уровней власти необходимо внедрить принцип долевого участия, наряду с этим, необходимо установить конституционные гарантии невмешательства в распоряжение этой долей.

В связи с развитием малого бизнеса, в отношении которого на этом этапе целесообразно введение фиксированного налога, необходимо, чтобы 70% единого налога оставалось бюджетам территориальных единиц, а 30% -государственному бюджету.

В соответствии с законом, должны выделяться трансферы тем территориальным единицам, которые испытывают дефицит бюджетного обеспечения. Наряду с этим, бюджеты территориальных единиц следует наделить большей автономностью в отношении распоряжения трансферами.

Налоговый федерализм, адекватный экономике и территориальному устройству страны, станет важным стимулом расширения деловой активности. Он даст высокий мультипликационный эффект, будет способствовать восстановлению экономических пропорций в масштабах страны, что, в конечном счете, отразится в обеспечении экономической безопасности.

T. Maglakelidze. Tax Federalism in the System of Financial Security

Tax federalism as the distribution of tax powers and liabilities between the central and territorial structures plays a significant role the macroeconomic regulation and ensuring, directly or indirectly, of the country's economic security.

The higher tax rates the smaller tax revenues and, hence, the budget receipts. As a consequence, the inter-budgetary relations are strained, a significant portion of taxpayers prefers the illegal sector of economy to the legal one, and the territorial distribution of tax

revenues becomes problematic. Tax federalism built on such a system becomes counter stimulating to the economic development, undermines financial security, being manifested in financial destabilization.

The territorial distribution of tax powers in Georgia is one of the most important problems in forming a new economic system. In order to work out a model of tax federalism acceptable for Georgia it is necessary that both the system of revenues and the system of expenditures be considered in one section. Therefore the problem shall be solved through the elaboration of a single model of budgetary and tax federalism.

The existing in Georgia practice of tax distribution by hierarchic management levels does not comply with the requirements of *The Criteria for Democratic Development of a State*. Such state taxes as Tax on Land, Tax on Property, Estate Tax, Tax on Environmental Pollution, Tax on Use of Mineral Resources are by nature local taxes and shall be paid in full to the budget of territorial units, therefore they shall be treated as local taxes.

Local governments shall be authorized to define the tax base, tax rates, and terms of payment themselves. The currently applicable Tax Code does not specify which part of the state taxes shall enter the territorial budgets.

It is advisable that a single statutory act creating equal conditions for the social and economic development of all territorial units be drafted.

The principle of share participation shall be introduced in the distribution of tax revenues among various levels of authority; in parallel, the constitutional guarantees of non-interference with the disposal of the share shall be established.

As regards the small business development, for which the introduction of a fixed tax would be advisable at this stage, it is necessary that 70% of a single tax be credited to the territorial budgets, and 30% - to the state budget.

In accordance with the law, the territorial units suffering from budgetary deficit shall be provided with transfers. In parallel, the territorial budgets shall be granted more autonomy to dispose of the transfers.

Tax federalism, equivalent of the country's economy and territorial structure, shall serve as important stimulus to the expansion of business activity. It will yield a high multiple effect, will contribute to the restoration of economic proportions on the country's scale and will ultimately bring forth the economic security.

**სტატისტიკა. საბუღალტრო
აღრიცხვა.
ეკონომიკური ინფორმაცია**

ლ. ბრიბაღაშვილი

**საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვის
ურთიერთკავშირის სრულყოფის შესახებ**

ეკონომიკურ ურთიერთობებში საბუღალტრო აღრიცხვა და საგადასახადო აღრიცხვა მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება. ისინი განაპირობებენ ერთიმეორეს და გავლენას ახდენენ ერთმანეთზე გეგმიანი ეკონომიკის პირობებში საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდოლოგია თითქმის მთლიანად საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა. ზოგჯერ პირიქით მოუვლენასთან გვეკონდა საქმე – საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდოლოგია გადასახადების გამოანგარიშების საფუძველს წარმოადგენდა.

საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვის საერთაშორისო ნორმებისა და წესების, აგრეთვე ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედი პრაქტიკის გაცნობით ირკვევა, რომ მათ შორის გავლენის დონე სხვადასხვაგვარად არის წარმოადგენილი. მაგალითად, გერმანიაში საგადასახადო კანონმდებლობით გამოანგარიშებული ფინანსური შედეგი თითქმის იგივეა, რაც საბუღალტრო აღრიცხვის წესებით გამოთვლილი, რაც იმას ნიშნავს, რომ სააღრიცხვო და საგადასახადო პოლიტიკის ურთიერთკავშირი საკმაოდ მაღალია, აშშ-ში კი, პირიქით – მათ შორის გამოიჯენის დონეა მაღალი. საერთოდ, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვის გამოიჯენა, მაგრამ მათი აბსოლუტური გამოიჯენა არ შეიძლება, რადგან განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას განსხვავებულ საგადასახადო შედეგებამდე მიყვარათ. მაგალითად, მატერიალურ ფასეულობათა შეფასების მეთოდები იმდენად ახდენს გავლენას საგადასახადო შედეგებზე, რომ დახარჯული ფასეულობები შედის გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებაში და, ამდენად, ამცირებს მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზის სიდიდეს. დასაბეგრ შემოსავალზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, ნაშთად დარჩენილი მატერიალური ფასეულობების ღირებულება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, რაც უფრო ნაკლებია საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული მატერიალური ფასეულობების ღირებულება, მით ნაკლებია გადასახადი და პირიქით.

საერთაშორისო სააღრიცხვო პრაქტიკაში მარაგების შეფასების რამდენიმე მეთოდია ცნობილი. მათ შორის აღსანიშნავია: ინდივიდუალური თვითღირებულების მეთოდი, საშუალო თვითღირებულების მეთოდი, მეთოდი FIFO და LIFO.

ინდივიდუალური თვითღირებულების მეთოდი გულისხმობს მარაგის თითოეული ერთეულისათვის შექმნის ხარჯებიდან გამომდინარე ინდივიდუალური თვითღირებულების მინიჭებას. ამ მეთოდით შეფასება მიზანშეწონილია ძვირადღირებული მარაგების აღსარიცხავად, ამასთანავე შესაძლებელი უნდა იყოს მათი სისტემატური აღიცხვა.

მეთოდი "FIFO" გულისხმობს, რომ მატერიალური რესურსები საანგარიშო პერიოდში გამოიყენება მათი შექმნის თანმიმდევრობით, ე.ი. წარმოებაში ან გაყიდვაში გადაცემული მარაგები შეფასდება მათი შექმნის თანმიმდევრობიდან გამომდინარე ფასებით, თვის დასაწყისში არსებული რესურსების ღირებულების გათვალისწინებით.

"LIFO" მეთოდის გამოყენებისას წარმოებაში გადაცემული რესურსები შეფასდება ბოლოს შექმნილი ფასებით, ხოლო ნაშთები საანგარიშო პერიოდის ბოლოს – ადრე შექმნილი ფასებით.

ზემოაღნიშნული მეთოდებიდან ჩვენს პრაქტიკაში ინდივიდუალური თვითღირებულებისა და საშუალო თვითღირებულების მეთოდები ტრადიციული გამოყენების მეთოდებია. ამ შემთხვევაში თვის განმავლობაში მატერიალური რესურსები წარმოებაში ჩამოიწერება, როგორც წესი, სააღრიცხვო ფასებით, ხოლო თვის ბოლოს დანახაჯებს ეწერება სააღრიცხვო ფასებიდან ფაქტობრივი თვითღირებულების გადახრა.

მოვიყვანოთ პირობითი მაგალითი და გავაანალიზოთ ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენების თავისებურებანი (იხ. ცხრილი 1).

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, მარაგების შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებისას გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ, FIFO მეთოდის შემთხვევაში ის შეადგენს 1190 ლარს, LIFO მეთოდის შემთხვევაში – 1240 ლარს. იმავე მონაცემების მიხედვით თუ საშუალო თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდს გამოვიყენებთ, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 1220 ლარს შედგენს $[(200+1140):110 \times 100]$.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება აქედან? პირველ რიგში გასათვალისწინებელია საბაზრო ფასების ფაქტორი. თუ სავარაუდოა სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე ფასების ზრდა, მაშინ ოპტიმალურად შეიძლება ჩათვალოს LIFO მეთოდის გამოყენება, რომელიც წინა ფასებთან შედარებით გაზრდილია, ხოლო მარაგების ნაშთი შეფასებული იქნება დაბალი ფასებით. თუ მოსალოდნელია ფასების დაცემა, მაშინ საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე, ოპტიმალური იქნება FIFO მეთოდის გამოყენება. თუ ფასების პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია, ანდა საწარმო შეიძენს ისეთ ფასეულობებს, რომელიც ფასების ცვალებადობით ხასიათდება, უმჯობესია საშუალო თვითღირებულების მეთოდის გამოყენება.

მარაგების შეფასება „FIFO“ და „LIFO“ მეთოდებით

მანქანებლები	ერთეულის რაოდენობა	თვითღირებულება (ლარი)	
		მარაგის ერთეულის	მთელი მარაგის
ნაშთი თვის დასაწყისში მიღებულია:	20	10	200
პირველი პარტია	30	10	300
მეორე პარტია	20	12	240
მესამე პარტია	40	15	600
ჯამი	90	X	1140
დახარჯულია:			
მეთოდი "FIFO"			
პირველი პარტია	50	10	500
მეორე პარტია	20	12	240
მესამე პარტია	30	15	450
ჯამი	100	X	1190
დახარჯულია:			
მეთოდი "LIFO"			
პირველი პარტია	40	15	600
მეორე პარტია	20	12	240
მესამე პარტია	40	10	400
ჯამი	100	X	1240
მარაგის ნაშთი თვის ბოლოს			
"FIFO" მეთოდით	10	15	150
"LIFO" მეთოდით	10	10	100

რეზერვების შექმნას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საგადასახადო შედეგებზე. მოქმედი ნორმატიული აქტების მიხედვით საწარმოს შეუძლია შექმნას სხვადასხვა სახის რეზერვები, მაგალითად, მუშაკთა მომავალი საშვებულებო თანხებისათვის, ძირითადი საშუალებების რემონტისათვის,

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის, საეჭვო ვალებებისათვის და სხვ. რეზერვების შექმნით იზრდება ხარჯები (ან მცირდება ფინანსური შედეგი) და, შესაბამისად, მცირდება საგადასახადო ტვირთი. ხშირად რეზერვის შექმნით საგადასახადო ტვირთის შემცირება მიიღწევა გადასახდის დროში გადავადებით. ამ შემთხვევაში გადასახადის ნომინალური თანხა რჩება უცვლელი, ხოლო ფაქტობრივი გადახდა გადაიწვევს მომდევნო საანგარიშო პერიოდში. ეკონომია მიიღწევა დროის გავლასთან დაკავშირებით ფულის ღირებულების შემცირებაში, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფულის გარკვეული რაოდენობა დღეს უფრო მეტი ღირს, ვიდრე გარკვეული დროის შემდეგ ან პირიქით, რადგან დღევანდელ ფულს მომავლში შეუძლია მოიტანოს დამატებითი ფული პროცენტის ან სარგებლის სახით. ფულის დროითი ღირებულების შემცირების განსაზღვრა შესაძლებელია ე.წ. დისკონტირების მეთოდით. დისკონტირებაში იგულისხმება ფულის მომავალი ღირებულების შეფასება ახლანდელი (მიმდინარე) ღირებულებით.

გადასახადების სიდიდეზე შეიძლება გავლენა მოახდინოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული ოპერაციების განხორციელებისას წარმოქმნილი საკურსო სხვაობის ასახვის პოლიტიკამ. თუმცა საქართველოში მოქმედ ნორმატიულ აქტებში ამის შესახებ კონკრეტულად არ არის მითითებული. პრაქტიკული სიტუაციიდან გამომდინარე, თუ საანგარიშო პერიოდში დადებითი საკურსო სხვაობები მეტია, მაშინ საწარმოსათვის ხელსაყრელია ფინანსურ შედეგებზე ასახოს იგი წლის ბოლოს, რათა თავიდან აიცილოს მისი მიმდინარე დაბეგვრა. თუ პირიქითაა და უარყოფითი საკურსო სხვაობები სჭარბობს, მაშინ ხელსაყრელია მათი წარმოშობისთანავე ასახვა ფინანსურ შედეგებზე.

გადასახადების სიდიდეზე გავლენა შეიძლება მოახდინოს, აგრეთვე, იმ სააღრიცხვო პოლიტიკამ, რომელიც გამოყენებული იქნება მცირეფასიანი საგნების აღრიცხვისას. მცირეფასიანი საგნები აკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმებს, მაგრამ ხშირად მათ შემადგენლობაში არ აღირიცხება. მცირეფასიანი საგნების აღრიცხვის წესი მოითხოვს იმის დადგენას, თუ როდის იქნეს აღიარებული ისინი ხარჯის სახით. ამისათვის ორი შესაძლებლობა არსებობს: ერთი, მცირეფასიანი საგნები აღიარებული იქნეს ხარჯად მათი შექმნისთანავე და მეორე, ფიზიკური ცვეთის შემდეგ, როცა მათი გამოყენება უკვე შეუძლებელი ხდება. თუ გამოყენებული იქნება პირველი მეთოდი, მაშინ საწარმოს საშუალება ეძლევა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეამციროს დასაბეგრი ბაზა. მეორე მეთოდის გამოყენების შემთხვევაში მოგების გადასახადის გადახდა მცირეფასიანი საგნების ხარჯებად აღიარებლობის გამო საწარმოს მოუწევს მიმდინარე პერიოდში. მიმდინარე პერიოდში არსებული ფული კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო ძვირია, ვიდრე მომავალ პერიოდში არსებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საბუღალტრო აღრიცხვას შეუძლია გავლენა მოახდინოს საგადასახადო შედეგებზე და, საერთოდ, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გადასახადების კანონიერი შემცირების მეთოდების გამოყენებისას

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფინანსური ანგარიშგება უნდა ასახავდეს საწარმოს რეალურ ფინანსურ მდგომარეობას. დასაბუთებული მოგების შემცირების მიზნით დანახარჯების გაზრდით ირღვევა შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობის პრინციპი, რამაც შეიძლება ინფორმაციის მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანოს. ასე რომ სააღრიცხვო პოლიტიკისადმი წაყენებული ყველა მოთხოვნის დაცვა ადვილი არ არის. საწარმოსათვის სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის საკითხში მეტი უფლებების მინიჭება წარმოშობს სამეურნეო სუბიექტისა და სახელმწიფოს შორის ინტერესთა ოპტიმალური თანაფარდობის მოძებნის პრობლემას, რაც აგრეთვე გასათვალისწინებელია ბუღალტრული აღრიცხვის ნორმატიული რეგულირების პროცესში.

Л. Григалашвили. К совершенствованию взаимосвязи бухгалтерского и налогового учета

В экономических отношениях учетная и налоговая политики находятся в тесной взаимосвязи и взаимозависимости. В разных странах эти взаимоотношения характеризуются разными уровнями. Так, в США разграничение их выявляется в большей степени, а в европейских странах, наоборот, учетная и налоговая политики почти совпадают. Степень их взаимосвязи определяют разные факторы, например, методы оценки запасов, учета затрат, отражения реализации, создания резервов и т.д.

В международной политике известны четыре основных метода оценки товарно-материальных запасов: метод индивидуальной себестоимости, метод средней себестоимости, метод FIFO и метод LIFO. Из указанных методов в нашей стране традиционно применялись метод индивидуальной себестоимости и метод средней себестоимости.

На основе анализа выяснилось, что применение того или иного метода приводит к разному финансовому результату.

На финансовые и налоговые результаты оказывают влияние также создание резервов, метод отражения курсовых разниц, метод учета малоценных предметов и т.д.

При выборе предприятием учетной политики необходимо исходить из того, чтобы финансовая отчетность отражала, во-первых, его реальное финансовое состояние и, во-вторых, оптимальное налоговое последствие.

L. Grigalashvili. On Improving Interrelation between Auditing and Fiscal Accounting

The accounting policy and the tax policy are closely interrelated and interdependent in terms of economy. In different countries such interrelation is characterized by different extent. Thus, in the USA their differentiation is more pronounced than in European countries, where the accounting and tax policies almost coincide. A degree of their interrelation is determined by various factors, such as the inventory valuation methods, cost accounting, sales, creation of reserves, etc.

The four major inventory valuations methods known in international policy include the individual cost method, the average cost method, FIFO method, and LIFO method. Of the above four methods, the individual cost method and the average cost method were conventionally used in our country.

On the basis of analysis, the application of one or another method was found to yield different results.

The accounting and fiscal results are also influenced by the creation of reserves, the switch rate method, the method of low-value items accounting, etc.

When choosing an accounting policy, an enterprise should make sure that the financial accounting would reflect, first, its actual financial position and, second, the optimal fiscal outcome.



II. კუპრეშვილი

აუდიტის როლი ბიზნესის განვითარებაში

აუდიტი, თანამედროვე გაგებით, ჩამოყალიბებას იწყებს მე-19 საუკუნის ბოლოდან – კერძოდ იმ მომენტიდან, როცა წარმოიშვა კომპანიის, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული სუბიექტის ცნება. ამ პროცესმა გამოიწვია საკუთრების უფლებისა და მმართველობის ფუნქციათა გაყოფა, რის შედეგად აუცილებელი გახდა იმ მესაკუთრეების (აქციონერების) ინტერესების დაცვა, რომლებიც ყოველდღიური სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღებაში არ მონაწილეობდნენ. აქ ცხადია, მხედველობაში არ მიიღება ის მცირე კომპანიები, სადაც აქციონერები და წარმოებათა მენეჯერები უმეტესად ერთიდაიგივენი არიან.

თავდაპირველად აუდიტი ძირითადად მესაკუთრეთა ინტერესების დამცველის ფუნქციას ასრულებდა, მაგრამ თანდათანობით მან უფრო მეტი დატვირთვა მიიღო და იმის გამო, რომ ინფორმაცია, რომლის რეალურობასაც ფაქტობრივად აუდიტორი თავისი მოსაზრებიდან გამომდინარე ადასტურებდა, საჭირო იყო მთლიანად სასოგადოებისათვის, რომლის ნებისმიერ წევრს ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლებოდა გასჩენოდა საქმიანი ინტერესი.

ასეთი დიდი მნიშვნელობის გამო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში, რომელიც ბუღალტურთა და აუდიტორთა საერთაშორისო ფედერაციის ვეგდითაა გამოცემული და რომელსაც მსოფლიოს 120-ზე მეტი ქვეყანა აღიარებს, დაფიქსირებულია, რომ აუდიტის ამოცანაა მისცეს აუდიტორს საშუალება გამოხატოს თავისი მოსაზრება იმის თაობაზე, მოშადებულია თუ არა ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტით დადგენილი წესების მიხედვით. ეს დადგენილი წესი შეიძლება იყოს: საერთაშორისო სტანდარტები, ეროვნული სტანდარტები ან სხვა ორგანული ჩარჩოები. აუდიტორი ფინანსურ ანგარიშგებას არც ადასტურებს და არც იმის გარანტიას იძლევა, რომ იგი სწორია. იგი იტყობინება, რომ მისი აზრით ფინანსური ანგარიშგება იძლევა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მართებულ და მიუდგომელ სურათს. მაშ რა გარანტიები აქვს ამ ინფორმაციის მომხმარებელს? ეს გარანტიებია აუდიტორის

ან აუდიტორული ფირმის იმიჯი, მათი კომპეტენტურობა, დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, პატიოსნება, ანუ იმ ძირითადი პრინციპების დაცვა, რომელზედაც აუდიტორის და აუდიტორული ფირმის საქმიანობა უნდა იყოს აგებული.

აუდიტის ამ უმთავრესი, ასე ვთქვათ, ძირითადი ამოცანის აუდიტორისაგან განცალკევებულად განხილვა შეუძლებელია. საქმე იმაშია, რომ ყველა საჭირო პირობებთან ერთად (კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, ადამიანებთან მუშაობის უნარი, პატიოსნება, კომპეტენტურობა და სხვ) აუდიტორის საქმიანობა მკაცრ რეგლამენტაციას მოითხოვს. ამ საკითხის დარღვევების ორი ძირითადი მიმართულება გამოიყოფა: პირველი, როცა საქმე ეხება აუდიტორულ საქმიანობას საზოგადოებისათვის (და არა მხოლოდ საზოგადოებისათვის, არამედ ზოგადად სახელმწიფოსათვის, როცა საქმე ეხება გადასახადების სრულად და სწორად გადახდას) მისი დიდი მნიშვნელობის გამო მას წარმართავს სახელმწიფო ამ მიზნით ხელისუფლების საკანონმდებლო ან აღმასრულებელ შტოსთან შესაბამისი სამსახურის ფუნქციონირებით და მეორე, როცა აუდიტორულ საქმიანობას პროფესიული საზოგადოებრივი ორგანიზაციები წარმართავენ. მსოფლიო პრაქტიკაში ორივე გზა აპრობირებულია და არჩევანს უშუალოდ ქვეყნები აკეთებენ. უნდა აღინიშნოს, რომ მიკროეკონომიკური მოდელის მქონე ქვეყნები, სადაც ბუღალტრული აღრიცხვის ანგლო-ამერიკული სისტემა გავრცელებული, უპირატესობას მეორე გზას აძლევენ. უფრო მკაცრი სააღრიცხვო სისტემის, ე. წ. კონტინენტალური სისტემის მომხრე ქვეყნები კი მათ შორის პირველს ამჯობინებენ.

ბუღალტრული აღრიცხვის რაციონალური ორგანიზაცია და აუდიტის შედარებით სრულყოფილი ჩატარება მეტი დამოუკიდებლობის პირობებში უფრო შესაძლებელია, მაგრამ ამაზე მთელი რიგი სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა ხასიათის ფაქტორები ზემოქმედებენ და ჩვენი ქვეყნის პირობებში, სადაც ბუღალტრული აღრიცხვის განხორციელება, ასევე აუდიტის ჩატარება საერთაშორისო სტანდარტებით უნდა წარიმართოს, ალბათ გარკვეულწილად რაღაც დრო კიდევ იქნება საჭირო, რომ ქვეყანაში აუდიტის რეგლამენტაციის საკითხები საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გადაეცეს.

საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ აიღო რა სახელმწიფომ ეს ფუნქციები თავის თავზე, იგი გარკვეულ კონდიციამდე უნდა მიიყვანოს და შემდეგ მოახდინოს მისი გადაცემა საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, თუკი ამის ობიექტური აუცილებლობა დადგება. აქ უნდა არსებობდეს სახელმწიფოს ნება (და არა მხოლოდ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სურვილი), რომ სულ მალე ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გახდეს ამა თუ იმ სამეურნეო სუბიექტის მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, იყოს საიმედო და იძლეოდეს გარანტიას, რომ გადაწყვეტილების მიმღებს არ გაუზნდება მნიშვნელოვანი პრობლემები. ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ აუდიტის ჩატარებით ყველა პრობლემა თავისთავად მოგვარდება. ეს, რა თქმა უნდა, ასე როდია, მაგრამ აუდიტის ჩატარებისას გასათვალისწინებელია არსებითობის მომენტი, ანუ ზღვარი, რომლის იქითაც ინფორმაცია მომხმარებლისათვის გამოუსადეგარად ითვლება და საზოგადოებაში სწორედ ასეთი ინფორმაციის გავრცელებას

უნდა შეეწინააღმდეგოს აუდიტორი და აუდიტორული ფირმები, რომელთაც ეს ფუნქცია სახელმწიფოსაგან ექნებათ მიცემული.

ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე საჭიროა აუდიტის მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობის გაძლიერება. განსაკუთრებით ეს მისთვის კანონით მინიჭებულ აუდიტის ხარისხის კონტროლის ფუნქციას და აუდიტორთა სერტიფიცირების პროცესის დახვეწას ეხება. ამ ორი ძირითადი საკითხის გადაწყვეტის შემდეგ შესაძლებელია ვიფიქროთ თვითრეგულირებაზე, ისიც იმ ვარაუდით, რომ ქვეყანაში აუდიტის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრა კვლავ სახელმწიფოს ხელში დარჩება.

აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლი ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ სრულყოფის სტადიაშია და ჯერჯერობით სასურველისაგან შორსაა. ამ მიმართულებით კანონში სათანადო ცვლილება უკვე განხორციელდა. მაგრამ იგი რეალურად უნდა ამოქმედდეს, რათა აუდიტორმა, აუდიტორულმა ფირმამ, რომელმაც სახელმწიფოსაგან საქმიანობის უფლება მიიღო, გარკვეულად იგრძნოს პასუხისმგებლობა მისთვის დელეგირებული უფლებების პირნათლად შესრულებაში. ამ მიზნით მიგვაჩნია, რომ აუდიტორული საქმიანობის საბუღალთა ჩამოყალიბდეს კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევლენ ამ დარგში მომუშავე ცნობილი მეცნიერები და წამყვანი აუდიტორული ფირმების წარმომადგენლები. ეს ორგანო პერიოდულად განიხილავს და რეაგირებისათვის მასალებს გადასცემს აუდიტორული საქმიანობის საბუღალთა გამგეობას, რომელიც შემდეგ განახორციელებს კანონით გათვალისწინებულ სანქციებს.

ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით, დღემდე რაიმე რადიკალური ღონისძიება არაა დაფიქსირებული, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზეა, პირიქით – მიანიშნებს, რომ კონტროლის მექანიზმი ხშირად არ მუშაობს.

რაც შეეხება საკითხს აუდიტორთა სერტიფიცირების შესახებ, ვფიქრობთ, რომ ორეტაპიანი პროცედურიდან (პირველი – ტესტური გამოცდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში; მეორე – ზეპირი გამოცდა ფინანსურ აღრიცხვაში, საგადასახადო საქმესა და სამეწარმეო სამართლის საკითხებში) საჭიროა გადასვლა მთლიანად ტესტურ გამოცდაზე. ეს კიდევ უფრო აამაღლებს ობიექტურობის დონეს და გაზრდის პრეტენდენტთა პასუხისმგებლობას.

მიუხედავად აუდიტორული საქმიანობისადმი ხარისხის კონტროლის საკითხში არსებული ხარვეზებისა, აუდიტორული ფირმებისა და ინდივიდუალური აუდიტორების მიერ საქართველოს პარლამენტთან არსებულ აუდიტორულ საქმიანობის საბუღალთაში წარმოდგენილი საქმიანობის ძირითად მაჩვენებელთა შესახებ ანგარიშებიდან იკვეთება მდგომარეობის თანმიმდევრული გაუმჯობესება, როგორც სამუშაოს მოცულობის, ისე მისი სტრუქტურისა და ხარისხის მიხედვით. ამას ადასტურებს №1 ცხრილში მოტანილი მონაცემების ანალიზი.

№1 ცხრილიდან ჩანს, რომ ქვეყანაში აუდიტორული საქმიანობის მოცულობა 2000 წლის მონაცემებით 1996 წელთან შედარებით 7-ჯერ გაიზარდა, ხოლო წინა 1999 წელთან შედარებით ზრდა 68,8 პროცენტია. ეს საკმაოდ შთაბეჭდავი

ზრდის ტემპია და განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა: წარმოების გამოცოცხლება, აუდიტისადმი ნდობის ჩამოყალიბება, აუდიტორთა პროფესიული დახელოვნება, აუდიტის ჩატარების უცხოური გამოცდილების გამოყენება და ა.შ.

ცხრილი №1

აუდიტორული სამსახურების მიერ შესრულებული სამუშაოს სტრუქტურა და დინამიკა (პროცენტებით)*

მანქანები	წლები					2000 წელი	
	1996	1997	1998	1999	2000	1996 წელთან	1999 წელთან
1 სულ რესპუბლიკა მ.შ. ა) ქ. თბილისში რეგისტრირებული სამსახურების მიერ ბ) დანარჩენი	100	100	100	100	100	7-ჯერ	168,8
	78,4	87,7	88,1	90,4	91,6	8-ჯერ	171,2
	21,6	13,3	11,9	9,6	8,4	11-ჯერ	6-ჯერ
2 მთელ მოცულობაში აუდიტორული ფირმების მიერ შესრულებული სამუშაოს ხედრითი წილი	89,4	89,4	90,5	96,1	94,5	7-ჯერ	165,9
3 მთელ მოცულობაში ფინანსური ანგარიშების აუდიტი	36,5	55,0	73,0	74,9	64,0	12,2-ჯერ	144,3
4 აუდიტორული მომსახურების ხედრითი წილი	63,5	45,0	27,0	25,1	36,0	3,9	241,9

2000 წლის მიხედვით საქმიანობის მაჩვენებელთა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება სახეზეა, რადგან სამუშაოს მოცულობის ზრდა წინა წელთან შედარებით 1999 წელს იყო მხოლოდ 8,2 პროცენტი, შესწავლილი ინფორმაციიდან ცხადი ხდება, რომ ქვეყნის აუდიტორული საქმიანობის მთელ მოცულობაში უდიდესი ხედრითი წონა ქ. თბილისში ფუნქციონირებდა აუდიტორულ ფირმებს ეკუთვნის. დედაქალაქის მიხედვით 2000 წლის ბოლოს სამუშაოს მოცულობა 1996 წელთან შედარებით 8-ჯერ გაიზარდა, ხოლო წინა წელთან შედარებით ზრდა 71,2%-ია. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ იზრდება უშუალოდ ფინანსური ანგარიშების აუდიტის მოცულობა, რომელიც 1996 წელთან შედარებით 12,2-ჯერ, ხოლო 1999 წელთან შედარებით კი 44,3%-ით. საანალიზო პერიოდში აუდიტორული ფირმების მიერ შესრულებული სამუშაო შესაბამისად 1996

* ცხრილი შედგენილია აუდიტორული საქმიანობის საბჭოსაგან ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

წელთან შედარებით 3,9-ჯერ, ხოლო 1999 წელთან შედარებით კი 141,9%-ით გაიზარდა.

აუდიტორული სამსახურების მიერ შესრულებული სამუშაოს სტრუქტურის შესწავლიდან ჩანს, რომ აუდიტორული ფირმების უმეტესობა ქ. თბილისშია კონცენტრირებული და 2000 წელს მთელი სამუშაოს მოცულობის 91,6 პროცენტს ასრულებდნენ, 1999 წლის 78,4 პროცენტის სანაცვლოდ.

ჩვენს მიერ მოპოვებული და გაანალიზებული მონაცემები მიუთითებენ იმაზე, რომ საქართველოში აუდიტორული პრაქტიკა ვითრდება იმ კანონზომიერებათა შესაბამისად, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია, სადაც სამუშაოს დიდი უმეტესობა აუდიტორული ფირმების მიერ სრულდება. ეს მაჩვენებელი საქართველოში 1996 წლის 89,4%-დან 2000 წლის ბოლოს 94,5%-მდე გაიზარდა; საერთოდ შესამჩნევია აუდიტორული ფირმების გამსხვილების ტენდენცია. მაგალითად, 1996 წელს მთელი სამუშაოს მოცულობის 43,4% შესრულებული იყო სამი აუდიტორული ფირმის მიერ, 1999 წელს კი სამუშაოს მთელი მოცულობის 67,8% შეასრულა ექვსმა აუდიტორულმა ფირმამ.

დამუშავებული ინფორმაცია მიანიშნებს კიდევ ერთ კანონზომიერ პროცესზე. კერძოდ, სამუშაოს მთელ მოცულობაში უპირატესად ფინანსური ანგარიშების „წლიური ანგარიშების“ აუდიტის ხვედრითი წონა იზრდება.

ამდენად, ქვეყანაში აუდიტორული საქმიანობის მოცულობის ზრდა მიუთითებს წარმოებისა და ვაჭრობის გამოცოცხლებაზე, მათ მიერ შესრულებული სამუშაოსა და საქონელბრუნვის მოცულობის მატებაზე, რაც ხელს უწყობს აუდიტორულ მომსახურებაზე საკუთარი ბაზრის ფორმირებას; ამასთან ერთად, მიმდინარეობს აუდიტორული ფირმების გამსხვილების კანონზომიერი პროცესი და ბოლოს, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით განხორციელების პრობებში მატულობს ფინანსური ანგარიშების სამუშაოს ხარისხი და, რაც მთავარია, იზრდება ამ ანგარიშების მონაცემების ინფორმაციის უშუალო მომხმარებელთა მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოყენების შესაძლებლობანი.

Э. Купреншвили. Роль аудита в развитии бизнеса

В условиях рыночной экономики аудит играет решающую роль в деле обеспечения потребителей объективной информацией о хозяйственной деятельности предприятий. Аудиторская служба в Грузии введена всего несколько лет, и в статье, на основе накопленного опыта рассмотрены вопросы, которые способствуют совершенствованию проведения аудита.

В статье проанализированы основные показатели деятельности аудиторского корпуса Грузии и сделаны соответствующие выводы.

E. Kupreishvili. The Role of Audit in Business Development

Auditor services in Georgia account just a several years of existence. The article, based on the accumulated experience, deals with the issues contributing to further perfection of auditing. The article focuses on the issues of improving the process of auditors' certification, setting up at the Auditors' Activities Board a special independent advisory body to be composed of well-known scientists working in the area and representatives of leading auditing firms.

Also analyzed are the main activity indicators of the Georgian auditing body and the relevant conclusions are drawn.



ბ. პარკაძე

ინფორმაციული უზრუნველყოფის თავისეზურებადი და სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზაცია

ინფორმაციული უზრუნველყოფა დიდ როლს თამაშობს სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზირებულ სისტემებში. გადასაწყვეტი ამოცანის თემატიკიდან გამომდინარე, ყალიბდება სისტემის ინფორმაციული უზრუნველყოფა. ინფორმაციულ უზრუნველყოფაში შედის სტატისტიკურ მანვენებელთა სისტემა, კლასიფიკატორები, პირველადი და საშუალო ინფორმაციის ფორმები, ინფორმაციული მასივების სტრუქტურა, ენობრივი საშუალებები, რომლის დახმარებითაც ხდება მანვენებელთა აღწერა.

სახელმწიფო სტატისტიკის მართვის ავტომატიზირებული სისტემის პირველი და მეორე რიგის ამოცანებისათვის დამახასიათებელი იყო საერთო-საკავშირო კლასიფიკატორების და ლოკალური კლასიფიკატორების გამოყენება. კლასიფიკატორების დანიშნულებაა ინფორმაციული თავსებადობის უზრუნველყოფა სხვადასხვა დანიშნულების ავტომატიზებულ სისტემებში. ამჟამად რესპუბლიკური და ლოკალური კლასიფიკატორებია საჭირო ინფორმაციის ინტეგრირებული დამუშავებისათვის. არსებულ გამოთვლით ცენტრებში საკმარისი გამოცდილება დაგროვდა სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების პროგრამათა კომპლექსების შემუშავებაში, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებში.

ახალი ტექნიკური ბაზის პირობებში მიგვანია, რომ თავის მნიშვნელობებს არ კარგავს კლასიფიკატორების გადამუშავების ტექნოლოგია. ძველი გამოცდილების გამოყენება აამდლებს სტატისტიკური ინფორმაციის მანქანური დამუშავების ხარისხს.

ავტორი მონაწილეობდა სახელმწიფო სტატისტიკის მართვის ავტომატიზირებული სისტემების პირველი, მეორე და მესამე რიგის ამოცანების პროექტირებაში. ელექტრონული დამუშავების კომპლექსების დანერგვამ გამოავლინა გარკვეული თავისებურებანი, რაც საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ახალი პოგრამული კომპლექსების შექმნის დროს. როგორც ცნობილია,

ექონომიკური და სტატისტიკური ინფორმაციის გადაშუშავების ალგორითმები საფუძვლიანად იცვლება ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში. ამჟამად არსებული პროგრამირების სისტემები არ ამარტივებენ პროგრამული კომპლექსების შემუშავებას. რთულდება ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზაცია.

ტექნიკურ-ექონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორები წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზაციაში. კლასიფიკატორების მოშადება, მათი კონტროლი და მგნტიურ მატარებელზე განთავსება შრომატევადი პროცესია. კლასიფიკატორების დამუშავების ინფორმაციული სისტემა განკუთვნილია კლასიფიკატორების მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის და საჭირო პროცედურების მატარებისათვის, როგორცაა განსახლერა, დაგროვება, მოდერნიზაცია, ამორჩევა და დამუშავება.

ქვეყნის და ლოკალური კლასიფიკატორების მოცულობა არ არის მცირე. კლასიფიკატორების დაპროექტების პირველ ეტაპზე არ იყო გათვალისწინებული პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება კლასიფიკატორების მრავალმხრივი კონტროლისათვის. შემდგომში ელექტრონული დამუშავების კომპლექსების დანერგვამ გამოავლინა ტიპური შეცდომები, რომელმაც გამოიწვია კლასიფიკატორების დამუშავების ავტომატიზებული სისტემის შექმნა. ამჟამად ცნობილია კლასიფიკატორები: სამრეწველო საწარმოების და დაწესებულებების, სახალხო მუშრნეობის დარგების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა და სხვა კლასიფიკატორების სათანადო დონეზე მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის საჭიროა მეთოდური მასალები: ინფორმაციის შეგროვებისათვის, ცვლილებების, დამატებების, ამორჩევისა და დამუშავებისათვის. აღნიშნული ამოცანის სირთულიდან გამომდინარე, შესასრულებელი სამუშაოები შეიძლება განაწილდეს სამი დონის მიხედვით: ქვეყნის, საოლქო და რაიონულ დონეზე. მოცემული სისტემა უნდა ითვალისწინებდეს სამი დონის იერარქიას და უნდა ხდებოდეს სხვადასხვა დონეებს შორის ურთიერთქმედება.

სახელმწიფო სტატისტიკის მართვის ავტომატიზებული სისტემების პირველი და მეორე რიგის ამოცანებში კლასიფიკატორები გამოიყენებოდა კონკრეტული სტატისტიკური ფორმის დამუშავების თავისებურებების გათვალისწინებით. კლასიფიკატორების დამუშავების ძველმა ტექნოლოგიამ აჩვენა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. გამოვლინდა, რომ კლასიფიკატორების დამუშავების სისტემა არ იყო სრულყოფილი და შეიძლება მისი განვითარება საშედეგო ინფორმაციის კონტროლისა და საიმედოობის გაზრდის მიზნით. ჩვენს მიერ შემოთავაზებული იქნა კლასიფიკატორების დამუშავების ალგორითმები. ეს იდეა წარმოიშვა სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ელექტრონული კომპლექსების პროექტირების დროს მესამე თაობის ეგმ-ზე განხორციელებისათვის.

როგორც ცნობილია, ელექტრონული დამუშავების კომპლექსის სირთული დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე ის დამოკიდებულია მონაცემთა ბაზის სტრუქტურაზე, საშედეგო ინფორმაციის ფორმათა რაოდენობაზე და საშედეგო

ინფორმაციის ფორმირებისათვის საჭირო ალგორითმებზე. საშუალო ინფორმაციის ფორმირებაში შეიძლება მონაწილეობდეს რამდენიმე ინფორმაციული ფაილი (მასივი). რელაციურ ბაზებში კი იქნება ურთიერთდაკავშირებული ორგანზომილებიან მასივთა ერთობლიობა. ასეთ პირობებში ჩვენი იდეა ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების შემთხვევაში ჩანაწერებში შემავალი ლოგიკურად დასამუშავებელ რეკვიზიტთა ერთობლიობა უნდა დამუშავდეს ცალკე-რაოდენობრივ-თანხობრივი რეკვიზიტები ცალკე იგულისხმება, როდესაც დამუშავდება კლასიფიკატორები, მის საფუძველზე მიიღება საშუალო ინფორმაცია, სადაც იქნება შენარჩუნებული სტრუქტურა, მაგრამ არითმეტიკულ დამუშავებას დაექვემდებარება მხოლოდ ერთი რეკვიზიტი-საწარმოთა რაოდენობა. მიღებულ საშუალო ინფორმაციაში შენარჩუნებული იქნება საჭირო სტრუქტურა სამინისტროების, სამმართველოების, ტრესტების, დარგების და ა.შ. ასეთი საშუალო ინფორმაცია იქნება საკონტროლო დანიშნულებისათვის. ეკონომისტი განიხილავს ამ საკონტროლო ინფორმაციას, შემოწმების შემდეგ ის დართავს ნებას ტექნოლოგიებს განახორციელონ რეალური საშუალო ინფორმაციის ფორმირება ეგმ-ზე.

ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური პროცესის განხორციელებისათვის საჭიროა დამატებითი პროგრამების შემუშავება.

ამჟამად პროგრამათა კომპლექსების შემუშავების დროს ცდილობენ ალგორითმული ენები ნაკლებად გამოიყენონ და მათ მაგივრად მონაცემთა ბაზის მართვის სისტემებს იყენებენ. აქედან გამომდინარე, კლასიფიკატორების გადაამუშავებისათვის საჭირო პროგრამების შემუშავებისათვის უნდა განხორციელდეს პროექტირება. შემდეგ უნდა მოხდეს მონაცემთა ბაზის მართვის სისტემების შერჩევა. სტატისტიკაში ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემების შემუშავებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ პოპულარულ მონაცემთა ბაზის მართვის სისტემები, რომლებიც ხორციელდებიან ოპერაციული სისტემების Windows-98 -ის გარემოში, ესენია: Foxpro, Access, Dbase, Rbase და სხვა.

აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ავტორი არ თვლის საჭიროდ ჩატარდეს ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემის შემუშავებისათვის დეტალური პროექტირება. ამერიკელი სპეციალისტი ბ.უ. ბოემი პროგრამირებაში გულისხმობს ორი სახის სამუშაოების ჩატარებას: 1) დეტალური პროექტირება; 2) კოდირება. პირველი ალგორითმის შემუშავება პრინციპული და დეტალური ბლოკ-სქემების სახით; კოდირება კი ალგორითმულ ენაზე პროგრამული მოდულების ჩაწერას გულისხმობს. ამჟამად პოპულარული ალგორითმული ენებია: ეიზულ BASIC, C++, Object pascal და სხვა.

ფიქრობთ, რომ მოუხედავად გამოყენებული პროგრამირების საშუალებებისა, დეტალური პროექტირება აუცილებელია პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისათვის, მისი შესწავლისათვის და ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

სტატისტიკური ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავება, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს სტანდარტული დამუშავების პროცედურების გამოყენებას. ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ თითოეული სტატისტიკური ფორმის

დამუშავების თავისებურებაც, მაგალითად, თითოეული პირველადი სტატისტიკური ფორმის კონტროლის ალგორითმი, რაც პროგრამით უნდა განხორციელდეს ელექტრონულ მანქანზე, ის ინდივიდუალურად აღწერას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, კორექტირების ალგორითმები და საშუალო სტატისტიკური კრებისთი ანგარიშების ფორმირების ალგორითმები სტანდარტიზაციას ნაწილობრივ ექვემდებარება. ვფიქრობთ, ეს გამოწვეულია სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებაში მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების ფართო გამოყენებით. უახლესი საერთო დანიშნულების პროგრამათა პაკეტები: ელექტრონული ცხრილები და მონაცემთა ბაზის მართვის სისტემები ბოლომდე ვერ ახორციელებენ რთული ამოცანების პროგრამირების გაადვილების შესაძლებლობას. ამგვარად, ინდივიდუალური ან ორიგინალური პროგრამირება ალგორითმული ენების საშუალებით კვლავ ძალაში რჩება.

ვფიქრობთ, ზემოთ აღწერილი პრობლემები აქტუალურია და პროგრამათა კომპლექსების შექმნის დროს უნდა გავითვალისწინოთ პერსონალური კომპიუტერების შესაძლებლობებისა და ოპერაციული გარემოს გათვალისწინებით.

ლიტერატურა

1. ეკონომიკური ინფორმატიკა. რედაქტორი მ. მაღრაძე. თსუ ეკონომიკური ინფორმატიკის კათედრა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1997
2. Колесников А., Excel 97, Анализ данных. Деловая графика. Работа в сети. Дюссельдорф-Киев, BHV, 1997
3. Волков С. Н., Романов А. Н., Организация машинной обработки экономической информации, Финансы и статистика, М., 1988
4. Методологические проблемы математического и информационного обеспечения. Материалы всесоюзной научной конференции, МЭСИ, М., 1979

Г. Паркадзе. Особенности информационного обеспечения и автоматизация обработки статистической информации

Рассмотрена особенность создания информационного обеспечения и конструирования программного обеспечения обработки статистической информации. Программы такого вида играют большую роль в рационализации технологических процессов обработки статистической информации. Осуществлен и усовершенствован технологический процесс записи и обработки условно постоянной информации. Алгоритм решения проблемы даёт возможность оперативно вмешиваться при изменении условий обработки. Максимально определяются возможные ошибки при подготовке исходной информации. Большим преимуществом пакета является максимальная ориентация на решение специфической проблемы надежности

получения резульативной информации.

G. Parkadze. Peculiarities of Information Support and Automation of Statistical Data Processing

Peculiarities of creating information support and designing a statistical data processing software are considered. The programs of such type are of great importance in rationalizing the statistical data processing methods. A technological process of recording and processing the conditionally constant data has been executed and improved. The problem-solving algorithm makes it possible to speedily intervene in case of any change in processing conditions, as well as to detect possible errors when preparing the background information. The maximum targeting of the software to the solution of specific problems of reliability in obtaining the resulting information is the major advantage of the package.

**ეკონომიკის ისტორია.
მსოფლიო ეკონომიკა**

ლ. შორანაშვილი

**საპარტიკულო სერვისების სექტორში მსოფლიო ბაზარზე
მსოფლიო ბაზარზე**

სადაზღვეო მომსახურების მსოფლიო ბაზარი ერთ-ერთი სწრაფადმზარდი ბაზარია და სადაზღვეო პრემიების საერთო ზომით 2,5 ტრლნ ამერიკულ დოლარს აღემატება. მისი სწრაფი განვითარება განპირობებულია ადამიანების საქმიანობასა და სიცოცხლეზე ბუნების სტიქიური ძალების სისტემატური ზემოქმედებითა და თვით მათი არასწორი მოქმედებით გამოწვეული ზარალის ლიკვიდაციის აუცილებლობით. ადამიანისა და საწარმოსათვის საშიშროებას წარმოადგენს როგორც გლობალური სტიქიური უბედურებები, ასევე ლოკალური აფარიები, წვეულებრივი ქურდობა, ავტომობილების გატაცება, დაავადებები და ა.შ. ამ შემთხვევების შედეგების თავიდან აცილება ან შერბილება მხოლოდ დაზღვევას შეუძლია.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სადაზღვეო მომსახურება დიდი ხანია უნიფიცირებულია: სტანდარტიზებულია წესები, ფორმულირებულია მომხმარებელთა მოლოდინი, კონკურენცია მიმდინარეობს სადაზღვეო კომპანიების ბრენდებსა და დამატებით შეთავაზებულ მომსახურებას შორის. იმის გამო, რომ თანამედროვე ეტაპზე მთავარ ხელოვნებად იქცა კონკურენციის თავიდან აცილების უნარი, იზრდება ფირმათაშორის თანამშრომლობა, მსოფლიო ბაზარზე გააქტიურდა შთანთქმისა და შერწყმის პროცესები. ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ), მათ შორის სადაზღვეო კომპანიების საქმიანობამ გიგანტურ მასშტაბებს მიაღწია. Financial Times-ის 2001 წლის რეიტინგში შესული 100 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციის რიცხვში 5 სადაზღვეო კომპანიაა წარმოდგენილი. საბაზრო კაპიტალიზაციის ზომით მათ შორის უმსხვილესია American International Group-ი, რომელიც აღნიშნულ რეიტინგში მე-11 ადგილზეა (იხ. ცხრილი 1).

სადაზღვეო მომსახურების რეალიზაციის მოცულობით 2000 წელს მსოფლიოს უმსხვილესი სადაზღვეო კომპანიაა ფრანგული AXA, რომლის

გაყიდვების მოცულობამ 95,5 მლნ დოლარი შეადგინა. მსოფლიოს 10 უმსხვილესი კომპანიის მჩვენებლები მოცემულია ცხრილში №2.

ცხრილი 1

მსოფლიოს უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიები
საბაზრო კაპიტალიზაციის ზომით*

№	კომპანია	ქვეყანა	საბაზრო კაპიტალი- ზაცია, მლნ \$	მოგება გადასახ- დების გადახდამ- დე, მლნ \$	წმინდა მოგება მლნ \$	რეიტინგი მსოფლიოს 100 უმსხვილეს ტ.რ.ში	
						2000 წ.	2001 წ.
1	American International Group	აშშ	206084,4	7512,0	5055,0	19	11
2	Berkshire Hathaway	აშშ	105238,3	5587,0	3328,0	59	31
3	Allianz	გერმ	86529,6	4254,2	3077,5	56	49
4	ING	ნიდერლ.	77806,1	12644,1	10847,3	86	56
5	Axa	საფრანგ.	58235,6		3533,7	112	82

*Financial Times-ის რეიტინგი

ცხრილი 2

მსოფლიოს 10 უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია
2000 წლის შედეგებით*

№	კომპანია	ქვეყანა	გაყიდვა მლნ დოლარი	მატება წინა წელთან (%)	წმინდა მოგება, მლნ დოლარი	თანამშრო- მელთა რაოდენო- ბა	აქტივები (მლნ დოლარი)
1	AXA	საფრანგეთი	95472	15,1	3677	90357	446993
2	ING Group	ნიდერლანდები	72597	22,7	11287	108965	612332
3	Allianz	გერმ	72378	3,4	3259	113584	414387
4	Assicurazioni Generali	იტალია	52084	37,7	1596	56593	176747
5	State farm insurance	აშშ	47863	7,1	408	79300	119602
6	Prudential	დიდი ბრიტანეთი	42821	17,8	1027	21942	231294
7	AIG	აშშ	42440	13,1	5636	61000	306577
8	Zurich FS	შვეიცარია	37431	6,3	2328	72930	231363
9	Munich Re**	გერმ	35464	20,5	1141	არაა მონაცემები	181 139
10	Berkshire Hathaway	აშშ	33976	41,4	3328	45000	არაა მონაცემები

* Hoover's Inc-ის მონაცემები

** 1999 წლის მონაცემები

როგორც ცრილი 2 -ის მონაცემები გვიჩვენებენ, სადაზღვევო კომპანიების გაყიდვების მოცულობა საკმაოდ სწრაფად იზრდება. მაგალითად, Berkshire Hathaway - ში მან წინა წელთან შედარებით 41,4% შეადგინა, Assicuarazioni General-ში - 37,7%, ING Group-ში - 22,7% და ა.შ.

სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა, რომელმაც, ერთი მხრივ, მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენა მსღვეველები, მაგრამ, მეორე მხრივ, მთელ მსოფლიოს ნათლად დაანახა დაზღვევის მნიშვნელობა და გაზარდა ტარიფები.

11 სექტემბრის ტერორისტული აქტი უმსხვილესი სადაზღვევო შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში. მხოლოდ სიცოცხლის დაზღვევაზე გაფორმებული ხელშეკრულებებით გადასახდელია უპრეცედენტო თანხები. მსოფლიო სავაჭრო ცენტრის დანგრეულ შენობებში იმყოფებოდა 26 ქვეყნის 250-ზე მეტი უმსხვილესი ფირმის შტაბ-ბინები. სადაზღვევო თანხებს რამდენადმე ამცირებს ის გარემოება, რომ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორი შენობიდან მხოლოდ ერთი იყო დაზღვეული (ორივეს დანგრევა წარმოუდგენელი იყო), ამიტომ მისი მფლობელი Port Authority of New York მხოლოდ 1,5 მლრდ \$-ს მიიღებს. ეს ოდნავ აღემატება შენობის აშენებაზე გაწეულ ხარჯებს და მნიშვნელოვნად ნაკლებია უკანასკნელად შეფასებულ ღირებულებაზე - 5 მლრდ \$ [1,31].

ამერიკაში მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა განსაკუთრებით დააზარადა ავიაკომპანიები. შევიცარიული ავიაკომპანიის Swiss Re-ს დანაკარგები მისი დაზღვევის მაქსიმალური თანხის მიღების შემთხვევაშიც კი 2000 წლის მოგების დაახლოებით 50%-ს შეადგენს. ავიაკომპანიებმა გამოაცხადეს 10 მლრდ \$ ჯამური დანაკარგების შესახებ [1, 31]. სტატისტიკის თვალსაზრისით საავიაციო შემთხვევები პერიოდულად ხდება, მაგრამ ისინი დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ავიალაინერის „კონკორდი“ ერთობლივმა სადაზღვევო დაცვამ, რომელიც განახორციელეს კომპანიებმა AGF, Allianz, AXA, CGU, Generali, Groupama La Reunion, Aerieenne, Mutuelles du mans, შეადგინა 30 მლნ \$ [2,73]. 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის დროს კი დაიღუპა 4 თვითმფრინავი. გარდა ამისა, საჭირო გახდა მსოფლიოს ყველა აეროპორტში უსაფრთხოების სისტემის უპრეცედენტო გაუმჯობესება ანუ დამატებითი ხარჯების გაწევა.

ტერორისტულმა აქტმა გამოიწვია სადაზღვევო კომპანიების აქციების ინდექსის რეკორდული (16,6%) ვარდნა, მაგრამ რამდენიმე დღეში სიტუაცია არსებითად შეიცვალა და მთელ მსოფლიოში დაიწყო სადაზღვევო მომსახურების ღირებულების ზრდა. ტარიფების აწევით სადაზღვევო კომპანიები ცდილობენ თავიანთი ფინანსური პრობლემების დაძლევის და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე თავიანთი დანაკარგები გადააქეთ მთელ ბაზარზე. განსაკუთრებით გაიზარდა განაკვეთები ავიაკასკოს დაზღვევაში და გამაკრდა დაზღვევის პირობები.

სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე პროცესები გაელენას ახდენს ყველა ქვეყნის სადაზღვევო ბაზარზე, მაგრამ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მას ნაკლები ზემოქმედება გააჩნია. ეს მისი მცირე

მოცულობითა და განვითარების დაბალი დონით აიხსნება. უკანასკნელი ძირითადად განპირობებულია ორი მიზეზით: მოსახლეობის დაბალი გადახდისუნარიანობითა და სადაზღვევო მომსახურების მომხმარებელთა ფსიქოლოგიით. მოსახლეობის უმეტესობამ ჯერ ვერ გაითავისა სადაზღვევო მომსახურების აუცილებლობა, ძალიან დაბალია სადაზღვევო დაცვის მოთხოვნილება.

2000 წელს საქართველოს სადაზღვევო მომსახურების ბაზარზე მოქმედებდა 18 სადაზღვევო კომპანია, რომელთაგან წამყვანია „აღდაგი“. მასზე მოდის ბაზრის 48, 68%. მეორე ადგილზეა „იმელი L“ - 17,56%. დანარჩენი კომპანიების წილი უმნიშვნელოა და შემდგენაირადაა წარმოდგენილი: ენიკი - 8,33%; ბრიტანეთი-კაქასია - 6,79%; ნაბათი - 5,29%; ანგლო-ქართული - 3,31%; პელიოსი - 2,62%; ახალი სადაზღვევო კომპანია - 1,19%; მადლი - 1,15%; საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი - 0,94%; არესი - 0,88%; ევროაზიური - 0,72%; საქართველოს სახელმწიფო დაზღვევა - 0,67%; ჯანი - 0, 66%; სტანდარტ & ინშურენსი - 0,65%; ანკორა - 0,43%; ინტერენერჯი - 0, 13% [3, 49].

ქართული სადაზღვევო კომპანიების მომსახურების სახეები წარმოდგენილია ცხრილში 3. როგორც მისი მონაცემებიდან ჩანს, კომპანიების საქმიანობაში ძირითადია საავადმდეულო დაზღვევა. მაგალითად, საქართველოს სადაზღვევო მომსახურების ბაზრის ლიდერის „აღდაგის“ საქმიანობის თითქმის 1/3-ს შეადგენს ავტორტანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, 12% - საავადმდეულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა, დიდია აგრეთვე სამედიცინო დაზღვევის წილი - 25%, დაზღვევის ეს სახეები, როგორც წესი, პოპულარულია ყველა ქვეყანაში, რადგან ისინი არ არიან დამოკიდებული ეროვნული სადაზღვევო ბაზრის განვითარებაზე. ავტოდაზღვევას განვითარებული ქვეყნების მზღვეველთა პორტფელში მნიშვნელოვანი ადგილი უკაია, რადგან აქ აკრფილი პრემიების ზომა არსებითად მაღალია, ვიდრე ქონების დაზღვევის სხვა სახეებში. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საბაზრო რეფორმების დაწყების შემდეგ სწორედ საავტომობილო დაზღვევას ჰქონდა ყველაზე დიდი ზრდა, რამაც ხელი შეუწყო თვით სადაზღვევო ბაზრის რესურსების ფორმირებას და გამოიწვია მსხვილი უცხოელი მზღვეველების ინტერესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტომობილისტთა რისკების (ზარალი, გატაცება, სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე და უბედური შემთხვევა) დაცვას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს, რათა სრულად იქნეს ათვისებული ბაზრის ეს სექტორი და შეიქმნას უცხოელი მზღვეველების მოზიდვის წინაპირობა. მართალია, ჩვენი სადაზღვევო კომპანიები თანამშრომლობენ უცხოურ სადაზღვევო კომპანიებთან, მაგრამ ეს ურთიერთობები ძირითადად გადაზღვევით შემოიფარგლება. რესურსების შეზღუდულობის გამო, ქართულ სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ მცირე რისკების დაზღვევა, ხოლო მსხვილი რისკები უცხოელ გადამზღვეველებზე გადააქვთ.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ფაქტობრივად ჩასახვის ეტაპზეა და დგას არჩევანის წინაშე: დღევანდელი იოლი ფული თუ უკეთესი მომავლის პერსპექტივები დიდი ძალისხმევის ფასად. დღესდღეობით არჩევანი პირველის

სასარგებლოდაა გაკეთებული, მაგრამ თუ არ ვიზრუნეთ მომავალზე, ჩვენი სადაზღვევო ბაზარი მთლიანად უცხოელთა ხელში მოექცევა. ქართული სადაზღვევო კომპანიების ფინანსური პოტენციალი და მდგრადობა არასაკმარისია უცხოური კომპანიების ექსპანსიისაგან დასაცავად, რომელსაც უთუოდ ექნება ადგილი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწვევრიანებისას დადგენილი გარდამავალი პერიოდის დამთავრების შემდეგ.

ქართულ ბაზარზე უცხოური სადაზღვევო კომპანიების საქმიანობას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ერთი მხრივ, უცხოური კომპანიები უზრუნველყოფენ სადაზღვევო პროექტების გაცრცელების მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანას, სადაზღვევო მომსახურების ახალი სახეების დანერგვასა და მიხი სტრუქტურის არსებით გაფართოებას. ამასთან, სადაზღვევო პროდუქტების ხარისხი გარანტირებული იქნება უცხოელ მზღვეველთა დიდი გამოცდილებითა და ფინანსური მდგრადობით. საწყის ეტაპზე ფინანსურად მძლავრ კომპანიებს შეუძლიათ სადაზღვევო ტარიფების არსებითი შემცირება, რაც ასე მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობისათვის და წარმოადგენს ეროვნული სადაზღვევო ბაზრის განვითარების ხელშეწყობ ფაქტორს. მეორე მხრივ, აკრეფილი სადაზღვევო პრემიები უცხოეთში გაედინება და ისინი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას ვერ მოხმარდება. აღნიშნულის მიუხედავად საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარება, ჩვენი კომპანიების (არა მარტო სადაზღვევო, არამედ სხებისაც) გასვლა მსოფლიო ბაზრებზე შეუძლებელია უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობის გარეშე. საქართველოში უნდა განისაზღვროს სადაზღვევო ბაზრის განვითარებისა და მსოფლიო ბაზარზე ქართული კომპანიების მოქმედების სტრატეგია. იგი უცხოურ სადაზღვევო კომპანიებთან აქტიურ თანამშრომლობას უნდა დაეფუძნოს. ამ სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დიდი ბიზნესის დაზღვევას, საბანკო დაზღვევას, უცხოეთში წამსვლელთა დაზღვევას და ა.შ.

დიდი ბიზნესის დაზღვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში, ამიტომ სადაზღვევო მექანიზმების გამოყენება უნდა გახდეს კორპორაციული მართვის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. ჩვენი საწარმოების ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ძირითადი ფონდების დიდი ცვეთის გამო. მით უმეტეს, რომ ქართულ საწარმოებს არ გააჩნიათ თავისუფალი ფული და სარეზერვო ფონდები ექსტრემალური შემთხვევებით განპირობებული ზარალის დასაფარავად.

საქართველოში დიდი ბიზნესის დაზღვევას ძირითადად ახორციელებს სადაზღვევო კომპანია „ენიკი“, რომელიც ჩამოყალიბდა დიდი ბრიტანეთისა და ინდონეზიის სადაზღვევო კომპანიებთან „hazean investment limited“ და „pt tugu pratama“ ერთად (მენეჯმენტისა და ტექნიკურ საკითხებში კონსულტაციას უწევს „Trb London limited“). „ენიკის“ მიერ დაზღვეულია „საქენერგო“, „საქენერგოგადაცემა“, „თბილსრესი“, „ეგრისი“, „ტელეცენტრი“, ქართულ-ამერიკული ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, საქნავთობპროდუქტი, საქართველოს ცენტრალური კაეშირგაბმულობის კორპორაცია. ამასთან ერთად იგი ახორციელებს თვითმფრინავებისა და გემის კორპუსების დაზღვევას,

აღნიშნულის მიუხედავად დიდი ბიზნესის დაზღვევა არასათანადო დონეზეა და სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს აგრეთვე საბანკო დაზღვევა, რომლის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს არამარტო სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, არამედ ბანკებისადმი მოსახლეობის ნდობის აღდგენას.

დასაუღლოთში საბანკო დაზღვევაში იგულისხმება:

ფიზიკურ პირებზე სადაზღვევო პოლისის გაყიდვა ბანკის განყოფილებების მეშვეობით;

თვით ბანკების კომპლექსური დაზღვევა, რომელიც მოიცავს როგორც სადაზღვევო საქმიანობის სტანდარტულ სახეებს (ავტოდაზღვევა, ქონების დაზღვევა ხანძრისაგან და ა.შ.), ასევე მის სპეციფიკურ სახეებს – ფინანსური ინსტიტუტების პასუხისმგებლობის, სამეწარმეო რისკების, ელექტრონულ კომერცისა და კომპიუტერულ დანაშაულებებთან დაკავშირებული რისკების დაზღვევასა და სხვა.

ამემაღ შეშუშაგებულა და ფართოდ გამოიყენება დანაშაულობებისაგან დაზღვევის კომპლექსური პოლისი BBB - Banker's Blanket Bond, რომელიც ითვალისწინებს თანაშრომელთა მხრიდან დანაშაულობების, ფასულობათა შენახვასა და გადაზიდვებთან, ნაღდ ფულად საშუალებებსა და დოკუმენტურ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული რისკების დაზღვევას. საქართველოში აუცილებელია ანალოგიური პოლისის გამოყენება. მისი გამოყენება, თავის მხრივ, უცხოურ სადაზღვევო კომპანიებთან თანაშრომლობას, საბანკო დაზღვევის სფეროში არსებული საერთაშორისო კანონმდებლობის შესწავლას და კარგად გააზრებას საჭიროებს. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს, აგრეთვე, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებას. ამისათვის აუცილებელია სახელმწიფოებრივი გამოცდილების შესწავლა და მოქალაქეთა ანაბრების გარანტიების შესახებ კანონის მიღება.

საქართველოში საბანკო-საფინანსო რისკების დაზღვევას ახორციელებენ „აღდაგი“, „მადლი“, „იმედი L“, „ბრიტანეთი-კავკასია“, „ერო-აზიული“ და სხვა კომპანიები, მაგრამ ამ მომსახურების წილი ჯერ უმნიშვნელოა.

საქართველოს ეკონომიკის პერსპექტიულ დარგად მიჩნეულია ტურიზმი, მისი სრულფასოვანი განვითარება კი შეუძლებელია მოგზაურთა დაზღვევის გარეშე. უცხოეთში წამსვლელთა დაზღვევა მოგზაურობების დროს გაუთვალისწინებელი ხარჯებისაგან ადამიანის დაცვის ყველაზე ცივილიზებული ხერხია. მთელ მსოფლიოში მოგზაურთა სამედიცინო და სხვა თანამდევ მომსახურებას აწარმოებენ სპეციალიზებული სერვისული (assistance) კომპანიები, რომლებიც სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიების ინტერესებს ემსახურებიან. ამ მომსახურების ბაზრის უმსხვილესი ოპერატორები არიან: Elvia, Europa Assistance, AXA Assistance (და მისი ქვედანაყოფი AXA Interpartner Assistance), Mapre, Mercery და International SOS, ამიტომ ქართველი ტურისტისათვის უცხოეთში სათანადო მომსახურების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ამ კომპანიებთან თანაშრომლობა.

მართალია, სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარზე საქართველოს

პერსპექტივა უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობას უკავშირდება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით ჩვენს სადაზღვევო კომპანიებსაც შეუძლიათ კაპიტალის ზრდა შერწყმისა და შთანთქმის გზით. სადაზღვევო კომპანიების შერწყმა მიზანშეწონილია აგრეთვე ბანკებთან და სხვა ფინანსურ ორგანიზაციებთან. ესაა მსოფლიო ბაზარზე ჩვენი კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მთავარი საშუალება.

საქართველოში სრულფასოვანი სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბებას ხელი უნდა შეუწყოს აგრეთვე, დაზღვევა და მზღვეველს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარებამ. სადაზღვევო კომპანიებისათვის დაზღვევა იწყება პოლისის გაყიდვის მომენტიდან, კლიენტისათვის - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან, ამიტომ მათი პარტნიორული ურთიერთობები დამოკიდებულია იმაზე, თუ სადაზღვევო კომპანია როგორ მიიღებს კლიენტს, როგორ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და როგორ სწრაფად აანზღაურებს ზარალს. სადაზღვევო კომპანია და კლიენტს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარებაში მთავარი როლი აკისრია სადაზღვევო აგენტებსა და ბროკერებს, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მათ პროფესიულ მომზადებას. საჭიროა აგრეთვე სიურვერების მომზადება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სადაზღვევო რისკების მაღალკვალიფიციური შეფასება.

საქართველოს სადაზღვევო მომსახურების ბაზრის განვითარება, სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზრის განუყოფელი ნაწილის სახით მისი წარმოდგენა შეუძლებელია რისკ-მენეჯმენტის განვითარების გარეშე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს რისკების მნიშვნელოვანი შემცირება. მსხვილ საწარმოებში უნდა შეიქმნას რისკ-მენეჯმენტის სპეციალური სამსახურები (მაგალითად თბილისრესში, აეროპორტში და ა.შ.), რომლებიც უზრუნველყოფენ რისკების მართვის კომპლექსურ სისტემას. რისკ-მენეჯმენტის კომპლექსური სისტემის დანერგვით შესაძლებელია არა მარტო რისკების, არამედ გადაზღვევის ტარიფების შემცირება, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში. ხემოაღნიშნული ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზაციით შესაძლებელია საქართველოს მიერ ღირსეული ადგილის დამკვიდრება სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარზე.

ლიტერატურა

1. Самые финансово пострадавшие. Коммерсант-Власть, 2001, №37.
2. Е. Решетов, С. Киселева. Статистика страха. Катастрофы. Эксперт, 2001, №7.
3. კ. ჯაყელი, გ. ხაჭაპურიძე. საქართველოს სადაზღვევო ბაზარი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, 2001, №57.

Л. Корганашвили. Перспективы Грузии на мировом рынке страховых услуг

Рынок страховых услуг Грузии характеризуется небольшой емкостью и низким уровнем развития. В деятельности грузинских компаний преобладающими являются обязательные виды страхования: страхование гражданской ответственности владельцев автотранспорта, противопожарное страхование, медицинское страхование.

В статье проанализирована деятельность крупнейших мировых страховых компаний, показаны основные направления деятельности грузинских страховых компаний, положительные и отрицательные стороны их сотрудничества с иностранными компаниями, необходимость создания комплексной системы управления рисками.

L. Korghanashvili. Prospects of Georgia on the World Market of Insurance Services

The insurance services market in Georgia is characterized by a limited capacity and a low level of development. Predominant in the activities of Georgian companies are the types of compulsory insurance: automobile liability insurance, fire insurance, and medical insurance.

The article considers activities of the largest insurance companies of the world; it demonstrates the main activities of Georgian insurance companies, the positive and negative aspects of their cooperation with foreign companies, and the necessity of establishing a complex risk management system.

მ. ჰანია

ეკონომიკური ზრდის საბარეო ეკონომიკური ფაქტორების გამოყენების ოპტიმიზაციის საკითხებისათვის

ეკონომიკური ზრდის შესწავლა გვიჩვენებს, რომ საბარეო ეკონომიკური ფაქტორები ყოველთვის მისი უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალა იყო. ასეთი დასკვნა, შემდეგი მონაცემებიდან კარგად ჩანს. სპეციალისტების გამოანგარიშებით უკანასკნელი 250 წლის განმავლობაში საერთაშორისო ვაჭრობის საშუალო წლიური ტემპი მთლიანი შიდა პროდუქციის ზრდის ტემპთან შედარებით 1,5-ჯერ უფრო მაღალი იყო. გასული საუკუნის 80-90-იან წლებში მსოფლიო მურწნობის ინტერნაციონალიზაცია კიდევ უფრო მაღალი ტემპით ხასიათდებოდა. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის მატების 25 % საბარეო ვაჭრობით იყო გამოწვეული. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის სხვა წამყვან კომპონენტს – პირდაპირ ინვესტიციებს, მისი მოცულობა 1986 წლის 61 მლრდ დოლარიდან 1999 წლის 827 მლრდ დოლარამდე, ანუ 13,5-ჯერ გაიზარდა.

ამგვარად, თანამედროვე პერიოდში საბარეო ეკონომიკური სექტორი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ჩამოყალიბდა. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, საქართველოშიც მიმდინარეობს, მაგრამ დიდი შეფერხებით. ამის ძირითადი მიზეზებია, ჯერ-ერთი, თვითონ ეკონომიკური ზრდის სუსტი დინამიკა ქვეყანაში, მეორე, საბარეო ეკონომიკური კომპლექსის განუვითარებლობა. ამიტომ აუცილებელია გააანალიზოთ ეკონომიკური ზრდისა და საბარეო ეკონომიკური ფაქტორების გამოყენების თავისებურებანი საქართველოში.

ამ თავისებურებებიდან უნდა გამოვიყოს, პირველ რიგში, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ძალიან ცვალებადი დინამიკა და ღრმა სტრუქტურული ძვრები მისი ფაქტორების სისტემაში. ყურადღებას იქცევს წარმოების დაცემის სიღრმე, ხანგრძლივობა და ზრდის ტემპების ძლიერი მერყეობა. წარმოების დაცემა გრძელდებოდა 1989-1994 წლებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა 1992-1993 წლები, 1992 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი შემცირდა 44,9%-ით,

ხოლო 1993 წელს – 29,3%-ით. ნიშანდობლივია, მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირება საქართველოში პოსტსაბჭოთა სივრცეში 90-იან წლებში მიმდინარე გარდაქმნების პერიოდში – მისი მინიმალური დონე აღინიშნებოდა 1994 წელს 27,5%-ის სიდიდით მაშინ, როდესაც სომხეთში ეს მაჩვენებელი იყო 39,2%, აზერბაიჯანში – 41,7%, რუსეთში 54,2% და ა.შ. [12]. 1995-1997 წლებში ამ მაჩვენებლის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა 1995-1997 წლებში შეადგინა 10%. მაგრამ მომდევნო პერიოდში ზრდის ტემპი მკვეთრად მცირდება, რაც საქართველოს ეკონომიკის სტაგნაციურ მდგომარეობაზე მიუთითებს: 1998 წლის ზრდის ტემპმა შეადგინა 2,9%, 1999 წელს – 3,0%, 2000 წელს – 1,9%, 2001 წელს – 2,5%.*

ეკონომიკური ზრდის ასეთი დინამიკის მთავარი ობიექტური მიზეზები მოთხოვნა – მიწოდების თანაფარდობაში მიმდინარე ცვლილებებით გამოიხატება, ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოთხოვნისა და მიწოდების მხარეზე არსებული ფაქტორები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან გადახლართულნი და თითოეული მათგანის ზუსტი წვლილის განსაზღვრა ეკონომიკურ ზრდაში. თუმცა მიახლოებითი გაანგარიშება მაინც გვიჩვენებს, რომ რეფორმების პირველ ეტაპზე 1992-1994 წლებში ღრმა ეკონომიკური კრიზისის მთავარი გამოწვევი ფაქტორები მოთხოვნის მხარეზე იყო: მკვეთრად დაეცა ამ პერიოდში მოსახლეობის ცხოვრების დონე, შემოსავლები და მსყიდველობითი უნარიანობა, უკიდურეს მინიმუმამდე შემცირდა კერძო სექტორისა და სახელმწიფოს ინვესტიციები, საერთო ჯამში კი – ერთობლივი მოთხოვნა. თუმცა არც სუბიექტური ფაქტორის უდიდესი უარყოფითი როლი უნდა დაგვაიწყდეს, რაც ამ პერიოდში რეალური მოთხოვნებისადმი შეუსაბამო სახელმწიფო პოლიტიკის მიერ გამოწვეული პიკერინფლაციის დამანგრეველი მოქმედებით გამოიხატება. მინიმუმამდე შემცირდა ინვესტიციური საქმიანობა, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში, რაც დღემდე მოუგვარებელ პრობლემად რჩება.

მომდევნო პერიოდშიც, რა თქმა უნდა, სუსტი ეკონომიკური ზრდის მთავარი განმსაზღვრელი მიზეზი კვლავ ერთობლივი მოთხოვნის სიმცირეა, მაგრამ ამასთან ერთად მნიშვნელოვან როლს მიწოდების მხარეზე მოქმედი პროცესები ასრულებენ. კერძოდ, ზრდის შემაფერხებელი ფაქტორებია ეკონომიკის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, ძირითადი კაპიტალის უკიდურესად მაღალი ასაკობრივი სტრუქტურა, მისი განახლების უმნიშვნელო ტემპი, შრომის მწარმოებლურობის, წარმოების ეფექტიანობის დაბალი დონე, დაგროვების არასაკმარისი სიდიდე. სწორედ ეს ობიექტური მიზეზები არ იძლევა გაფართოებული კვლავწარმოების აქტივიზაციის, საქონლისა და მომსახურების გამოშვების მკვეთრი გადიდების საშუალებას. თუმცა მიწოდების მხარეზეც არის პროცესები, რომლებიც სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკით სტიმულირდებიან და ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას სერიოზულად აფერხებენ. მხედველობაში გვაქვს, პირველ რიგში, სახელმწიფოს საფინანსო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დაბალი ეფექტიანობა, რაც მრავალ უარყოფით

* საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

შედეგს იწვევს. განსაკუთრებით დამაფიქრებელია გადასახადების აკრეფის ძალიან დაბალი დონე – დაახლოებით 12%-ის ფარგლებში მილიანი შიდა პროდუქტის მიმართ, მაშინ როდესაც განვითარებულ ქვეყნებში იგი 30-35%-ის, ხოლო განვითარებად ქვეყნებში 35-50%-ის ფარგლებშია [2]. ეს ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის ძალიან მაღალი დონის მჩვენებელია, რაც მათი აღმოფხვრის გადაუდებელ ღონისძიებებს გატარებას მოითხოვს. ასევე შემაშფოთებელია მონეტარის პოლიტიკის დაბალი დონის მჩვენებელია, რაც შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან. საქართველოში ეს მჩვენებელი დაახლოებით 5%-ია, მაშინ როდესაც რუსეთში იგი დაახლოებით 16%-ია, იაპონიაში – 59%, აშშ – 66%, ინგლისში – 109%, გერმანიაში – 112%. ასეთი ვითარება არანორმალურად ზღუდავს მეურნეობის დაკრედიტებას და ეკონომიკურ ზრდას, რასევე სამართლიანად მიუთითებენ ქართველი მკვლევრები [3,5-6]. ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები მკვეთრად უარესდება აგრეთვე საქართველოს საგარეო ვალის დიდი მოცულობით, როდესაც უკვე 1,9 მლრდ დოლარს, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 63,3%-ს შეადგენს.

ზემოთ აღნიშნული გვიჩვენებს იმ პრიორიტეტულ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლებისათვის. ასეთი ამოცანებია:

- ერთობლივი მოთხოვნის უზრუნველყოფა, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის შემოსავლების, მათი მყიდველობითი უნარიანობის მკვეთრი ამაღლების, სიღარიბის დაძლევის საფუძველზე. ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული სიღარიბის დაძლევის პროგრამა მხოლოდ სამ წელსა გათვლილი და იგი მომავალშიც აუცილებლად უნდა გაგრძელდეს [4,5-9];
- ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა, უპირატესად ახალი ინფორმაციის, მეცნიერებატექნიკის დარგების და დამკარბული ტექნიკის ზრდის მიღწევის გზით;
- არსებული მოძველებული ძირითადი კაპიტალის განახლება, რესურსდამზოგი ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა;
- ეფექტიანი საფინანსო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება, ინფლაციის და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მინიმუმამდე დაყვანა.

თითოეული ამ ამოცანის გადაწყვეტა საგარეო ეკონომიკური ფაქტორის აქტიური გამოყენების გარეშე ვერ მოხერხდება. კერძოდ, სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო საქართველო მხოლოდ საკუთარი რესურსებით საკმარისი მოცულობით ერთობლივ მოთხოვნას ვერ უზრუნველყოფს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით უცხოური ინვესტიციების წილი ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების საერთო მოცულობაში დაახლოებით 60%-ს შეადგენს. აქედან ჩანს, თუ როდენ აქტუალურია წარმოების სტრუქტურული და ტექნოლოგიური სრულყოფისათვის საზღვარგარეთული კაპიტალის მოზიდვა. მეორე მხრივ, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის პრობლემა, მისი მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდის დამკარბებისათვის სულ უფრო მაღლდება. 2000 წლის მონაცემებით

ქვეყნის იმპორტმა 898 მლნ, ექსპორტმა – 372 მლნ, უარყოფითმა სავაჭრო სალდომ – 526 მლნ, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითმა სალდომ – 200მლნ. დოლარი შეადგინა [5,270]. მაშასადამე, ვერც ერთი ზემოთ დასახელებული ამოცანა საქართველოში ეფექტიანი საგარეო-ეკონომიკური კომპლექსის ჩამოყალიბების გარეშე ვერ გადაწყდება.

მაგრამ საქართველოსათვის ამ უაღრესად ფუძემდებლური ამოცანის გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, საგარეო-ეკონომიკური ფაქტორების სისტემურ ოპტიმიზაციას მოითხოვს. სამწუხაროდ, დღემდე ასეთი მიდგომა საგარეო-ეკონომიკური კომპლექსის განვითარებისადმი ვერ ხორციელდება, თუმცა მის გარეშე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მიღწევა, აქტიური ჩართვა საერთაშორისო ეკონომიკაში შეუძლებელია. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ეფექტიანად არიან ინტეგრირებული მეურნეობაში, სწორედ საგარეო-ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთდაბალანსებით გამოირჩევიან. შეუძლებელია, მაგალითად მსოფლიო მეურნეობაში აქტიური სავაჭრო ინტეგრაცია ინსტიტუციური და სტრუქტურულ-ტექნოლოგიური ინტეგრაციის გარეშე. საქსპორტო ექსპანსიის განხორციელება მხოლოდ მცირე და საშუალო ფირმების მეშვეობით, მსხვილი ფირმების ექსპორტის გაფართოების გარეშე, სტრატეგიულ აღიანსებში მონაწილეობის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების გარეშე, იგივე საქსპორტო ექსპანსიის განხორციელება უცხოური კაპიტალის, პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის გარეშე, ამ უკანასკნელის მიღწევა ქვეყნის მიმზიდველობის მიღწევის გარეშე და ა.შ.

ამიტომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია შემუშავდეს და განხორციელდეს საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კომპლექსის განვითარების გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამა ქვეყნის მსოფლიო მეურნეობაში წარმატებული ინტეგრაციის, მსოფლიო ბაზრებზე მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად. ასეთი პროგრამის ცენტრალური ამოცანა უნდა იყოს საგარეო-ეკონომიკურ ფაქტორებს შორის დაბალანსებულობის მიღწევა და ამის საფუძველზე ეკონომიკური ზრდის, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

ამისათვის უნდა გადაწყდეს შემდეგი ძირითადი პრობლემა:

1. მაკრო-ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა, დანაზოგების მკვეთრი გაფართოების, ბიუჯეტის დეფიციტის, საგადასახადო ბალანსის დეფიციტის მინიმუმადე დაყვანის, საქონლისა და ინვესტიციური ნაკადის კორელაციის, კაპიტალისა და შრომის მობოლურობის თავსებადობის უზრუნველყოფის გზით;
2. ეკონომიკის სტრუქტურული მოდერნიზაციის განხორციელება განათლების, მეცნიერების, ინფორმაციული სექტორის სხვა დარგების უპირატესი განვითარების საფუძველზე, ტრადიციული დარგების ინფორმატიზაციის, ინტერნეტიზაციის, Web-ტექნოლოგიების, გავრცელებით ელექტრონული ბაზრების, კორპორაციული მართვის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მწარმოებელი სამრეწველო წარმოების ჩამოყალიბების ბაზაზე [6,3-15]. ამის გარეშე საქართველო მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციას ვერ შეძლებს;
3. საგარეო ვაჭრობისა და პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების

პოლიტიკის ერთიანობის მიღწევა. საჭიროა გაეთივიცნობიეროთ, რომ ექსპორტის გადიდება და უცხოური კაპიტალის მოზიდვა სასიცოცხლოდ აუცილებელია საგადასახდელი ბალანსის გაუმჯობესებისათვის. მეორე მხრივ, საექსპორტო ექსპანსიის განხორციელება წარმოუდგენელია პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის გარეშე, რასაც ახალი ტექნოლოგიები, მენეჯმენტი, პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მოყვება. ამისათვის კი, აუცილებელია ქვეყნის მიმზიდველობის უზრუნველყოფა ბაზრის გაფართოებით, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებით, წესრიგის, ინვესტიციური კლიმატის, ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის დაძლევის გზით;

4. ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა. აქ იგულისხმება არა მარტო ტრადიციულად გაერცვლებული კონცეფციები – პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, სასურსათო უსაფრთხოება, სამხორტო უსაფრთხოება და ა.შ. გლობალიზაციის პირობებში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მწვავე პრობლემად კაპიტალის შემოდინებასა და გადინებაზე კონტროლის უზრუნველყოფა გადაიქცა [7]. ეს საქართველოსათვის უკვე ამჟამად ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა კაპიტალის დიდი გადინების გამო, მაგრამ მომავალში მისი აქტუალობა გაიზრდება და ქვეყანა მისი მოგვარების ინსტრუმენტებს აუცილებლად უნდა ფლობდეს.

ამ პრობლემების გადაწყვეტა რთული ამოცანაა. მაგრამ ეს საჭიროა საგარეო ეკონომიკური ფაქტორების გამოყენების დაბალანსებულობის მიღწევისათვის და ამის საფუძველზე საქართველოში ეკონომიკური ზრდის დანქარებისათვის.

ლიტერატურა

1. Research Reports, №253, February, 1999
2. რ. ბასარია, ი. მესხია, საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები. თბილისი, 2001
3. ე. მექვაბიშვილი. ეკონომიკის ზრდისა და გლობალიზაციის უემოქმედება ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე. „ბანკი“, №2, 2000
4. Georgia. <http://www.odci.gov/cia/publication/factbook/geos/gg.html>
5. Economic Survey of Europe, 2001, №1
6. Мясникова Л. “Новая экономика” в пространстве постмодерна - Мэ и Мо, №12, 2001
7. Акира Арийоши и др. Контроль за движением капитала: опыт стран по его ведению и отмене, МВФ, М., 2001

М. Чания. К вопросу оптимизации использования внешне-экономических факторов экономического роста.

В статье исследуется роль внешнеэкономических факторов для ускорения экономического роста. Определяются основные проблемы развития внешнеэкономического комплекса Грузии и обосновывается необходимость

M. Chania. On the Optimization of Using External Economic Factors of Economic Growth

The article investigates the role of external economic factors in the economic growth acceleration. The main problems of the Georgian economic complex development are defined and the necessity of optimization of the foreign economic factors of economic growth is substantiated.

ღირსსანიშნავი თარიღები

შილიკა ბობიჩაიშვილის დაბადებიდან 130 და
ბარდაცვალებიდან 52 წელი შესრულდა

მიმდინარე 2002 წლის იანვარში შესრულდა დაბადებიდან 130, ხოლო 29 მარტს – გარდაცვალებიდან 52 წელი ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1917-1918 წწ. ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით შექმნილი საინიციატიუო ჯგუფის აქტიური წევრის, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლისა და ორგანიზატორის – პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილისა.

ივანე ჯავახიშვილს ღრმად სწამდა, რომ უნივერსიტეტის დაარსების ისტორიული მისიის განხორციელება უნდა დაკისრებოდათ იმდროინდელი საქართველოს ყველაზე სახელმწიფოებრივ, ხალხის ნდობითა და სიყვარულით აღჭურვილ ადამიანებს, რომლებიც იმავე დროს თავისი მეცნიერული მოღვაწეობითაც იყვნენ ცნობილი.

ფ. გოგიჩაიშვილი იყო უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა მცირერიცხოვანი შემადგენლობის ერთ-ერთი უადრესად ავტორიტეტული და მსოფლიოში სახელმწიფოებრივი მეცნიერი.

ფ. გოგიჩაიშვილი მიწვეული იქნა უნივერსიტეტის პირველ ხაზინადარად. ის იყო ავტორი პირველი საუნივერსიტეტო ხარჯთაღრიცხვისა და ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი უნივერსიტეტის გახნისა სწორედ 1918 წლის 26 იანვარს, რომელიც არის ხსენება წმინდა კეთილმსახურისა მგვისა დავით აღმაშენებლისა.

აღსანიშნავია, რომ პირველი უმაღლესი ეკონომიკური განათლების დაფუძნება საქართველოში ფაქტობრივად მას მოუხდა; თითქმის ყველა ეკონომიკური დისციპლინის წაკითხვა, სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება მისი ხელმძღვანელობით წარმოებდა.

ფ. გოგიჩაიშვილი ერთდროულად უძღვებოდა პოლიტიკურ ეკონომიას, ეკონომიკური მოძღვრების ისტორიას, ფინანსებსა და კრედიტს, ზოგად და სპეციალურ სტატისტიკას, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ეკონომიკის კურსის მომზადებასა და ლექციების კითხვას ამ დისციპლინებში, სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობათა ხელმძღვანელობას. ამასთან, სოციალურ-ეკონომიკური სპეციალობების მთელი ეკონომიკური განყოფილება ფ.

გოგინიაშვილის ლექციებსა და სემინარებს ემყარებოდა.

უკვე 1922 წელს ფ.გოგინიაშვილის თაოსნობით სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ბაზაზე საფუძველი ეყრება სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტს. მის მიერვე იქნა დამტკიცებული ფაკულტეტის შტატები და სასწავლო გეგმები. ის აგრეთვე იყო პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ორგანიზატორი და გამგე; სტატისტიკის კათედრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

1918 წლიდან მოყოლებული 1930 წლამდე თბილისის უნივერსიტეტის ეკონომისტ-სტუდენტთა თაობები უშუალოდ ფ.გოგინიაშვილის მიერ არიან აღზრდილნი, მათ შორის არიან: პ. გუგუშვილი, ი. მიქელაძე, ვ. ნანტლაძე, ა. გოკიელი, გ. გამყრელიძე, ლ. კარბელაშვილი და მრავალი სხვა.

უდიდეს საზოგადოებრივ ღვაწლთან ერთად აუცილებელია აღინიშნოს პროფესორ ფილიპე გოგინიაშვილის მეცნიერული მოღვაწეობა. მისი პირველი ფუნდამენტური ნაშრომი იყო სადოქტორო დისერტაცია „ხელოსნობა საქართველოში“, რომელიც მან დაიცვა 1901 წ. გერმანიაში (ლაიფციგში), სადაც ის სწავლობდა.

აღსანიშნავია, რომ მის ამ შრომაში უკერ კიდევ მაშინ საკმარის დიდი ადგილი ეთმობა წარმოებისა და ბიზნესის განვითარებასა და კვლევას საქართველოში.

მისი სტატიები იბეჭდება „ივერიაში“, რომელსაც ილია ჭავჭავაძის დავალებით თვითონ რედაქტორობდა 1905-1906 წლებში; ჟურნალ „მოამბესა“ და „ქალში“; გაზეთებში – „ცნობის ფურცელსა“ და „საქართველოს მოამბეში“ და სხვ.

როგორც თავის წიგნში დიდი ქართველი მეცნიერი პაატა გუგუშვილი აღნიშნავს – ფ. გოგინიაშვილი ავტორია დიდადილი გამოქვეყნებული ლიტერატურული პროდუქციისა, რომელთა (შრომების, მონოგრაფიების, საჯურნალო ნარკვევების, ფელეტონების, პუბლიცისტური სტატიების) რაოდენობა 300-ზე მეტია.

ფ. გოგინიაშვილის ეს ნაწერები შეეხება საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეების იმდროინდელი და ნაწილობრივ წინააღმდეგი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ფრიად მრავალგვარ და აქტუალურ საკითხებს. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები 1890-1900-იანი წლების საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გარდა იმ ფრიად სერიოზული როლისა, რაც ამ კატეგორიის მისმა შრომებმა შეასრულეს მაშინდელ პრაქტიკულ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, მათი ისტორიული მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ამ შრომებს გვერდს ვერ აუვლის ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების, განსაკუთრებით აგრარულ ურთიერთობათა ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი.

აღნიშვნის ღირსია ფილიპე გოგინიაშვილის ღვაწლი მთარგმნელობით და ჟურნალისტურ მუშაობაში. ცნობილია, რომ ის თავისუფლად ფლობდა გერმანულ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და იტალიურ ენებს. მის მიერ ნათარგმნია მარქსის, ენგელსის, ლენინის, სმითის, რიკარდოს და შექსპირის

ნაწარმოებები. მის მიერაა აგრეთვე ნათარგმნი მთელი რიგი სახელმწიფოებრივებისა გერმანულიდან და რუსულიდან.

ჟურნალისტური მოღვაწეობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყურადღებას ამხვილებდა ყველაზე აქტუალურ, ხალხისათვის საჭირობო საკითხებზე. ეს იყო ძირითადად აგრარული საკითხი, დედა ენის სწავლება, ქართული მოსახლეობის გამრავლების პრობლემა, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და, რასაკვირველია, პოლიტიკური თავისუფლების საკითხი.

ფილიპე გოგინაიშვილს ეკუთვნის სიტყვები „იუერიაში“ მოთავსებული 1905 წელს დათარიღებული მისი წერილიდან: „ერი ვერ განვითარდება და ვერ აღორძინდება, თუ უდიდესი ნაწილი ამ ერისა მუდამ სიღარიბეში იხრება და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მხრით თავისთვის ადამიანური ცხოვრება ვერ შეუქმნია... მიხი ინტერესების უარყოფა მთელი ერის უარყოფასა და განწირვას ნიშნავს“.

ხაზგასასმელია პ. გუგუშვილის ნაშრომის ის ნაწილი, სადაც წერს, რომ – ფილიპე გოგინაიშვილს თავის სულიერ (იდეურ) მასწავლებლად მიაჩნდა ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძემაც თავისი სულიერი ანდერძის ერთ-ერთ აღმასრულებლად ფილიპე გოგინაიშვილი დანიშნა, რაც უკანასკნელის დიდი სიყვარულისა და თავდადების შესაბამისი დიდი ნდობის გამოცხადება იყო. ასევე გააკეთა იაკობ გოგებაშვილმა 1912 წელს შედგენილ თავის ანდერძში: გარდაცვალების შემდეგ მიხი ნება-სურვილის აღმსრულებლად დანიშნულ ხუთ კაცს შორის იგი პირველს ასახელებს ფილიპე გოგინაიშვილს.

ფილიპე გოგინაიშვილის „ცხოვრება და მოღვაწეობის ბიბლიოგრაფიაში“ ეკითხულობთ, რომ მას სხვადასხვა დროს უმსახურია კერძო კაპიტალისტურ ნაწარმოში, ყოფილა ჟურნალისტი, გაზეთის კორესპონდენტი და რედაქტორი, უმსახურია ცარიზმისდროინდელ საზოგადოებრივ და მეურნეობრივ ორგანიზაციებში – ერობაში, ქალაქის თვითმმართველობაში, რკინიგზების მშენებლობაში. ჰქონია საკუთარი წიგნის მაღაზია, უმოღვაწია სახელმწიფოებრივი მმართველობის უმაღლეს თანამდებობაზე და დიპლომატიურ ასპარეზზედაც; შემდეგ დიდხანს უმუშავია გემიანობისა და ფინანსების უწყებებში, მონაწილეობა მიუღია მრავალ მეურნეობრივ წამოწყებათა დაპროექტებაში, 30 წელიწადზე მეტი განუწყვეტლივ მუშაობდა ჩვენს უნივერსიტეტში, ყოველთვის მტკიცედ და პირნათლად იდგა თავის ადგილზე, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ერთგულად ემსახურებოდა ქართულ კულტურასა და მეცნიერებას, კვალიფიციური კადრების მომზადების დიდ საპასუხისმგებლო საქმეს, საერთოდ ხალხის ინტერესებს.

როგორც საზოგადოებას ვაუწყებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთ ინიციატორსა და დამაარსებელს, საერთაშორისო დონის ცნობილ მეცნიერს, ეკონომიკური სკოლის ფუძემდებელს, მთარგმნელს, პუბლიცისტს, ჟურნალისტსა და დეპუტატს საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ ფილიპე გოგინაიშვილს მიმდინარე წლის იანვარში შეუსრულდა დაბადებიდან 130 წელი.

სამონაწირო

თსუ ეკონომიკური განათლებისა და სამეცნიერო მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს 2002 წლის 3 აპრილის სხდომის ოქმი №19-დან.

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ: საკოორდინაციო საბჭოს წევრები: თსუ პრორექტორი, პროფ. ა. სილაგაძე, ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების დეკანები: პროფ. ე. მექვაბიშვილი, პროფ. ნ. პაიჭაძე, პროფ. გ. ბაბუნაშვილი, დოც. ი. ადუიშვილი; კათედრის გამგეები: პროფ. გ. თოდუა, პროფ. გ. გამსახურდია, პროფ. ო. საღარეიშვილი, პროფ. თ. ჭიბრაძე, პროფ. ნ. პაიჭაძე, პროფ. ნ. ბიჭიაშვილი, პროფ. ა. ტატიშვილი, პროფ. ე. ბოლოკაძე, პროფ. გ. ნადირაშვილი, პროფ. გ. მიქელაძე, პროფ. ლ. ყორღანაშვილი, დოც. ო. ჩადუნელი, დოც. მ. მაღრაძე, პროფ. კ. ანელაშვილი, პროფ. ბ. გაბიაშვილი; პროფესორები: ვლ. პაპაია, რ. ასათიანი, კ. ლემონჯაია, მ. ტურაია, ზ. გრიგალაშვილი, ე. ცირაშუა, გ. წერეთელი, მ. ჯიბუტი, თ. ჩიკვაძე, ჯ. მარშაია, შ. ქისტაური, ზეთთრუაშვილი, ა. ჯიბუტი, გ. გოშაძე, სველაშვილი, რ. გოგოხია, დოც. ჯ. კახნიაშვილი.

საბჭოზე მოწვეული იყვნენ: დოც. ც. სეხნიაშვილი, მ. ზედგინიძე და სხვები.

მოხსენება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის – ფილიპე გოგინიაშვილის დაბადების 130 წლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის შესახებ პროფ. ა. სილაგაძის მოხსენება.

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე 2002 წელს შესრულდა ფილიპე გოგინიაშვილის დაბადებიდან 130 წელი. ფ. გოგინიაშვილი იყო საერთაშორისო დონის აღიარებული მეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი დამაარსებელი, სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის შემქმნელი, უნივერსიტეტის ფინანსებისა და სტატისტიკის კათედრების პირველი ხელმძღვანელი.

პროფესორ ფილიპე გოგინიაშვილის დიდი დედაწლი დღემდე სათანადოდ დაფასებული არ არის. იდგა საკითხი მისი ნეშტის გადმოსვენებისა ვაკის სასაფლაოდან I კორპუსის წინა სკვერში – უნივერსიტეტის დამფუძნებელთა შორის, მაგრამ ამ მიმართულებით, სამწუხაროდ, არაფერი გაკეთებულა. ფართო საზოგადოება, ახალგაზრდა თაობა და ეკონომისტების ნაწილი კარგად იცნობს პროფესორ ფილიპე გოგინიაშვილის დიდ წვლილს ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებაში.

დღევანდელ თაობას შესაძლებლობა მიეცა სათანადო აღიარება და პატივი მიაგოს ერის დიდი შვილის ხსოვნას.

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. გიორგი ბაბუნაშვილის თაოსნობით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა წინადადებები ფ. გოგინიაშვილის სახელის უკედნასაყოფად და განსახილველად წარმოადგინა.

პროფ. ა. სილაგაძემ საბჭოს წევრებს გააცნო საინიციატივო ჯგუფის წინადადებები.

გარდაცვალების დღეს – 29 მარტს გადახდილი იქნა სამოქალაქო პანაშვიდი განსვენებულის საფლავთან – ვაკის სასაფლაოზე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, თანამშრომლებმა და სტუდენტებმა სანთლები დაუნთხეს და ყვეალებით შეამკეს საფლავი. პროფ. ა. სილაგაძემ სთხოვა საბჭოს წევრებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები საინიციატივო ჯგუფის წინადადებების შესახებ.

აზრი ბამოთძმძის: 1. პროფ. ლადო პაპავამ მხარი დაუჭირა საინიციატივო ჯგუფის წინადადებებს და აღნიშნა, რომ ჩამოთვლილი ღონისძიებები დაგვიანებულია და დღემდე უნდა ყოფილიყო შესრულებული. მისი აზრით, უმოკლეს დროში უნდა მოხდეს ფ. გოგინიაშვილის ნეშტის გადასვენება უნივერსიტეტის I კორპუსის წინ მდებარე სკვერში – დამფუძნებელთა შორის. აგრეთვე უნდა გამოიცეს მეცნიერის რჩეული ნაწერების ერთობლივი. თბილისის მერიასთან შეთანხმებით მოსაფიქრებელია ქუჩა, რომელსაც ფილიპე გოგინიაშვილის სახელი დაერქმევა.

2. პროფ. ო. საღარეიშვილმა მხარი დაუჭირა ფ. გოგინიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას და წინადადებებით შემოვიდა, რათა ეთხოვოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ლეო ჩიქავას, ძირითადი მოხსენებით გამოვიდეს კონფერენციაზე. პროფ. ო. საღარეიშვილის აზრით, აუცილებელია სათანადოდ აღინიშნოს სხვა გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების – ირაკლი მიქელაძის, პაატა გუგუშვილის და სხვათა საიუბილეო თარიღებიც. აღნიშნულ წინადადებას საბჭომ მხარი დაუჭირა.

3. ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. გ. წერეთელმა მხარში დგომა აღუთქვა საინიციატივო ჯგუფის წევრებს და დასძინა, რომ სასურველია სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება არ დაემთხვეს ეკონომისტის დღეს (14 სექტემბერი), როგორც ეს საინიციატივო ჯგუფის წინადადებებშია გათვალისწინებული.

4. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავჯდომარის, პროფ. მიხეილ ჯიბუტის აზრით, მოსაწონი და მხარდასაჭერია საინიციატივო ჯგუფის წინადადებები. ამასთან, აუცილებელია გონივრულად დაიგეგმოს სექტემბერში ჩასატარებელი ღონისძიებების თარიღები.

5. საინიციატივო ჯგუფის წინადადებების შესახებ თავიანთი ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოხატეს პროფესორებმა: ბ. გაბიაძეშვილმა, ზ. გრიგალაშვილმა, შ. ქისტაურმა, რ. გოგოხიამ.

დაადგინეს: 1) პროფესორი ფილიპე გოგინიაშვილის სახელის უკვდავოფის მიზნით, საკოორდინაციო საბჭოს ყველა წევრი ერთხმად მხარს უჭერს ეკონომიკური ფაქულტეტების საინიციატივო ჯგუფის წამოწყებას და

იწონებს გ. ბაბუნაშვილის მიერ წამოწეულ წინადადებათა პროექტს, კერძოდ:

1. ფ. გოგიანიშვილის ნეშტი ვაკის სასაფლაოდან გადმოსვენებულ იქნას უნივერსიტეტის I კორპუსის წინ მდებარე მემორიალურ სკვერში – უნივერსიტეტის დამფუძნებელთა შორის;

2. შეკვეთილ იქნას ფ. გოგიანიშვილის ბიუსტი უნივერსიტეტის I კორპუსის წინ მდებარე მემორიალური სკვერებისათვის (სკვერის დიზაინისა და არქიტექტურის გათვალისწინებით). ბიუსტის შესრულება ეთხოვოს მოქანდაკე ლევან სულაქველიძეს მის მიერ წარმოდგენილი პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით;

3. აღიძრას შუამდგომლობა თბილისის მერიის წინაშე, რათა ქალაქის ძველი რაიონის ერთ-ერთ ქუჩას, ან ქუჩას, სადაც ცხოვრობდა ფ. გოგიანიშვილი, დაერქვას მისი სახელი და სახლს, სადაც ცხოვრობდა ფ. გოგიანიშვილი, გაუკეთდეს მემორიალური დაფა (ძველი დაფა მოპარულია);

4. უნივერსიტეტში ერთ-ერთ საჩვენებელ აუდიტორიას დაერქვას მისი სახელი (საეარაუდოდ X კორპუსში №207 აუდიტორია);

5. აღდგეს პროფესორ ფ. გოგიანიშვილის სახელობის სახელობითი სტიპენდია სტუდენტებისათვის;

— 6. თბილისის უნივერსიტეტში პერიოდულად ჩატარდეს პროფესორ ფ. გოგიანიშვილისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია;

7. შეიქმნას სარედაქციო კოლეგია ფილიპე გოგიანიშვილის რჩეული ნაწერების გამოსაცემად შემდეგი შემადგენლობით: მთავარი რედაქტორი ა. სილაგაძე, სარედაქციო კოლეგიის წევრები: ვლ. პაპაეა, ლ. ჩიქავა, გ. წერეთელი, ნ. ჭითანაეა, ი. მესხია, ვ. ბურკაძე, ნ. ქარქაშაძე, რ. კაკულია, გ. გამსახურდია, ბ. გაბიძაშვილი, ო. საღარეშვილი, ი. ჭიბერიშვილი, გ. თოდუა, გ. მშვილდაძე, თ. ბერიძე, ს. მოლაშვილი, ჯ. კახნიაშვილი;

8. 2002 წლის 13-14 სექტემბერს – ეკონომისტთა დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდეს პროფ. ფილიპე გოგიანიშვილის დაბადებიდან 130 წელთან დაკავშირებული სამეცნიერო კონფერენცია.

9. სოფელ კავთისხევში, სახლში სადაც ცხოვრობდა ფილიპე გოგიანიშვილი და მისი სიმაპრი – უნივერსიტეტის შენობის აღმშენებელი და დიდი საზოგადო მოღვაწე ნიკო ცხევედაძე, სადაც აგრეთვე ხშირი სტუმარი იყო იაკობ გოგებაშვილი, დაარსდეს მისი სახელობის სახლ-მუზეუმი (იქ არასრული საშუალო სკოლაა მოთავსებული) ან მისი სახელობის ოთახი სათანადო აბრით;

10. მომზადდეს დაახლოებით ხარჯთაღრიცხვა ფ. გოგიანიშვილის ხსონის უკვდავსაყოფად მოსალოდნელი ხარჯებისათვის (გადასვენების, ბიუსტისა და მემორიალური დაფის დამზადების, სახელობითი აუდიტორიის მოწყობის, სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების, რჩეული ნაწერების II ტომის მომზადებისა და გამოცემის და სხვა ხარჯები).

2) ეთხოვოს უნივერსიტეტის რექტორს აღნიშნული ღონისძიებების გაფორმება სათანადო ბრძანებით.

ბრძანება №78

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილის დაბადებიდან 130 წელთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 13-14 სექტემბერს ჩატარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.

კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის:

1. შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი პრორექტორ ა. სილაგაძის თავმჯდომარეობით;


2. საორგანიზაციო კომიტეტის წევრებად შეყვანილ იქნენ ეკონომიკური ბლოკის ფაკულტეტის დეკანები: ნ. პაიჭაძე, ვ. მექვაბიშვილი, გ. ბაბუნაშვილი, ი. ადგიშვილი; კათედრის გამგეები, პროფესორები: გ. თოდუა, გ. გამსახურდია, ბ. გაბიაშვილი, თ. სალარეიშვილი, ლ. ყორღანაშვილი, ე. ბოლოკაძე, ო. ჩადუნელი, თ. ჭიაბრიშვილი, რ. ქუტიძე, დღც-მ-ზედგინიძე (მდივანი);

3. დაევალოთ უნივერსიტეტის გამომცემლობასა და სტამბას ქმედითი დახმარება გაუწიონ კონფერენციისათვის ყველა საჭირო მასალის დროულად და მაღალხარისხოვნად გამოცემაში;

4. კონფერენციის მასალების გამოცემისა და სხვა საორგანიზაციო ხარჯები გაღებული იქნეს უნივერსიტეტის სპეცსახსრებიდან;

5. კონფერენციის ჩატარების შესახებ შეტყობინება დაეგზავნოს ყველა დაინტერესებულ სამინისტროს, უწყებებსა და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს.

თსუ ეკონომიკური სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს 2002 წლის 3 აპრილის სხდომის დადგენილება.



გამოსათხოვარი

პროფესორ ღაბოძე ძნელაძის ხსოვნისათვის

2002 წლის 1 იანვარს გარდაიცვალა ჩვენი რედაქციის წევრი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი და ნამდვილი წევრი, საინჟინრო აკადემიის წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სახელმწიფო სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მეწარმეობის ეკონომიკის კათედრის საპატიო გამგე დავით პლატონის ძე ძნელაძე. ჩვენგან წავიდა ადამიანი, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და ქვეყანაში ეკონომიკური განათლების სრულყოფისათვის.

დავით ძნელაძე 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, სახელმძღვანელოს და დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორია. მისი შრომები ეძღვნება ეკონომიკის ისეთ აქტუალურ პრობლემებს, როგორცაა: წარმოების ორგანიზაცია და მართვა, შრომის ეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკა, საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში, სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკა და ა.შ. დიდი ბატონი დავითის ღვაწლი ახალგაზრდა ეკონომისტ-მეცნიერთა მომზადებაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 70-ზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია. საამაყოა, რომ მის აღზრდილთა მნიშვნელოვან ნაწილს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში წამყვანი პოზიციები უკავია.

ღვაწდომოსილო მეცნიერისა და პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, შესანიშნავი მეგობრისა და ღირსეული მამულიშვილის ხსოვნა მარად დარჩება მისი მრავალრიცხოვანი კოლეგების, მეგობრების და მოწაფეების გულში.

რედაქლეცია

ახალი წიგნები

ა. აბრალაშვილი. გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ. რედაქტორი – ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გ. მაღალაშვილი. თბ., 2001, 274 გვ.

ლ. ბაღციანი. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში /პოლონ. თარგმნა ამბროსი გრიშოკაშვილმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ავთანდილ სილაგაძის რედაქციით. თბ., 2002, 216 გვ/

თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიქვაძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. რედაქტორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვლადიმერ პაპავა. თბ., 2001, 543 გვ.

ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია. შემდგენელი ჩაკაი. პ. გუგუშვილი, ჩაკაი. ვ. ჩანტლაძე, ლ. ჩიქავა, ა. კოშკელაშვილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ლეო ჩიქავას რედაქციით. თბ., სიახლე, 2001, 634 გვ.

ეკონომიკური ლექსიკონი, შემდგენლები პროფ. ა. სილაგაძე, პროფ. გ. გოშაძე, პროფ. ვ. ზურაბიშვილი, პროფ. თ. დემეტრაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ავთანდილ სილაგაძის რედაქციით, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, თბ., 2001, გვ. 676


მ. კაკუღია. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები, საქართველოში /ეკონ. და სოც. პრობლემების ს.-კ. ინტი. – თბ., 2001. – 282 გვ.

ბ. პაპაშვილი. ეკონომიკა და ცხოვრების ზიგზაგები. – თბ., სიახლე, 2002. – 64 გვ.

ა. სილაგაძე. ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები. – თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001 (რედაქტორი ემდ, პროფ. გროგოლ თოდუა), გვ. 610

თ. შანგიანი. მაკროეკონომიკური ანალიზის ონტოლოგია. რედაქტორი – ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გ. მაღალაშვილი, თბ., 2001, 97 გვ.

ბ. ზანუშვილი. ქართული ეკონომიკური აზრის რეტროსპექტივა (1918-1970 წწ.) თბ., 2001 წ. რედაქტორები: პროფ. ე. მექვაბიშვილი, პროფ. თ. დემეტრაშვილი. თბ. 2001, 223 გვ.



ავტორიზაცია

ბიჭიაშვილი ლელა – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმოების, მომსახურების და ბიზნესის ორგანიზაციის კათედრის დოცენტი

ბიჭიაშვილი ნოდარ – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმოების, მომსახურების და ბიზნესის ორგანიზაციის კათედრის გამგე

გოლოჯაძე ესტატა – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქონელმომოქმედვის ეკონომიკისა და მარკეტინგის კათედრის გამგე

გამსახურდია თაყარ – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის დოცენტი

გელაშვილი დავით - საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო პოლიტიკის მთავარი მრჩეველი

გრიგალაშვილი ლევან – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის კათედრის დოცენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიური სამმართველოს უფროსი

ვახაგოვი აბდარახიმ – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, უმბეკეთის ეროვნული უნივერსიტეტის დოცენტი

თოდუა ნუგზარ – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არასასურსათო საქონელმცოდნეობისა და კომერციის კათედრის პროფესორი

ეკონომიკური უწყისე - ეკონომიკურ შეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის კათედრის დოცენტი

მალაქაძე თამაზ - ეკონომიკურ შეცნიერებათა კანდიდატი, სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ნათანაძე შალვა - ეკონომიკურ შეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის დოცენტი, პროფესორი

პაიჭაძე ნუზარ - ეკონომიკურ შეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, მენეჯმენტისა და მეწარმეობის ეკონომიკის კათედრის გამგე

პარკაძე გივი - ეკონომიკურ შეცნიერებათა კანდიდატი, ეკონომიკური ინფორმატიკის კათედრის დოცენტი

სილაგაძე ავთანდილ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს შეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ შეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ურბაძე ვაჟა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არასასურსათო საქონელმცოდნეობისა და კომერციის კათედრის მასწავლებელი

ყორღანაშვილი ლარისა - ეკონომიკურ შეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის და საგარეო ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის გამგე

ჭანიო შანი - საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი

ხაჩიძენაშვილი ჯემალ - ეკონომიკურ შეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის დოცენტი

შინაარსი

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკურ

მოკლვრავათა ისტორია

შ. ნათუნაძე - გოსენის კანონების სოციალურ-ეკონომიკური
 ანექტები. 7

ა. სილაგაძე - ნეოკლასიკოსობიდან კეინზელობამდე:
 ა. ს. პიგუ (1877-1954). 14

ჟ. ხარბიტუნაშვილი - „შედეგური სკოლის“ მიდგომები
 ეკონომიკური პროტექციონიზმისადმი. 20

მაკროეკონომიკა

ა. სილაგაძე, ზ. ბილაშვილი - საპენსიო სისტემების სიცოცხლის-
 უნარიანობის საკითხები - საერთაშორისო ტენდენციები და
 საქართველოს რეალობა. 28

ბ. შახაბოვი. სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტები უზბეკეთის
 რესპუბლიკაში (რუსულ ენაზე). 40

სექტორული ეკონომიკა. მენეჯმენტი.

გ. ბიბიაშვილი, ზ. ბიბიაშვილი - ფირმის წარმოებრივი რესურსების
 გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრისა და მართვის სრულყოფის
 საკითხისათვის. 48

მიკროეკონომიკა. შრომის ეკონომიკა

დ. პაპიაძე - შრომისა და სოციალური პოლიტიკის საკითხები
 გარდამავალ პერიოდში. 56

მარკატიზმი

ე. თოფუა, ე. ურუტაძე - მარკეტინგი პროდუქციის ასორტიმენტის
 მართვაში. 62

ფინანსები. ფულის მიმოქცევა. კრედიტი

ვ. გოლობაძე - ფასიანი ქაღალდები როგორც ფინანსური ბაზრის
 მნიშვნელოვანი ელემენტი. 68

თ. ბამსახურდია - საგადასახადო შემოსავლების ზრდა - მაკროეკონ-
 ნომიკური რეგულირების მთავარი პირობა 73

თ. მაღლაძე-მელიძე - საგადასახადო ფედერალიზმი ფინანსური
 უსაფრთხოების სისტემაში. 82

სტატისტიკა. საბუღალტრო აღრიცხვა.

ეკონომიკური ინფორმაცია

ზ. ბრიგალაშვილი - საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვის

ურთიერთკავშირის სრულყოფის შესახებ.

ე. კუპრევიშვილი - აუდიტის როლი ბიზნესის განვითარებაში. 101

ვ. პარკაძე - ინფორმაციული უზრუნველყოფის თავისებურებანი და სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზაცია. 107

ეკონომიკის ისტორია. საოფლიო ეკონომიკა

ლ. ყორღანაშვილი - საქართველოს პერსპექტივები სადასღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარზე. 112

მ. ზანიბა - ეკონომიკური ზრდის საგარეო ეკონომიკური ფაქტორების გამოყენების ოპტიმიზაციის საკითხებისათვის. 121

ღირსშესანიშნავი თარიღები

ფილიპე გოგინიაშვილის დაბადებიდან 130 და გარდაცვალებიდან 52 წელი შესრულდა. 127

გამოსათხოვარი

პროფესორ დავით ძენაბაძის ხსოვნისათვის. 135

ახალი ნიშანი 136

ავტორები. 137

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ИСТОРИЯ ЭКОНОМИЧЕСКИХ УЧЕНИЙ

Ш. Натенадзе. Социально-экономические аспекты законов Госсена.	7
А. Силагадзе. От неоклассиков до кейнсианства: А.С. Пигу (1877-1954)	14
Дж. Харитонашвили. Подходы Шведской школы к экономическому протекционизму.	20

МАКРОЭКОНОМИКА

А. Силагадзе, Д. Гелашвили. Вопросы жизнеспособности пенсионных систем - международные тенденции и реальность Грузии.	28
Вахабов А. Приоритеты социальной политики республики Узбекистан.	40

СЕКТОРНАЯ ЭКОНОМИКА. МЕНЕДЖМЕНТ

Бичиашвили Н., Бичиашвили Л. К вопросу определения и совершенствования эффективности использования производственных ресурсов фирмы и совершенствования их управления.	48
--	----

МИКРОЭКОНОМИКА. ЭКОНОМИКА ТРУДА

Н. Паичадзе. Вопросы труда и социальной политики в переходном периоде.	56
---	----

МАРКЕТИНГ

Н. Тогуа, Е. Уротадзе. Маркетинг в управлении ассортиментом продукции.	62
---	----

ФИНАНСЫ. ДЕНЕЖНОЕ ОБРАЩЕНИЕ. КРЕДИТ

Э. Болокадзе. Ценные бумаги как важнейший элемент финансового рынка.	68
Т. Гамсахурдиа. Рост налоговых поступлений - главное условие макроэкономического регулирования.	73
Т. Маглакелидзе. Налоговый федерализм в системе финансовой безопасности.	82

СТАТИСТИКА. БУХГАЛТЕРСКИЙ УЧЕТ. ЭКОНОМИЧЕСКАЯ ИНФОРМАТИКА

Л. Григалашвили. К совершенствованию взаимосвязи бухгалтерского и налогового учета.	95
Э. Купреишвили. Роль аудита в развитии бизнеса.	101
Г. Паркадзе. Особенности информационного обеспечения и автоматизация обработки статистической информации.	107

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ИСТОРИЯ. МИРОВАЯ ЭКОНОМИКА

Л. Корганашвили. Перспективы Грузии на мировом рынке страховых услуг..... 112
М. Чания. К вопросу оптимизации использования внешнеэкономических факторов экономического роста 121

ЗНАМЕНАТЕЛЬНЫЕ ДАТЫ

Исполнилось 130 лет со дня рождения и 52 года со дня смерти Ф. Гогичаншвили..... 127
Памяти профессора Давида Дзnelадзе..... 135

НОВЫЕ КНИГИ..... 136

АВТОРЫ..... 137

CONTENTS

ECONOMIC THEORY AND HISTORY OF ECONOMIC SCIENCES

Sh. Natenadze. On Social and Economic Aspects of Gossen's Laws	7
A. Silagadze. From Neoclassicism to Keynesianism: A.C. Pigou (1877-1954)	14
J. Kharitonashvili. Swedish School Approaches to Economic Protectionism	20

MACROECONOMICS

A. Silagadze, D. Gelashvili. Viability of Pension Schemes - International Tendencies and Georgian Reality	28
A. Vakhobov. Priorities of Social Policy in Uzbekistan	40

SECTORIAL ECONOMY. MANAGEMENT

N. Bichiashvili, L. Bichiashvili. On the Question of Improving the Definition and Management of Efficiency of Productive Resources	48
---	----

MACROECONOMICS. LABOUR ECONOMICS

N. Paichadze. Labour and Social Policy Issues in Transition Period	56
---	----

MARKETING

N. Todua, E. Urotadze. Marketing in the Improvement of Product's Range Management	62
--	----

FINANCE. MONEY CIRCULATION. CREDIT

E. Bolokadze. Securities as Significant Component of Financial Market	68
T. Gamsakhurdia. Increase in Tax Revenues - Overriding Term of Macroeconomic Regulation	73
T. Maglakelidze. Tax Federalism in the System of Financial Security	82

STATISTICS. ACCOUNTING. ECONOMIC INFORMATION

L. Grigalashvili. On Improving Interrelation between Auditing and Fiscal Accounting	95
E. Kupreishvili. The Role of Audit in Business Development	101

G. Parkadze. Peculiarities of Information Support and Automation of Statistical Data Processing107

HISTORY OF ECONOMY. WORLD ECONOMY

L. Korghanashvili. Prospects of Georgia on the World Market of Insurance Services112

M. Chania. On the Optimization of Using External Economic Factors of Economic Growth121

MEMORABILIA

130th birth anniversary and 52th death anniversary of Philippe Gogichaishvili.127

IN MEMORIAM

For the memory of professor David Dzeladze.135

NEW BOOKS/PUBLICATIONS.136

AUTHORS137

გამომცემლობის რედაქტორი **მ. ვოგოლაძე**
 ტექნოლოგიური **ფ. ბუდალაშვილი**
 კორექტორები: **ე. კახრელიშვილი, ნ. ილურიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად **26.04.02**
 საბეჭდო ქაღალდი **60x84**. პირ. ნაბეჭდი თაბახი **13,41**
 სააღრ.-საგამომც. თაბახი **9,08**
 შეკვეთა № **33** ტირაჟი **120**

ფასი სახელშეკრულებო
 თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
3800028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. **14**.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1
 ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
 E-mail: universal@posta.ge

gp 12/2

